# ლელო

№119 (12 189)

23 მაისი ოთხშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა




# სტამბოლი დავიწყებულია, ვისთვის გათენდა ათენში?

## დღეს მილანი ან ლივერპული

ყველაფერი ჩემპიონთა ლიგის ფინალზე

8-10



გუშინ ათენში. მილანის ვარჯიში საფინალო არენაზე. კალაძე და ოლივეირა





## კალაძის სასტარტო მალდინიზე პკიდია...

## ინძაგი თუ ჯილა?

## ბენიტესი კაკას მეურვეს არ მიუჩენს



ლელო გამოკითხვის სრული შედეგები

ჩვენი ვერსია 11

## კოტე ტულუში საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო კალათბურთელია



## თასის ფინალს თურქები განსჯიან

სახელმწიფო და ფედერაცია მილიონებზე შეთანხმდნენ

ინტერვიუ დიმიტრი რამიშვილთან 2

## გიორგი ლომაია: რაც მოხდა, ისტორიას ჩაბარდა 3



## მინიმუმ სამი ახალი მოთამაშე გვინდა

ინტერვიუ დუშან უჰრინთან 5

ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ დიმიტრი რამიშვილთან

# ზესტაფონს და ამერს თურქები განსჯიან

## სახელმწიფო და ფედერაცია მილიონებზე შეთანხმდნენ


დიმიტრი რამიშვილი

საქართველოს მეთვრამეტე ეროვნული ჩემპიონატი დასრულდა, სეზონი კი 26 მაისს "ამერი"-"ზესტაფონის" თასის ფინალით დაიხურება - ორივე ამ ტურნირს საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა ატარებს, რომლის პრეზიდენტ დიმიტრი რამიშვილს გუშინ ვესტუმრეთ ოფისში. მას 2006-07 წლების სეზონზე, სამომავლო გეგმებზე ვესაუბრეთ და ახალი ამბებიც შევიტყვეთ.

**- 2006-07 სეზონს უწინდელზე უკეთესად მიიჩნევთ? რა ტენდენციები გამოიკვეთა საქართველოს მე-18 ეროვნულ ჩემპიონატში?**

- ვფიქრობ, 2006-07 წლების სეზონი შარშანდელზე უკეთესი გამოდგა. ეროვნული ჩემპიონატი პროფლიგის პროექტებითაც გამდიდრდა - მეორე წრიდან წამახალისებელი ლატარია გავათამაშეთ. ჩემპიონატი უწინდელზე უფრო დაძაბულად წარიმართა. ლოგიკურია, რომ ჩემპიონი "ოლიმპი" გახდა და როცა ლოგიკა მუშაობს, ეს იმის მანიშნებელია, რომ სწორი გზით მივდივართ. ჩაწყობილი თამაშები აღარ არის, რისი მანიშნებელი ისიც არის, რომ ტოტალიზატორებში ფსონები საქართველოს ჩემპიონატის მატჩებზეც მიიღებოდა.

**- მიგაჩნიათ, რომ გარიგებული მატჩები 2006-07 წლების სეზონში საერთოდ არ იყო თუ უბრალოდ მასშტაბები შემცირდა?**

- სიბინძურეები საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს ჩამოშორდა. ჩემთვის არც ერთი კლუბის წარმომადგენელს არ უთქვამს, ამ თუ ამ გუნდმა ჩაწყობილი მატჩი ითამაშაო.

**- ჟურნალისტებს კი არა ერთი კლუბის წარმომადგენელმა გვითხრა, შეძლებული გუნდი ღარიბ გუნდს პრემიებს უწესებს, რათა ამ გუნდმა მდიდარი კლუბის კონკურენტებს დიდი წინააღმდეგობა გაუწიოსო.**

- წახალისების ასეთი ფორმა მართებულად არ მიმაჩნია. გუნდს სხვა გუნდის წახალისება არ უნდა სჭირდებოდეს - ასეთია პროფლიგის მიმართულება.

**- თქვენ არაფერი გსმენიათ ასეთი წახალისების შესახებ?**

- ხმებმა ჩემამდეც მოაღწია, მაგრამ არავის არ წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება ასეთი ფაქტის შესახებ. ჩვენში კიდევ არის მენტალიტეტის პრობლემა. ბევრს ჰგონია, რომ თითქმის ყველაფერი ჩაწყობილია. არადა, მეთვრამეტე ეროვნულში ბევრი საინტერესო თამაში, უშელავათო ბრძოლა იყო.

**- მეთვრამეტე ეროვნულში კვლავინდებურად აღმოჩნდნენ უსახსრო გუნდები, უმაღლესი ლიგის შესაბამისი ფინანსები რომ არ გააჩნდათ - რატომ მეორდება ის, რისი მრავალი პრეცედენტი უკვე იყო?**

- ამ პრობლემას კლუბთა ლიცენზირების სისტემა დაარეგულირებს. უეფას მოთხოვნაა, რომ 2008-09 წლების სეზონისთვის უმაღლესი ლიგის ყველა კლუბი აუცილებლად იყოს ფინანსურად უზრუნველყოფილი. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ 2007-08 წლების სეზონისთვის უმაღლეს ლიგაში მაინც დავუშვებთ უსახსრო გუნდებს. სამი წლის წინათ ცენზი დავაწესეთ - უმაღლესი ლიგის ნებისმიერ გუნდს არაუმცირეს 300 000 ლარის ფინანსური გარანტია უნდა წარედგინა. შესაძლოა, ასეთი ცენზი დამდეგი სეზონისთვის დავტოვოთ, მაგრამ ამ თანხის არსებობის გაშიფვრას ყველას მოვთხოვთ. საქმე მაინც იქითკენ მიდის, რომ 2008-09 წლების სეზონში თორმეტგუნდა უმაღლესი ლიგა გვექნება.

**- საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის "ყაზბეგის" თასის მფლობელისთვის პროფლიგამ ფულადი ჯილდო დააწესა, ჩემპიონისთვის კი მსგავსი პრიზი არ არსებობს...**

- კლუბებმა უნდა გადაწყვიტონ, პროფლიგაში შემოსული თანხა ეროვნული ჩემპიონატის გუნდებზე როგორ განაწილდეს. პროფლიგას შემოსავლები ჯერჯერობით მხოლოდ სპონსორებისგან აქვს და იმედია, მალე ამას ტელეტრანსლაციების უფლებების გაყიდვისგან შემოსული თანხებიც დაემატება. თასის ნახევარფინალისტებისთვის კი 5-5 ათასი დოლარია გამოყოფილი. ფინალისტებისთვის 10-10 ათასი, ხოლო გამარჯვებული კიდევ 10 ათასს მიიღებს. საბოლოო ჯამში თასის მფლობელი 25 ათასი ლარით დასაჩუქრდება. კომპანია "ყაზბეგმა" მართლაც ნაყოფიერად იმუშავა. ამ კომპანიის გარდა პროფლიგას კიდევ "ჯეოსელი", "საქართველოს ბანკი", "აქსისი" და "ფოლკსვაგენი" ასპონსორებენ. თასის ფინალში ჩვენი კომპანიები "მაკდონალდსი" და "ბაგრატიონიც" იქნებიან. ალბათ უკვე იცით, რომ ფინალზე ლოტოტრონის პრინციპით გათამაშდება ლატარია - სულ ხუთი პრიზი, რომელთაგან მთავარი ლიტვაში და საფრანგეთში საქართველოს ნაკრების თამაშებზე გასამგზავრებელი საგზური იქნება. ამ ლატარიაში მხოლოდ ეროვნულ ჩემპიონატში გამართული წამახალისებელი ლატარიის ბილეთები გათამაშდება.

**- 26 მაისს ფინალზე კიდევ ერთი სიახლე იყო დაგეგმილი...**

- მატჩს ფიფას კატეგორიის თურქ მსაჯთა ბრიგადა მოემსახურება. ეს იმას არ ნიშნავს, რომ პროფლიგა ქართველ მსაჯებს არ ენდობა, უბრალოდ, ფინალის მაქსიმალურად გაპიარება გვსურს და ეს სიახლე მაგიტომაც შემოვიტანეთ.

**- თქვენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტიც ხართ, რომლის საქმიანობა, პირველ რიგში, ეროვნული ნაკრების შედეგით ფასდება, კლაუს ტოპმიოლერის გუნდს კი ევროშესარჩევში ჯერ ერთი მყვირალა გამარჯვებაც არ მოუპოვებია...**

- გულშემატკივრების მოთხოვნები გასაგებია. მიმაჩნია, რომ ახლო მომავალში აუცილებლად მივაღწევთ მიზანს - გავალთ ფინალურ ეტაპზე. 2018 წლისთვის კი შესაძლოა, მსოფლიოს ჩემპიონატის პრიზიორიც გავხდეთ - თუ სწორი გზით ვივლით, ასეთი ამბიცია რეალური იქნება.

**- 2 და 6 ივნისს ლიტვასა და საფრანგეთთან ჩვენი ნაკრებისგან რა შედეგს ელით?**

- მაქსიმალურ შედეგს. არ ვართ განებივრებული ბევრი მაღალი კლასის ფეხბურთელით და მიმაჩნია, რომ აუცილებლად უნდა ითამაშოს ამ შეხვედრებში შოთა არველაძემ, რომლის შემცვლელი ამ დროისთვის უბრალოდ არ გვყავს. მისი ასაკი და ქრონიკული ტრავმა მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, თუ ამის პატარა შანსი მაინც იქნა, არველაძე ითამაშებს. ასეთი პატარა შანსი მალხაზ ასათიანსაც რომ ჰქონდეს, დარწმუნებული ვარ, ისიც ითამაშებდა.

**- შევიტყვეთ, რომ სახელმწიფო ფეხბურთის ფედერაციასთან პარტნიორობით ქართულ ფეხბურთში მნიშვნელოვან ინვესტიციას აპირებს...**

- ეს მართალი ინფორმაციაა. მინი-მოედნების პროგრამა, რომელიც მასობრივ სპორტზე იყო გათვლილი, სტანდარტული მოედნების მქონე სტადიონების მშენებლობით გაგრძელდება. ეს პროექტი არა ერთი მილიონი ლარი დაჯდება. სახელმწიფოსა და ფედერაციას შორის უკვე არსებობს შეთანხმება ამის თაობაზე. საქართველოში ფეხბურთის განვითარების პროგრამა ახლა დახვეწის სტადიაშია. კლაუს ტოპმიოლერის ჩამოყვანა სახელმწიფოს და ფედერაციის პირველი ერთობლივი პროექტი იყო. მალე კი იმის თქმა შეგვეძლება, რომ საქმის კეთება მხოლოდ სახურავიდან კი არა, კომპლექსურად მიდის.

**დავით თავართქილაძე**

საქართველოს თასის
ყაზბეგის გათამაშების
ფინალი
26 მაისი ეროვნული სტადიონი
ამერი
VS
ზესტაფონი
www.pfl.ge
GFF
2004
დასაწყისი 20:00 საათზე - ბილეთის ფასი 2. 3. 5 ლარი
მთავარი სპონსორი
ჯეოსელი GEOCELL
ოფიციალური სპონსორი
ფოლკსვაგენი VOLKSWAGEN
პარტნიორი
აქსისი
ბაგრატიონი 1882
სპონსორები
საქართველოს ბანკი BANK OF GEORGIA
I'm lovin' it
საინფორმაციო მხარდაჭერა
სარბიელი
ოლიმპი
106,9 FM FORTUNA ფორტუნა
24 Hours

# რატომ დაითხოვეს გოგუა?


გოგიტა გოგუა

საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელობამ ლიტვისა და საფრანგეთის ნაკრებებთან სათამაშოდ გამოძახებულ ფეხბურთელთა სია გამოაქვეყნა. გაკვირვებულები დავრჩით: **კლაუს ტოპმიოლერმა** "სატურნის" ნახევარმცველ **გოგიტა გოგუას** არ უხმო. აღმოჩნდა, რომ გერმანელი აღშფოთებულია გოგიტას უდისციპლინობით. რა თქმა უნდა, მწვრთნელი, მართალია, ქაოტური და უდისციპლინო მოთამაშე დასასჯელია, მაგრამ კონკრეტული მიზეზი?

ადრეც ითქვა, მაგრამ არავინ დაიჯერა: ნახევარმცველს, თურმე, გლაზგოში შეცვლაზე შეყვანა ეწყინა. ეს მის თამაშს აშკარად დაეტყო. ასეთი ინერტული და უემოციო გოგუა არავის ახსოვს. ის არ ჰგავდა იმ ფეხბურთელს, რომელიც გულშემატკივარმა გულიანი თამაშის გამო შეიყვარა. ტოპმიოლერი გოგუას მაშინვე უშვებდა შეკრებიდან, მაგრამ რაკი წამყვან მოთამაშეთა დიდ ნაწილს ტრავმები ჰქონდა, გოგიტა ფარერებთან სათამაშოდ მაინც დატოვა. სხვათა შორის, ფარერებამდე ფეხბურთელმა დაიჩივლა - ვერ გავიგე, რას მერჩის მწვრთნელიო. მერე კი შეკრებიდანაც დაითხოვეს - თუ თამაში არ გინდა, ნაკრებში აღარ გამოგიძახებთო.

ორი აზრი არაა, რომ გოგუა საქართველოს ნაკრებს სჭირდება და იმედია, ტოპმიოლერმა ეს ნაბიჯი ფეხბურთელის გამოსასწორებლად გადადგა. მაგრამ ისიც ვიკითხოთ, გოგუაზე მეტად ვის სურდა "ჰემპდენ პარკზე" თავის გამოჩენა? მას ჰქონდა უნიკალური შანსი იმის დასამტკიცებლად, რომ შოტლანდიურ "ჰართსში" თამაშს იმსახურებდა. ამ ტრანსფერის პერსპექტივა მაშინ ჯერ კიდევ არსებობდა, თუმცა მიზეზთა გამო, ნაკრების ძირითადში ვერ მოხვდა.

გოგუა არც **კახა კალაძეა** და არც **შოთა არველაძე**, არც იტალიაში უთამაშია და სხვა რომელიმე სახელოვან კლუბში. გულშემატკივარს კი მაინც გამორჩეულად უყვარს და ეს არ არის პატარა ამბავი. შესაძლოა, იგივე ქომაგი ბოლომდე ვერ ჩაწვდეს, თუ ვინ როგორ ასრულებს მოედანზე მწვრთნელის დავალებებს, მაგრამ მოთამაშის თავდადება ხომ მაინც ჩანს? ვაღიაროთ, რომ ჩვენი ფეხბურთელებისგან გოგუასებრ ჯიგრიან თამაშს მაინცდამაინც ნაჩვევნი არ ვართ. ამ თვისებების მქონე ფეხბურთელის ნაკრებიდან დროებით მოკვეთაც საწყენია, მაგრამ მეორე მხრივ, მწვრთნელისაც უნდა გვესმოდეს. ამიტომაც ვფიქრობ, რომ კარგი იქნება, თუ ეს საქმე კომპრომისის გზით მოგვარდება.

დაბოლოს, ერთ დღეს, რუსეთის ნაკრების მწვრთნელი **გუუს ჰიდინკი** ცსკასა და ნალჩიკის "სპარტაკის" შეხვედრას ესწრებოდა (ცხადია, რა მიზნითაც). პირველი, ვინც მრავლისმნახველ სპეციალისტს თვალში მოხვდა, გოგუა იყო. დაინტერესდა და როცა გაიგო, რომ ქართველ ნახევარმცველს რუსეთის ნაკრებში თამაში არ შეეძლო, ძალიან განაწყენდა...

**მერაბ მამულაშვილი**

P.S. გოგიტა გოგუა მომხდარის გამო ძალიან გაღიზიანებული და გულნატკენია. მან ამ თემაზე საუბარი არ ისურვა.

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ გიორგი ლომაიასთან

# მთავარია ნდობა

## რაც მოხდა, ისტორიას ჩაბარდა

**იენის "კარლ ცაისი" მეორე ბუნდესლიგიდან არ გავარდა და გუნდს ამ საქმეში მეორე წრიდან ქართველებიც შეეშველნენ - მიხეილ აშვეთიამ ათ თამაშში ხუთი გოლი გაიტანა, გიორგი ლომაია კი სტაბილურად იდგა კარში და რამდენიმე ისეთი ბურთი მოიგერია, იენელებს ქულების დაგროვებაში რომ დაეხმარა. მეკარე თითქმის ყოველთვის პრობლემური პოზიცია იყო საქართველოს ეროვნულ ნაკრებში - ბოლო დროს ეს საკითხი კიდევ უფრო გამძაფრდა, რამეთუ ნაკრების მეკარეებს ლომაიასა და ნუკრი რევიშვილს სათამაშო პრაქტიკა აკლდათ. ლომაიას ვლადივოსტოკის "ლუჩიდან" "კარლ ცაისში" გადასვლით კი საქმე წინ წავიდა - გიორგი იენური გუნდის პირველი მეკარე შეიქნა და რეგულარულად თამაშობდა. ლომაიას იენაში შევეხმიანეთ...**



გიორგი ლომაია და ლევან კობიაშვილი

- რაც კლუბის ხელმძღვანელობის დავალება იყო, შევასრულეთ. მეც და აშვეთიაც იმისთვის მოგვიწვიეს, რომ გუნდი მეორე ბუნდესლიგიდან არ გავარდნილიყო.

**- მომავალ სეზონშიც "კარლ ცაისში" აპირებ თამაშს?**

- გუნდთან კონტრაქტი ერთ თვეში მიმთავრდება. როგორც ვიცი, იენელებს ჩემი და აშვეთიას დატოვება სურთ. "კარლ ცაისი" ახლა უკვე შვებულებაშია და ალბათ ამის შემდეგ დაგველაპარაკებიან ოფიციალურად.

**- მიგაჩნია, რომ "კარლ ცაისი" ამ ეტაპზე შენი კარიერისათვის საუკეთესო ვარიანტი იყო?**

- თამაშს მონწყურებული ვიყავი და ამ გუნდში ყველაფერი კარგად წამივიდა. "კარლ ცაისის" ხელმძღვანელობაც კმაყოფილია ჩემი გარჯით.

**- გერმანულ პრესაში ერთხელ მწვავედ გაგაკრიტიკეს...**

- "დუისბურგთან" 3:1-ს ვიგებდით და ჯარიმიდან ბურთი იმ კუთხეში გავუშვი, სადაც ვიდექი. ის შეხვედრა 3:3 დასრულდა. ვფიქრობ, დიდი არაფერი მომხდარა. გერმანიაში ისეა, რომ თუ მნიშვნელოვანი შეცდომა დაუშვი, არ გაპატიებენ და შენს ადგილს სხვა იკავებს.

**- სხვა გუნდებიდან ხომ არ გაქვს მიწვევა?**

- არის ინტერესი სხვა გუნდებიდანაც, ვნახოთ, რა როგორ იქნება. ჩემს ტრანსფერზე ისევ მამუკა ჯულელი და ახრიკ ცვეიბა იმუშავებენ.

**- საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე თქვი, რალფ მინგემ ჩემზე კარგი რეკომენდაცია არ მისცა "კარლ ცაისსო" - როგორ ფიქრობ, ყოველივე ეს შენს სანაკრებო კარიერაზე იმოქმედებს?**

- არა მგონია, ამან რამეზე იმოქმედოს. თანაც, ეს უკვე ძველი ამბავია, რაც მოხდა, ისტორიას ჩაბარდა.

**- "კარლ ცაისი" რა სტილის გუნდია, ვინ არის იქ გამორჩეული ფეხბურთელი?**

- "კარლ ცაისი" გუნდური თამაშით გადის ფონს, თუმცა ჰყავს ერთი გამორჩეული ფეხბურთელი, გამთამაშებელი ტორსტენ ციგნერი, ვინც ტრავმირებული იყო და მხოლოდ ბოლო მატჩებში ითამაშა - ისიც შეცვლებზე.

**- საკუთარ თავს როგორ აფასებ, ახლა შენს შესაძლებლობების პიკზე ხარ თუ ამისკენ მიისწრაფვი?**

- მთავარი ის იყო, რომ "კარლ ცაისში" ნდობა გამომიცხადეს და მეც გავამართლე იმედები. ყველაფერი მაინც ნდობაზეა დამოკიდებული, რაც არ უნდა კარგად თამაშობდე, თუ მწვრთნელი არ გენდობა, არაფერი გამოვა. ფრანკ ნოიბარტისგან სწორედ ასეთ დამოკიდებულებას ვგრძნობდი. მეორე ბუნდესლიგის ყველა თამაშში უნდა დაგემტკიცებინა საკუთარი შესაძლებლობები - გერმანიაში საქმისადმი სულ სხვანაირი მიდგომაა. მსიამოვნებს თამაში, სათადარიგოთა სკამზე ჯდომა "ლუჩში" მობეზრებული მქონდა. "კარლ ცაისში" სულ სხვა შემართებაა, სულ სხვა ემოციები მქონდა. ახლა უკეთეს გუნდში მინდა გადასვლა, მაგრამ ერთია სურვილი და მეორე, რა როგორ მოხდება.

**- თბილისის "დინამოს" და 1981 წელს როგორ იხსენებენ "კარლ ცაისში"?**

- ჩვენი "დინამო" იენაში კარგად ახსოვთ, სტადიონზე 1981 წლის "დინამოს" სურათიცაა, აქვეა ყანწები, სუვენირი "კარლ ცაისისთვის". მაშინდელი "კარლ ცაისის" ფეხბურთელი ლუტც ლინდემანი ახლა კლუბის მენეჯერია. მან რუსული იცის და გველაპარაკება ხოლმე 1981 წლის ამბებზე. მე და აშვეთიასაც უკვე ცოტა გვესმის გერმანული, პრაქტიკა ამ საქმეშიც საჭიროა.

**- ჩვენი ნაკრების მწვრთნელები თუ ესწრებონენ "კარლ ცაისის" მატჩებს?**

- ბოლო მატჩებში მათგან არავინ გვინახავს.

**დავით თავართქილაძე**



ითამაშებს შოთა?

ეროვნული ნაკრები

# ნაკრებს არველაძეც დააკლდება?

## ნამატი ჯერ არაა

ტრადიცია არ ირღვევა და სანაკრებო მატჩებისთვის გამოძახებულ ფეხბურთელთა სიას ნელ-ნელა აკლდებიან მოთამაშეები. 2 და 6 ივნისის მატჩებისთვის **კლაუს ტოპმიოლერმა** თავდაპირველად 24 ფეხბურთელს უხმო. გუშინ ეს რიცხვი ერთით შემცირდა - **მალხაზ ასათიანი** ლიტვასა და საფრანგეთში თამაშს ვერ შეძლებს - მაგრამ არსებობს შანსი, რომ ეს რიცხვი კიდევ გაიზარდოს. საეჭვოა **შოთა არველაძის** თამაში, რომელიც მტკივანმა მუხლმა შეაწუხა.

ასათიანი გუნდთან ერთად კი ვარჯიშობს, მაგრამ ექიმთა რჩევით, ჯერჯერობით ორთაბრძოლაში ჩართვას ერიდება. ასეთ ვითარებაში კი მისი თამაში ფეხბურთელის ჯანმრთელობისთვის სარისკოა. მის ნაცვლად ტოპმიოლერს, როგორც თავად გვითხრა, არავინ დაუმატებია.

*"მუხლი ისევ მაწუხებს. ვიცი, ნაკრებში ვარ გამოძახებული, მაგრამ ჯერ კიდევ არ ვიცი მომცემს თუ არა მტკივანი ფეხი თამაშის საშუალებას. რამდენიმე დღე კიდევ დავაკვირდები და კვირის ბოლოს გამოჩნდება შევძლებ თუ არა ნაკრებს შევეშველო"*, - აღნიშნა გუშინ "ლელოსთან" საუბარში შოთა არველაძემ.

**დავით ცაბაძე**




ლეგიონერი

# ზავაროვი ჩერნომორეცში ჯაკობიას ჩაიყვანს?

უკრაინაში მოთამაშე ქართველი თავდამსხმელი, კიევის "არსენალის" კაპიტანი **ლაშა ჯაკობია** ჯერ ვერ ამბობს, სად გააგრძელებს კარიერას. მისი საკითხი ღიადაა დარჩენილი. კიევის "არსენალს" ბოლო ორი წელია ფინანსური პრობლემები აწუხებს. როგორც იქნა, კლუბს ახალი მეპატრონე გამოუჩნდა - ცნობილი ბიზნესმენი **ვადიმ რაბინოვიჩი**. მისი პირველი ნაბიჯი მთავარი მწვრთნელის **ალექსანდრ ზავაროვის** კონსულტანტად "არსენალში" ნამუშევარი **ვიაჩესლავ გროზნის** დანიშვნა იყო, მერე კი ზავაროვიც გაათავისუფლა.

ზავაროვი ლაშა ჯაკობიას უკრაინელი მფარველი და, შეიძლება ითქვას, მამობილია. ამდენად, სავსებით რეალურია, სეზონის დამთავრების შემდეგ "არსენალი" ჯაკობიამაც დატოვოს. მართალია, გროზნის ჯაკობია მოსწონს და დარჩენას სთავაზობს, მაგრამ ეს ნაკლებსავარაუდოა. ლაშას ხარკოვის "მეტალისტიც" სთხოვს დაბრუნებას.

უფრო რეალურია, რომ ზავაროვმა და ჯაკობიამ ერთად მონახონ ახალი კლუბი. ზავაროვს უკვე შესთავაზეს ახალი სეზონიდან ოდესის "ჩერნომორეცის" გაწვრთნა. გუნდს ახლა **სემიონ ალტმანი** ხელმძღვანელობს, მაგრამ ის სპორტული დირექტორის პოსტზე გადასვლას აპირებს. და რაც მთავარია - თავად ზავაროვს სურს ქართველის წაყვანა.

ინფორმაცია თავად ლაშამ დაგვიდასტურა:"კიევში დარჩენასაც მთავაზობენ და ხარკოვში დაბრუნებასაც. "არსენალს" ახალი მდიდარი მეპატრონე და კარგი მწვრთნელი ჰყავს. "მეტალისტი" უეფას თასზე გადის და ამ ტურნირში მონაწილეობა საინტერესოა. თუმცა ზავარაოვმა, სადაც წავალ, იქ უნდა წაგიყვანოო. ჯერ ვფიქრობ და ორ კვირაში საბოლოოდ გავერკვევი. მთავარია, რომ ტრავმის შემდეგ ფორმა აღვიდგინე და რომელიმე ნორმალურ გუნდში მოვეწყობი".

**მერაბ მამულაშვილი**

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

საქართველოს XVIII ეროვნული ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა

# მონაწილეთა სრული მონაგარი

## ოლიმპი

| | მატჩი | ძირითადში | გოლი | ყვითელი | წითელი |
|---|---|---|---|---|---|
| აფციაური | 25 | 25 | 4 | 1 | - |
| ძებაძე | 25 | 24 | 5 | 5 | - |
| მახვილაძე | 24 | 24 | 2 | 3 | 1 |
| სეთურიძე | 24 | 23 | 1 | - | - |
| კახელიშვილი | 23 | 18 | 6 | 2 | 1 |
| დვალიშვილი | 22 | 19 | 8 | 3 | - |
| ბ. ონიანი | 20 | 19 | 3 | 1 | - |
| ხუბუა | 19 | 13 | 2 | 3 | - |
| გეწაძე | 19 | 13 | 5 | 2 | - |
| მ. ალავიძე (მეკ.) | 16 | 16 | -7 | - | - |
| რ. ონიანი* | 13 | 13 | - | - | - |
| რ. გოცირიძე** | 13 | 12 | 8 | - | - |
| ძამსაშვილი** | 13 | 11 | 1 | 2 | - |
| ნავალოვსკი** | 12 | 12 | - | 1 | - |
| ჭიჭველიშვილი** | 12 | 11 | - | - | - |
| სირბილაძე* | 11 | 11 | 4 | - | - |
| მერლანი (მეკ.)** | 10 | 10 | -2 | - | - |
| ბერუაშვილი** | 10 | - | - | - | - |
| მიმინოშვილი | 8 | 5 | - | - | - |
| ხოხონიშვილი* | 8 | 3 | - | - | - |
| ბ. თოდუა* | 7 | 2 | 2 | - | - |
| ხოჯავა* | 7 | 2 | 1 | 1 | - |
| ვ. კვარაცხელია* | 7 | - | 3 | - | - |
| ჩხარტიშვილი** | 4 | - | - | - | - |
| მიქიაშვილი* | 1 | - | - | - | - |
| კაკაბაძე* | 1 | - | - | - | - |
| არზიანი** | 1 | - | - | - | - |

## დინამო

| | მატჩი | ძირითადში | გოლი | ყვითელი | წითელი |
|---|---|---|---|---|---|
| შ. კაშია | 26 | 26 | 1 | 3 | - |
| ს. იაშვილი | 25 | 23 | 21 | 2 | - |
| კობახიძე | 24 | 23 | 4 | - | - |
| გ. მერებაშვილი | 23 | 19 | 5 | 4 | 1 |
| ხმალაძე | 21 | 19 | 1 | 3 | - |
| ხუციშვილი | 21 | 11 | 4 | - | 1 |
| გრიშიკაშვილი (მკ.) | 16 | 16 | -11 | 4 | - |
| ოდიკაძე | 15 | 4 | 1 | 1 | - |
| შაშიაშვილი** | 13 | 13 | - | 2 | - |
| დილმელაშვილი** | 13 | 13 | - | - | - |
| ფეიქრიშვილი** | 13 | 11 | 6 | - | - |
| ბობოხიძე* | 13 | 7 | 5 | 2 | - |
| ლ. ნოზაძე | 13 | 4 | - | 1 | - |
| კრშკო** | 12 | 12 | - | 1 | - |
| ზელიჩი** | 11 | 11 | - | 2 | - |
| გიგაური* | 11 | 11 | 1 | - | - |
| გ. კაშია | 11 | 10 | 2 | 1 | - |
| დვალი* | 11 | 4 | 3 | 1 | - |
| ლორია (მეკ.) | 10 | 10 | -8 | 2 | - |
| ნავალოვსკი* | 10 | 10 | - | 1 | - |
| ამბროზიო* | 9 | 9 | 1 | 1 | - |
| სპასოევიჩი** | 9 | 1 | 1 | 1 | 1 |
| გრიგალაშვილი* | 5 | 4 | - | 1 | - |
| ჯანაშია | 5 | 1 | - | - | - |
| ნერგაძე* | 4 | 4 | - | - | - |
| ანგულო* | 4 | 2 | - | - | - |
| თომაშვილი | 3 | 3 | - | - | - |
| აკობია | 3 | 2 | 1 | - | - |
| ჩირიკაშვილი | 1 | 1 | - | - | - |
| ბაბუნაშვილი* | 1 | 1 | - | - | - |
| ახალაია* | 1 | 1 | - | - | - |
| მახარაძე* | 1 | - | - | - | - |
| ურტადო* | 1 | - | - | - | - |

## ამერი

| | მატჩი | ძირითადში | გოლი | ყვითელი | წითელი |
|---|---|---|---|---|---|
| ქვარახია (მეკ.) | 26 | 26 | -13 | 3 | - |
| დავითნიძე | 24 | 24 | - | 5 | - |
| ს. დამითაშვილი | 24 | 24 | 9 | 1 | - |
| დოლიძე | 24 | 22 | 7 | 6 | - |
| ბოლქვაძე | 22 | 22 | 3 | 5 | - |
| ტატანაშვილი | 22 | 7 | 11 | - | - |
| ჩიკვილაძე | 21 | 19 | 1 | 6 | - |
| ხვადაგიანი | 20 | 19 | 1 | 1 | - |
| ბ. ჯელაძე | 20 | 11 | 1 | 4 | - |
| დიდავა | 19 | 19 | 1 | 4 | - |
| დეკანოსიძე | 19 | 15 | 2 | 2 | - |
| დობროვოლსკი | 18 | 18 | 1 | 2 | 1 |
| გ. ელბაქიძე | 18 | 16 | - | 3 | 1 |
| წინამძღვრიშვილი | 17 | 15 | 10 | 4 | - |
| მჭედლიშვილი | 15 | 8 | 1 | 3 | - |
| ჩიმაკაძე | 10 | 2 | 3 | - | - |
| სევასტოპულო | 9 | 3 | 1 | - | - |
| კაკაშვილი** | 7 | 5 | 1 | - | - |
| მესხი** | 7 | 4 | - | 3 | - |
| გაბისკირია | 6 | 3 | - | 1 | - |
| გვაძაბია | 3 | 2 | - | - | - |
| სილაგავა | 3 | 1 | - | - | - |
| კედელაშვილი* | 2 | 2 | - | - | - |
| ნიკოლაიშვილი | 2 | - | - | - | - |
| ბერიანიძე | 2 | - | - | - | - |
| ნადირაშვილი (მკ.) | 1 | - | -1 | - | - |
| ვაჩეიშვილი** | 1 | - | - | - | - |

## ზესტაფონი

| | მატჩი | ძირითადში | გოლი | ყვითელი | წითელი |
|---|---|---|---|---|---|
| ჭანტურია (მეკ.) | 25 | 25 | -10 | 2 | - |
| ს. თოდუა | 25 | 25 | - | 5 | - |
| შ. ლონლაძე | 24 | 23 | 4 | - | - |
| იონანიძე | 24 | 18 | 11 | 2 | - |
| ბ. ნოზაძე | 24 | 16 | 1 | 2 | - |
| ფიფია | 23 | 21 | 12 | 2 | - |
| კ. ჩხეტიანი | 22 | 22 | - | 3 | - |
| გ. ჭელიძე | 22 | 21 | 9 | 2 | - |
| ნ. კვასხვაძე | 21 | 12 | 3 | 1 | - |
| საჯაია | 19 | 19 | 1 | 2 | - |
| ვიეირა | 16 | 15 | 3 | 3 | - |
| რ. ონიანი** | 12 | 12 | 2 | 3 | - |
| ჟონატასი** | 10 | 7 | 1 | 1 | - |
| ძამსაშვილი* | 10 | 5 | - | - | - |
| სანტოსი | 9 | 7 | 1 | - | - |
| ბ. გოცირიძე | 9 | 3 | 2 | - | - |
| განუგრავა* | 8 | 7 | - | 1 | - |
| კესანი** | 8 | 7 | - | 1 | - |
| თურმანიძე* | 8 | 5 | - | - | - |
| გ. ჩხეტიანი** | 8 | 5 | 2 | 1 | - |
| იმედაძე* | 6 | 2 | - | - | - |
| ლეანდრო** | 6 | 1 | - | - | - |
| ხიდეშელი | 5 | 4 | - | - | - |
| ბწალავა* | 5 | 2 | - | - | - |
| ბენაშვილი | 5 | - | 2 | - | - |
| დოლონაძე** | 1 | 1 | - | - | - |
| რ. კვასხვაძე (მეკ.) | 1 | 1 | -1 | - | - |
| ჯანელიძე | 1 | - | - | - | - |

## ვიტ ჯორჯია

| | მატჩი | ძირითადში | გოლი | ყვითელი | წითელი |
|---|---|---|---|---|---|
| ბედიაშვილი (მკ.) | 26 | 26 | -27 | - | - |
| დ. ლომაია | 25 | 25 | 2 | 2 | - |
| გ. დათუნაიშვილი | 24 | 23 | 7 | 7 | - |
| ბერიაშვილი | 24 | 13 | 4 | - | - |
| ა. კვახაძე | 23 | 23 | 2 | 1 | - |
| ჯაფარიძე | 23 | 18 | - | 4 | - |
| რაზმაძე | 22 | 16 | 1 | 5 | 1 |
| ლუჭაშვილი | 21 | 12 | - | - | - |
| პ. დათუნაიშვილი | 20 | 20 | - | 3 | 1 |
| გ. მელქაძე | 20 | 19 | 4 | - | - |
| სახოკია | 19 | 18 | 4 | 1 | 1 |
| გელაშვილი | 17 | 15 | 10 | 1 | - |
| ბეჭვაია | 15 | 5 | - | 1 | - |
| კვალინიძე | 14 | 5 | - | 2 | - |
| დილმელაშვილი* | 13 | 13 | 1 | 2 | - |
| ფეიქრიშვილი* | 13 | 13 | 4 | 2 | - |
| გველესიანი | 11 | 11 | - | 1 | - |
| კლიმიაშვილი | 9 | 4 | 1 | 1 | - |
| ინჯგია | 6 | - | - | - | - |
| ადამაძე | 5 | 3 | - | 2 | - |
| თ. კობიაშვილი | 4 | 3 | - | - | - |
| კიკნაძე** | 4 | 1 | - | - | - |
| მიქაბერიძე (მეკ.) | 1 | - | -1 | - | - |
| ლიპარტია | 1 | - | - | - | - |

## სიონი

| | მატჩი | ძირითადში | გოლი | ყვითელი | წითელი |
|---|---|---|---|---|---|
| ბ. ცხადაძე | 23 | 10 | 1 | 2 | - |
| ა. ალავიძე | 21 | 15 | 5 | 2 | - |
| ლ. ბაჯელიძე | 20 | 19 | 1 | 1 | - |
| კობაური | 20 | 16 | - | 2 | - |
| ვ. უგრეხელიძე | 19 | 13 | 3 | 2 | - |
| ჩასემი | 18 | 18 | 5 | 2 | - |
| რაძვიაშვილი | 18 | 14 | - | 1 | - |
| ლ. ჭელიძე | 17 | 17 | - | 1 | - |
| ბოიომო | 16 | 15 | 2 | 2 | - |
| კეიტაიშვილი | 15 | 7 | - | 1 | - |
| ჭიჭველიშვილი* | 13 | 13 | 1 | 4 | - |
| ბოგლიაშვილი (მკ.) | 13 | 12 | -10 | 1 | - |
| ევოჩე | 13 | 9 | 3 | 1 | - |
| ბაბუნაშვილი** | 11 | 11 | 1 | - | - |
| ოქროპირიძე | 11 | 8 | - | - | - |
| კორლალიძე** | 10 | 10 | 1 | 1 | - |
| სვანიძე | 10 | 7 | - | 2 | - |
| შავგულიძე* | 9 | 6 | 1 | 1 | - |
| ძარდავა | 9 | 4 | 1 | 1 | - |
| სანიკიძე** | 8 | 8 | - | - | 1 |
| ბათიაშვილი (მკ.)* | 7 | 7 | -8 | - | - |
| მამალაძე (მეკ.)** | 7 | 6 | -6 | - | - |
| ექონია** | 6 | 6 | - | - | - |
| ორბელაძე** | 6 | 6 | - | 1 | - |
| სიჭინავა* | 6 | 6 | - | 1 | - |
| დარასელია** | 5 | 5 | 3 | 2 | - |
| ლ. სილაგაძე** | 5 | 5 | - | 1 | - |
| ზ. ჭელიძე* | 5 | 2 | - | - | - |
| ძურასბედიანი | 5 | 1 | - | - | - |
| გიგინეიშვილი | 3 | 1 | - | - | - |
| ბუბუტეიშვილი | 2 | 2 | - | - | - |
| ლ. ჩხეტიანი | 2 | 2 | - | - | - |
| გავაშელი (მეკ.) | 1 | 1 | -3 | - | - |
| ნაყოფია | 1 | 1 | - | - | - |
| გაბიძაშვილი | 1 | 1 | - | - | - |
| ებრალიძე | 1 | 1 | - | - | - |
| უგულავა | 1 | - | - | - | - |
| გუგუნაშვილი | 1 | - | - | - | - |

## ტორპედო

| | მატჩი | ძირითადში | გოლი | ყვითელი | წითელი |
|---|---|---|---|---|---|
| გურული | 23 | 22 | 1 | 1 | - |
| ზ. ჩხეტიანი | 21 | 21 | 1 | 4 | - |
| ლალაძე | 21 | 17 | - | 2 | - |
| ნადირაძე | 15 | 12 | 1 | 1 | - |
| ჭედია | 15 | 9 | - | 2 | - |
| მ. ლონლაძე | 15 | 9 | 2 | 1 | - |
| გამეზარდაშვილი* | 13 | 13 | 4 | - | - |
| ქვილითაია (მეკ.) | 13 | 12 | -25 | - | - |
| კოდალაევი (მეკ.)* | 12 | 12 | -8 | 1 | - |
| ფარულავა | 12 | 12 | - | 1 | - |
| კრასოვსკი* | 12 | 11 | 2 | - | - |
| გ. ჩხეტიანი | 11 | 11 | - | 2 | - |
| ბერუაშვილი* | 11 | 9 | - | - | - |
| ზივზივაძე** | 11 | 9 | 1 | 2 | - |
| ქუთათელაძე | 11 | 8 | 2 | - | - |
| დოლონაძე* | 11 | 5 | - | 1 | - |
| გოგია* | 10 | 10 | - | - | - |
| იმედაძე** | 10 | 9 | 3 | - | - |
| რ. ბარაბაძე** | 9 | 9 | - | - | - |
| წიქარიშვილი | 9 | 7 | 1 | - | - |
| ა. კვერნაძე | 9 | 5 | - | - | - |
| ლ. კირკიტაძე** | 8 | 7 | 1 | 1 | - |
| კვეტენაძე** | 8 | 6 | - | - | - |
| მუშკუდიანი* | 8 | 4 | 3 | 1 | - |
| ხურცილავა** | 6 | 5 | - | 1 | - |
| ცქვიტაია* | 6 | 1 | - | 1 | - |
| თ. უგრეხელიძე* | 5 | 4 | 1 | 1 | - |
| მდივნიშვილი** | 5 | 1 | - | - | - |
| ტაბიძე** | 4 | 4 | - | - | - |
| ხარებავა | 4 | 3 | - | - | - |
| დანელია** | 4 | 1 | - | - | - |
| გორგოძე** | 4 | - | - | - | - |
| გ. კილასონია** | 3 | 3 | - | - | - |
| ჯანაშია** | 3 | 3 | - | - | - |
| კიკვიძე** | 3 | 3 | - | - | - |
| ოლიშარია (მეკ.)** | 2 | 2 | -2 | - | - |
| რ. კაშია** | 2 | 2 | - | - | - |
| გოდერიძე** | 2 | 2 | - | - | - |
| ნაჭყებია** | 2 | - | - | - | - |
| შონია* | 1 | 1 | - | - | - |
| კუხიანიძე** | 1 | 1 | - | - | - |
| მახარობლიძე** | 1 | 1 | - | - | - |
| გურეშიძე* | 1 | - | - | - | - |
| ხორავა* | 1 | - | - | - | - |
| ხურციძე | 1 | - | - | - | - |
| ქიმუცაძე** | 1 | - | - | - | - |
| ვაჩიბერაძე** | 1 | - | - | - | - |

## ლოკომოტივი

| | მატჩი | ძირითადში | გოლი | ყვითელი | წითელი |
|---|---|---|---|---|---|
| გვარამაძე (მეკ.) | 24 | 24 | -29 | 2 | - |
| გ. კვახაძე | 23 | 23 | - | 6 | 1 |
| ვ. გოჩაშვილი | 22 | 22 | 7 | 6 | - |
| დ. ფოფხაძე | 22 | 20 | 1 | 5 | - |
| გულორდავა | 22 | 20 | - | 3 | - |
| თუთბერიძე | 21 | 20 | - | 4 | - |
| გუშარაშვილი | 19 | 19 | 2 | 6 | 1 |
| ჟლენტი | 19 | 16 | 2 | 3 | - |
| ებრალიძე | 18 | 17 | - | 5 | - |
| კუპრეიშვილი | 14 | 12 | - | 4 | - |
| ბარბაქაძე | 14 | 5 | - | 3 | - |
| მალიჩავა** | 12 | 12 | 1 | 2 | 1 |
| ალავერდაშვილი | 12 | 7 | 4 | 2 | - |
| ყენია | 11 | 11 | 3 | 1 | - |
| ჩომახიძე** | 11 | 7 | 1 | 2 | - |
| სოსელია** | 10 | 3 | 1 | - | - |
| სამხარაძე** | 9 | 9 | - | 4 | - |
| ავალიანი* | 9 | 8 | - | 1 | - |
| მიხაილიდი* | 9 | 7 | - | 1 | - |
| ჩივაძე* | 9 | 3 | - | 2 | - |
| ცხომარია* | 7 | 6 | - | 2 | - |
| ბახტაძე | 7 | 2 | 1 | - | - |
| მხეიძე* | 6 | 4 | - | - | - |
| კირკიტაძე** | 6 | 1 | 1 | - | - |
| ბუდაღაშვილი | 5 | 1 | - | - | - |
| დეისაძე* | 5 | 1 | - | - | - |
| ებანოიძე* | 3 | 1 | - | 1 | - |
| ყიფიანი* | 3 | 1 | - | - | - |
| ელიზბარაშვილი** | 2 | 1 | - | - | - |
| აბულაძე* | 1 | 1 | - | - | - |
| მიგინეიშვილი (მკ.) | 1 | 1 | -1 | 1 | - |
| ზუხბაია (მეკ.) | 1 | 1 | -1 | - | - |
| ბარაბაძე* | 1 | - | - | - | - |
| სარაჯიშვილი* | 1 | - | - | - | - |
| კალანდია* | 1 | - | - | - | - |
| ციქურიშვილი** | 1 | - | - | - | - |

## ბათუმი

| | მატჩი | ძირითადში | გოლი | ყვითელი | წითელი |
|---|---|---|---|---|---|
| ბალოგრე | 24 | 22 | 1 | 6 | - |
| ცანავა | 24 | 22 | - | 6 | - |
| კუნჭულია | 22 | 16 | 1 | 1 | - |
| სომხიშვილი (მეკ.) | 19 | 19 | -24 | 1 | - |
| ლობჟანიძე | 19 | 19 | - | 4 | - |
| ბეჟანიძე | 17 | 10 | 5 | 1 | - |
| ფარტენაძე | 16 | 3 | 1 | 1 | 1 |
| შალამბერიძე** | 13 | 13 | 1 | 1 | - |
| დარჩიძე** | 13 | 11 | 2 | 1 | - |
| ტულუში | 13 | 1 | 3 | - | - |
| ნერგაძე** | 12 | 12 | 3 | 1 | - |
| ექონია* | 11 | 11 | 1 | 3 | - |
| ვ. კვარაცხელია** | 11 | 11 | 3 | 3 | - |
| ხოხონიშვილი** | 11 | 10 | - | 3 | 1 |
| ოქრუაშვილი* | 11 | 10 | - | - | - |
| კომპაძე* | 10 | 10 | - | - | - |
| თედორაძე** | 10 | 10 | - | 1 | - |
| აფშილავა* | 9 | 9 | - | 2 | - |
| გოგოლაძე* | 9 | 7 | 2 | 1 | - |
| ა. მუჯირი* | 8 | 8 | 3 | - | 1 |
| ჯინჭარაძე* | 8 | 6 | - | 1 | 1 |
| ა. ბაჯელიძე | 8 | 2 | - | 2 | - |
| თოთლაძე (მეკ.) | 7 | 7 | -6 | 1 | - |
| კერესელიძე* | 6 | 3 | - | - | - |
| რ. ჯიქია* | 5 | 5 | - | 1 | - |
| ნაჭყებია* | 5 | 5 | - | 1 | - |
| ძორიძე* | 5 | 5 | - | 2 | - |
| ჯაბნიძე* | 5 | 4 | 1 | - | - |
| მაკარიანი** | 4 | 2 | - | - | - |
| გოგიშვილი* | 3 | 3 | - | 1 | - |
| ტიაგო* | 2 | 2 | - | - | - |
| თურმანიძე** | 2 | 2 | - | - | - |
| მახარაძე | 2 | 1 | - | 1 | - |
| აბაშიძე* | 2 | - | - | - | - |
| ხარაზი* | 2 | - | - | - | - |
| დემურაძე** | 2 | - | - | - | - |
| ჯანელიძე* | 1 | 1 | - | 1 | - |
| გოგიტიძე* | 1 | - | - | - | - |
| შაველიძე* | 1 | - | - | - | - |
| ბერიძე* | 1 | - | - | - | - |
| ბაციკაძე** | 1 | - | - | - | - |

## ბორჯომი

| | მატჩი | ძირითადში | გოლი | ყვითელი | წითელი |
|---|---|---|---|---|---|
| შ. ჯიქია | 23 | 23 | 9 | 6 | - |
| ძარძოზაშვილი | 23 | 23 | 1 | 2 | 1 |
| შეყრილაძე (მეკ.) | 18 | 17 | -21 | 1 | - |
| თედიაშვილი | 18 | 11 | - | 3 | - |
| გოგიჩაიშვილი | 17 | 11 | - | - | - |
| ნადირაშვილი | 15 | 15 | - | 3 | - |
| ავალიანი | 14 | 14 | - | 2 | - |
| დ. ბაქრაძე* | 13 | 13 | 1 | 1 | - |
| ლ. მერებაშვილი** | 13 | 13 | - | 1 | - |
| ლომიძე | 13 | 7 | - | - | - |
| თ. ლონლაძე** | 12 | 12 | 1 | 2 | - |
| კაიდარაშვილი** | 12 | 10 | 1 | 2 | - |
| კომპაძე** | 11 | 11 | 1 | 2 | - |
| კვერნაძე** | 11 | 4 | - | 1 | - |
| შ. გრიგალაშვილი** | 10 | 10 | 2 | 4 | - |
| კაკალაძე** | 10 | 9 | 2 | 1 | - |
| მემარნიშვილი** | 9 | 9 | - | 1 | - |
| ბენდელიანი* | 8 | 7 | - | 1 | - |
| კიკნაძე* | 8 | 2 | 4 | - | - |
| ნკემი* | 7 | 7 | 2 | 1 | - |
| საყვარელიძე** | 7 | 2 | - | 1 | - |
| ლაზარაშვილი | 7 | 2 | - | - | - |
| ნაკანი* | 6 | 6 | 1 | 1 | - |
| მოდებაძე* | 6 | 5 | 1 | - | - |
| კოდალაევი (მეკ.)** | 5 | 5 | -4 | 2 | 1 |
| სუხიაშვილი | 5 | 3 | - | - | - |
| მონგუე* | 5 | 2 | - | - | - |
| საჯაია* | 4 | 4 | 3 | 1 | - |
| დათვაძე* | 4 | 4 | - | - | - |
| დონდოლაძე* | 4 | 3 | - | 1 | - |
| ტალახაძე | 4 | 1 | - | - | - |
| ჭურაძე (მეკ.)* | 2 | -4 | - | 1 | - |
| გარუჩავა* | 2 | 2 | - | - | - |
| პაკორი (მეკ.)* | 2 | 2 | -6 | - | - |
| პომარო* | 2 | 2 | - | 1 | - |
| ნინი* | 2 | 2 | - | 1 | - |
| ავერსა* | 2 | 2 | - | 1 | - |
| ბედინი* | 2 | 2 | - | - | - |
| კასტელო* | 2 | 2 | - | - | - |
| ორმოცაძე* | 2 | 2 | - | - | - |
| ფურთუხია* | 2 | 1 | - | - | - |
| ფრანკი* | 1 | 1 | - | - | - |
| კობახიძე* | 1 | 1 | - | - | - |
| გ. ბაქრაძე | 1 | - | - | - | - |

## მერანი

| | მატჩი | ძირითადში | გოლი | ყვითელი | წითელი |
|---|---|---|---|---|---|
| ბესარაშვილი | 23 | 23 | 2 | 9 | 1 |
| ქემაშვილი | 20 | 15 | 2 | 4 | - |
| გაგუა | 19 | 18 | 5 | - | - |
| ოსიტაშვილი | 18 | 16 | 1 | 3 | - |
| სეფიაშვილი (მეკ.) | 17 | 17 | -26 | - | - |
| ბურჯანაძე | 17 | 11 | 1 | 3 | - |
| ჯანგიძე | 16 | 15 | - | 2 | - |
| ფურთუხია | 15 | 13 | - | - | - |
| სარალიძე | 14 | 14 | - | 1 | - |
| ძორიძე | 13 | 11 | 1 | - | - |
| კობერიძე | 13 | 11 | - | 1 | - |
| თურქია | 12 | 11 | - | 4 | - |
| ლ. მანწკავა* | 12 | 7 | 1 | - | - |
| ლ. გრიგალაშვილი | 11 | 11 | - | 1 | - |
| აფშილავა** | 10 | 10 | - | 1 | - |
| გლუნჩაძე (მეკ.) | 9 | 9 | -14 | 1 | 1 |
| ცისკარაული | 9 | 3 | - | - | - |
| დეისაძე** | 8 | 6 | 1 | 1 | - |
| ხურცილავა* | 7 | 4 | - | 1 | - |
| ზედელაშვილი** | 7 | 5 | - | - | - |
| ჩივაძე** | 7 | 4 | - | 1 | - |
| ლ. კვარაცხელია* | 6 | 6 | - | 1 | - |
| კედელაშვილი** | 6 | 6 | - | 1 | 1 |
| მჭედლიშვილი* | 6 | 4 | - | 1 | - |
| ფურცელაძე** | 6 | 4 | 1 | - | - |
| კეტაშვილი** | 6 | 3 | - | - | - |
| ა. ნოზაძე** | 5 | 5 | 2 | 1 | - |
| სულაქველიძე* | 5 | 4 | - | 1 | - |
| ოქრუაშვილი** | 5 | 4 | - | 2 | - |
| დათუნაშვილი | 5 | 1 | - | - | - |
| კარსანიძე* | 4 | 4 | 1 | 3 | 1 |
| ნეფარიძე | 3 | 3 | 1 | 1 | - |
| მოდებაძე** | 3 | 2 | - | 1 | - |
| ნაკანი** | 3 | 1 | - | - | - |
| დ. ხანიშვილი* | 2 | 2 | - | 1 | - |
| ქ. ხანიშვილი* | 2 | 1 | - | - | - |
| შველიძე* | 2 | - | - | - | - |
| ჩაჩიბაია** | 2 | - | - | - | - |
| სილაგაძე* | 1 | 1 | - | - | - |
| სახვაძე** | 1 | - | - | - | - |
| შოშიაშვილი* | 1 | - | - | - | - |
| ბეჟანიშვილი* | 1 | - | - | - | - |
| ლომიძე (მეკ.)** | 1 | - | -1 | - | - |
| სიხარულიძე** | 1 | - | - | - | - |
| გულიაშვილი** | 1 | - | - | - | - |
| ზირაქიშვილი** | 1 | - | - | - | - |

## ჩიხურა

| | მატჩი | ძირითადში | გოლი | ყვითელი | წითელი |
|---|---|---|---|---|---|
| გ. მიქაძე | 24 | 21 | 2 | 7 | - |
| ბუცხრიკიძე | 18 | 17 | 2 | 3 | - |
| ვაშაკიძე | 17 | 12 | - | 1 | - |
| მამალაძე (მეკ.)* | 13 | 13 | -22 | - | - |
| ბურნაძე* | 13 | 13 | - | - | - |
| ჩომახიძე* | 13 | 13 | - | 1 | - |
| თავბერიძე | 13 | 10 | - | - | - |
| ლ. მერებაშვილი* | 12 | 12 | 1 | 2 | - |
| თედორაძე* | 12 | 12 | - | - | - |
| მემარნიშვილი* | 12 | 12 | - | - | - |
| ქემოკლიძე** | 12 | 12 | - | - | - |
| კაკალაძე* | 12 | 11 | 3 | 1 | - |
| გვეტაძე | 12 | 6 | - | - | - |
| მესხი* | 11 | 11 | 1 | 3 | - |
| სტურუა (მეკ.)** | 11 | 11 | -14 | - | - |
| დვალი** | 11 | 11 | 2 | 3 | - |
| ბარამიძე** | 11 | 11 | - | 1 | - |
| ი. ზაბახიძე | 11 | 10 | - | - | - |
| ძუხილავა** | 11 | 9 | - | - | - |
| გიგაური** | 10 | 10 | - | - | - |
| სტეფნაშვილი | 10 | 1 | - | - | - |
| მარგალიტაძე* | 9 | 9 | 1 | 3 | - |
| მ. მიქაძე | 9 | 1 | - | - | - |
| ქუცურუა** | 8 | 8 | - | 2 | 1 |
| სულთანიშვილი* | 8 | - | - | - | - |
| მახარაძე** | 7 | 7 | - | 3 | 1 |
| ჩხაიძე* | 7 | 3 | - | - | - |
| სანიკიძე* | 6 | 6 | - | 1 | - |
| გ. მანწკავა* | 3 | 3 | 1 | 1 | - |
| ეგაძე* | 3 | 2 | - | - | - |
| ბრეგვაძე* | 3 | 1 | - | - | - |
| ვ. ზაბახიძე | 3 | - | - | - | - |
| როგავა | 2 | 2 | - | - | - |
| მწყერაშვილი (მკ.) | 2 | 2 | -10 | - | - |
| ხაჭიპერაძე* | 2 | - | - | - | - |
| ჩარგეიშვილი** | 2 | - | - | - | - |
| ხვედელიძე | 1 | 1 | - | - | - |
| მეტონიძე | 1 | 1 | - | - | - |
| გულიაშვილი | 1 | 1 | - | - | - |
| გოდერძიშვილი* | 1 | - | - | - | - |
| ივანიშვილი | 1 | - | - | - | - |

პირობითი აღნიშვნები: * - ფეხბურთელმა გუნდში პირველ წრეში ითამაშა. **- ფეხბურთელმა გუნდში მეორე წრეში ითამაშა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### დილა

| | მატჩი | ძირითადში | გოლი | ყვითელი | წითელი |
|---|---|---|---|---|---|
| ვარდოსანიძე | 23 | 12 | 3 | 1 | - |
| სადღაშვილი | 22 | 18 | - | 2 | - |
| ბალიაშვილი | 21 | 17 | - | 3 | - |
| ტლაშაძე | 21 | 14 | - | 5 | - |
| ნ. ნოზაძე | 18 | 13 | - | 1 | 1 |
| კობახიძე | 17 | 17 | - | 2 | 1 |
| წინამძღვრიშვილი | 14 | 12 | 1 | 1 | - |
| ბალაშვილი | 13 | 13 | - | 2 | - |
| ყველაშვილი** | 13 | 13 | 1 | - | - |
| კ. ხანიშვილი** | 12 | 12 | 1 | 3 | - |
| აბრამიშვილი | 12 | 5 | 1 | 1 | 1 |
| გონჩაროვი** | 11 | 11 | 4 | - | - |
| თევდორაძე (მკ.)** | 11 | 11 | -17 | 3 | - |
| კურტანიძე | 11 | 10 | - | 1 | - |
| დ. ხანიშვილი** | 11 | 10 | - | 1 | - |
| ლომაშვილი** | 11 | 10 | - | 1 | - |
| სულთანიშვილი** | 10 | 8 | 3 | 2 | - |
| ოლგესაშვილი* | 9 | 9 | - | 1 | - |
| მასურაშვილი* | 9 | 8 | - | 1 | - |
| ლომიძე | 9 | 7 | - | - | - |
| კეჩხუაშვილი (მეკ.) | 9 | 7 | -21 | - | - |
| ლაზაძე* | 8 | 8 | - | 2 | - |
| ზ. ჩიტაია** | 8 | 4 | 2 | - | - |
| ვაჩეიშვილი* | 7 | 7 | 2 | 3 | - |
| ილურიძე (მეკ.)* | 7 | 6 | -13 | 2 | - |
| სამადაშვილი | 7 | 2 | - | 1 | - |
| საყვარელიძე* | 5 | 5 | - | - | - |
| ი. თაყაძე | 5 | 1 | - | - | - |
| მძინარიშვილი* | 4 | 4 | - | - | - |
| თომაშვილი* | 3 | 2 | - | - | - |
| ნადირაშვილი* | 2 | 2 | - | - | - |
| თურმანიძე* | 2 | 2 | - | - | - |
| გეგეშიძე (მეკ.)* | 2 | 2 | -3 | - | - |
| ბურნაძე** | 2 | 2 | - | 1 | - |
| სომხიშვილი* | 2 | 1 | - | - | - |
| ქავთარაძე* | 2 | - | - | - | - |
| მიხანაშვილი* | 2 | - | - | - | - |
| ლ. გოჩაშვილი* | 1 | 1 | - | - | - |
| იჩქითი* | 1 | - | - | - | - |
| ზ. ელბაქიძე* | 1 | - | - | - | - |

### კახეთი

| | მატჩი | ძირითადში | გოლი | ყვითელი | წითელი |
|---|---|---|---|---|---|
| ტეტიაშვილი | 22 | 13 | 4 | - | 1 |
| ბიძინაშვილი | 20 | 14 | 3 | 1 | - |
| მურველაშვილი | 19 | 16 | 1 | 2 | - |
| კობაიძე | 18 | 18 | 1 | 1 | - |
| ნ. დავითაშვილი | 17 | 17 | 2 | 1 | - |
| გ. იაშვილი (მეკ.) | 17 | 17 | 1/-57 | - | - |
| კველიშვილი | 16 | 16 | - | 5 | - |
| კუპრაშვილი** | 12 | 12 | 1 | 2 | - |
| გ. ხიდაშელი** | 12 | 11 | - | 1 | - |
| ჩუთლაშვილი** | 12 | 11 | 2 | 1 | - |
| მ. ხიდაშელი | 12 | 8 | - | 1 | - |
| ძამუკაშვილი | 12 | 5 | - | - | - |
| ბურნაძე | 12 | 3 | - | 2 | - |
| მაღლაკელიძე* | 11 | 11 | - | - | - |
| კვირკველია | 11 | 11 | - | 1 | - |
| ბერბიშვილი | 11 | 9 | - | 2 | - |
| იმერლიშვილი* | 10 | 9 | - | 2 | - |
| ცინაძე (მეკ.)* | 9 | 9 | -23 | - | - |
| მედოევი** | 9 | 4 | - | 1 | - |
| ტარულაშვილი* | 8 | 8 | - | - | - |
| ლომიძე* | 8 | 7 | - | 2 | - |
| იოსებაშვილი** | 8 | 6 | - | - | - |
| ამირანიძე | 7 | 5 | - | - | - |
| ბურდული* | 6 | 6 | - | 1 | - |
| სოსელია* | 6 | 6 | 1 | 1 | - |
| ცისკარიშვილი | 6 | 3 | - | - | - |
| სიხარულიძე* | 5 | 5 | 1 | 1 | - |
| არუდაშვილი | 5 | 5 | 2 | - | - |
| ბედოიძე* | 4 | 4 | - | - | - |
| წუწუნავა* | 4 | 4 | 1 | - | - |
| მაჩაიძე** | 4 | 3 | - | - | - |
| ბიბილაშვილი** | 4 | 2 | - | - | - |
| მელიქიშვილი** | 4 | 1 | - | - | - |
| აბდულაევი | 3 | 2 | - | - | - |
| გიგაური** | 3 | 2 | - | - | - |
| ლოლაძე** | 2 | 2 | - | - | - |
| დავითულიანი** | 2 | 1 | - | - | - |
| ბარბაქაძე** | 2 | - | - | - | - |
| ბიდილაშვილი** | 1 | 1 | - | - | - |

### საბოლოო მდგომარეობა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 26 | 19 | 6 | 1 | 57-9 | 63 |
| 2. დინამო | 26 | 20 | 2 | 4 | 57-19 | 62 |
| 3. ამერი | 26 | 17 | 6 | 3 | 53-14 | 57 |
| 4. ზესტაფონი | 26 | 16 | 9 | 1 | 55-11 | 57 |
| 5. ვიტ ჯორჯია | 26 | 12 | 9 | 5 | 40-28 | 45 |
| 6. სიონი | 26 | 11 | 4 | 11 | 28-26 | 37 |
| 7. ტორპედო | 26 | 9 | 4 | 13 | 24-35 | 31 |
| 8. ლოკომოტივი | 26 | 8 | 6 | 12 | 25-34 | 30 |
| 9. ბათუმი | 26 | 8 | 6 | 12 | 27-30 | 30 |
| 10. ბორჯომი | 26 | 8 | 6 | 12 | 29-35 | 30 |
| 11. მერანი | 26 | 6 | 8 | 12 | 20-41 | 26 |
| 12. ჩიხურა | 26 | 5 | 6 | 15 | 13-46 | 21 |
| 13. დილა | 26 | 3 | 6 | 17 | 21-56 | 15 |
| 14. კახეთი | 26 | 0 | 2 | 24 | 21-86 | 2 |

# დინამო ახლებს ჩეხეთში ეძებს



ეროვნულ ჩემპიონატში კიდევ ერთი სეზონი გასრულდა. თასისა და ჩემპიონობისთვის მებრძოლი თბილისი "დინამო" ვერცერთ ტიტულს ვერ შესწვდა და მხოლოდ ვერცხლის მედლებსა და უეფას თასზე გამსვლელ საგზურს დასჯერდა. საინტერესოა, თუ როგორ აფასებს განვლილ სეზონს და რას ფიქრობს მომავალზე "დინამოს" მწვრთნელი დუშან უჰრინი. მას ჩეხეთში გამგზავრებამდე სანვრთნელ ბაზაზე ვეწვიეთ და გავესაუბრეთ.

ინტერვიუ დუშან უჰრინთან

# მინიმუმ სამი ფეხბურთელი გვჭირდება

**- მეორე წრის დაწყებამდე განაცხადეთ, რომ "დინამო" ჩემპიონობისა და თასის მოპოვებისთვის იბრძოლებდა. თუმცა გუნდი უტიტულოდ დარჩა და მხოლოდ მეორე ადგილს დასჯერდა...**

- "დინამო" რომ ჩავიბარე გუნდი ხუთეულს ქვემოთ იყო და უმალ შევუდექით ბრძოლას მაღალი პოზიციებისთვის. პირველი წრე მე-5 ადგილზე ჩავამთავრეთ. კარგად მახსოვს, 3 ქულით ჩამოვრჩებოდით "ამერს", "ვიტ ჯორჯიასა" და "ზესტაფონს", "ოლიმპი" კი სულაც 5 ქულით გვისწრებდა. სამწუხაროდ, ჩემპიონები ვერ გავხდით, მაგრამ "ოლიმპთან" 4 ქულის აღმოფხვრა შევძელით, "ამერსა" და "ზესტაფონს" 5-5 ქულით გავუსწარით, "ვიტ ჯორჯიასთან" კი სულაც 17 ქულიანი უპირატესობა გვაქვს.

ზამთრის პაუზისას ჩემპიონობისა და თასის მოპოვებისთვის ბრძოლა დავგეგმეთ. ორივე მიმართულებით ბოლომდე ვიბრძოლეთ, ყველაფერი ჩავდეთ ჩანაფიქრის განსახორციელებლად, მაგრამ ეს არ მოხერხდა. ბუნებრივია, ყოველივე ამას თავისი ახსნა აქვს.

**- რატომ არ მოხერხდა ჩანაფიქრის განხორციელება. რა დააკლდა "დინამოს"?**

- ზამთარში გუნდი არაერთი ფეხბურთელით გავაძლიერეთ. ზელიჩმა, კრშკომ და შაშიაშვილმა დაცვა უფრო საიმედო გახადეს. დილმელაშვილმა ცენტრი გაამაგრა, ფეიქრიშვილმა, შეტევებს სიმწვავე შემატა და თავადაც არაერთი გოლი გაიტანა. მეორე წრეში "დინამოს" თამაში არ წაუგია, მხოლოდ ორ ფრეს დავჯერდით. ერთი მოგებით მეტი რომ გვქონოდა, ჩემპიონები გავხდებოდით. ვფიქრობ, ჩვენი მთავარი პრობლემა საგოლე მომენტების რეალიზაციის დაბალი მაჩვენებელია. საერთო ჯამში ეს და სხვა წვრილმანები ისევ ფსიქოლოგიას უკავშირდება.

**- იქნებ დაგვიკონკრეტოთ...**

- განვლილმა სეზონმა 13-14 ფეხბურთელის მხრებზე გადაიარა. შეტევაში ჩვენი გუნდის ლიდერები კობახიძე, მერებაშვილი და იაშვილი არიან. ეს მოთამაშეები, შესაბამისად 19, 20 და 22 წლისანი არიან. კარგი ფეხბურთელები კი არიან, მაგრამ ფსიქოლოგიურად დიდად დაიტვირთნენ. ეს კი საგოლე მომენტების რეალიზაციის დაბალი მაჩვენებელში აისახა.

**- ჩემპიონობისთვის ბრძოლაში გადამწყვეტი მატჩი რუსთავში გქონდათ. რით ახსნით იმ მატჩის ვერმოგებას?**

- ისევ და ისევ ფსიქოლოგიით. მატჩი სავსე ტრიბუნების ფონზე მიმდინარეობდა. ჩვენი ახალგაზრდა ფეხბურთელები კი სამწუხაროდ ამას შეჩვეულნი არ არიან. მატჩის შემდეგ კობახიძე გამომიტყდა – სავსე ტრიბუნების წინაშე პირველად ვითამაშე და გამიჭირდაო. იმ მატჩში გამორჩეულები სწორედ გამოცდილი ფეხბურთელები, დილმელაშვილი, ზელიჩი და კრშკო იყვნენ.

**- იმ თამაშში "დინამოს" ერთადერთი საგოლე მომენტი ჰქონდა, რომელიც სპასოევიჩმა შექმნა. ხომ არ სჯობდა, ის უფრო ადრე შეგეყვანათ მოედანზე?**

- სპასოევიჩის შეყვანით ერთგვარად გავრისკე კიდეც. თუ რატომ, ამის პასუხად "ბათუმთან" ბოლო ტურის მატჩი გამოდგება. სპასოევიჩს მეტი სათამაშო დრო და გოლის გატანის არაერთი შანსი ჰქონდა, მაგრამ ვერ გამოიყენა. ის ჯერ კიდევ ახალგაზრდაა და გვჯერა მოუმატებს.

**- ხშირად ამბობენ და ალბათ თქვენც გსმენიათ – დუშან უჰრინი "დინამოს" ერთი ფორვარდით ათამაშებს, თორემ გუნდი უფრო შემტევი ტაქტიკით რომ თამაშობდეს, უკეთესი მაჩვენებელი ექნებოდაო. ამაზე რას იტყოდით?**

- ჯერ ერთი, სათამაშო სქემას ყოველთვის კონტინგენტიდან გამომდინარე ვარჩევ. მეორეც, ჩვენ ერთი ფორვარდით არ ვთამაშობდით. თავად განსაჯეთ – გამოკვეთილი ფორვარდი იაშვილია. სანდროს ფლანგებიდან კობახიძე და ფეიქრიშვილი ეხმარებიან. იაშვილის უკან კი მერებაშვილი მოქმედებს. ეს იმას ნიშნავს, რომ შეტევაში 4 თუ არა, მინიმუმ 3 ფეხბურთელი მაინც მონაწილეობს. პირველ წრეში კი გუნდი ორი გამოკვეთილი თავდამსხმელით ასპარეზობდა.

**- ბევრის აზრით თავდასხმაში იაშვილი-სპასოევიჩის ტანდემი მეტოქეებისთვის უფრო მრისხანე იქნებოდა.**

- ამაზე მეც მიფიქრია, მაგრამ მეორე წრის მსვლელობისას არაერთხელ დავრწმუნდი, რომ ეს ტანდემი შედეგიანობაში ბევრს ვერაფერს შეცვლიდა. სპასოევიჩში საკმაო პერსპექტივას ვხედავ, მაგრამ ის ჯერ მხოლოდ 19 წლისაა. ილიას სტაბილურობა აკლია.

**- ბევრს ახსოვს თქვენ მიერ გაწვრთნილი ჩეხეთის ნაკრები, რომელმაც 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალში ითამაშა. საერთოდ, თქვენს მდიდარ კარიერაზე არავინ დავობს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ "დინამოში" თქვენგან მეტს მოელოდნენ...**

- იმ გუნდს 3 წლის განმავლობაში ვაყალიბებდი. "დინამოს" ძლიერ გუნდად ჩამოყალიბებას კი მხოლოდ 4-5 თვის წინათ შევუდექი... მე ჯადოქარი არ ვარ, ძლიერი გუნდის ჩამოყალიბებას დრო და კარგი ფეხბურთელები სჭირდება. 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალში მოთამაშე იმ გუნდიდან 3 ფეხბურთელი ან იმ დონის 3 მოთამაშე რომ მყავდეს, "დინამო" ჩემპიონიც გახდებოდა და თასიც ჩვენი იქნებოდა. ჩვენ ძლიერი გუნდის შენება დავიწყეთ. ჯერჯერობით მხოლოდ ნორმალური გუნდი გვყავს. შენებას გავაგრძელებთ და მალე უკეთესი შედეგები გვექნება.

ზემოთაც ვთქვი და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, ჩვენი მინუსი ფსიქოლოგია და საგოლე მომენტების გამოუყენებლობაა. იყო თამაშები, როცა 30 საგოლე მომენტი გვქონდა და მხოლოდ სამი ბურთი გავიტანეთ.

**- საგოლე მომენტების რეალიცაზია რამდენი პროცენტია?**

- ვფიქრობ, მაქსიმუმ 20 პროცენტია.

**- ალბათ დაიმატებთ ფეხბურთელებს. შაშიაშვილის საიჯარო კონტრაქტი ამოიწურა და ის წასვლას აპირებს. ცხადია, მარცხენა მცველი გჭირდებათ. კიდევ რომელ პოზიციებზე გეგმავთ გუნდის გაძლიერებას?**

- ჩვენ მინიმუმ სამი ფეხბურთელი გვესაჭიროება. გვინდა კარგი და ამავე დროს გამოცდილი მოთამაშეები. შაშიაშვილს საიჯარო კონტრაქტი ამოეწურა და მიდის. მართალია, მარცხენა მცველი გვესაჭიროება. სწორედ ამ მიზნით, სამშობლოში გავემგზავრები და "სლავია-ზლინის" მატჩს დავესწრები. ამ მატჩში "ზლინის" მარცხენა მცველს დავაკვირდები. 24 მაისს ჩეხეთში თასის ფინალსაც დავესწრები და იქაც დავაკვირდები ფეხბურთელებს. ვნახავ ჩემი ვაჟის, დუშან უჰრინის გუნდის, "მლადას" თამაშს "ლიბერეცთან". ჩვენ სამი ფეხბურთელი გვინდა სამ სხვადასხვა პოზიციაზე.

**- სხვადასხვა კლუბში განათხოვრებულ დინამოელებს რა ბედი ელით?**

- მეორე წრის დაწყებამდე გუნდი 15-მა ფეხბურთელმა დატოვა. ივნისში ისინი კვლავაც "დინამოში" გააგრძელებენ ვარჯიშს. დავაკვირდებით და მათგან 2-3 ფეხბურთელს დავიტოვებთ.

**- დაბოლოს, ევროტურნირებისა და ახალი სეზონისთვის სამზადისზე რას გვეტყოდით?**

- ისევე, როგორც ზამთარში ამჯერადაც ძლიერი გუნდებს შევარჩევთ სპარინგპარტნიორებად. ივნისში მზადებას თბილისში განვაახლებთ. მომავალი თვის ბოლოს მოლდოვაში გავივლით შეკრებას. ივლისის დასაწყისიდან კი გერმანიაში მოვემზადებით.

**დავით ცაბაძე**

**P.S** **თბილისის "დინამოს" მთავარი მწვრთნელი დუშან უჰრინი ორშაბათს, გამთენიისას, სამშობლოს გაემგზავრა. ჩეხეთის ჩემპიონატში, "სლავია"-"ზლინის" მატჩი (2:1) ორშაბათს გაიმართა. უჰრინს, ნათქვამის მიხედვით, "ზლინის" მარცხენა მცველის თამაში აინტერესებდა. ჩეხური საინფორმაციო საშუალებების მიხედვით, "სლავიასთან" "ზლინის" მარცხენა მცველობა 35 წლის ჩეხმა მილოსლავ პენერმა (180 სმ. 79 კგ.) გასწია. იმავე წყაროს მიხედვით, პენერს მარცხენა, მარჯვენა და ცენტრალურ მცველადაც კი შეუძლია თამაში. საერთოდ კი ამ სეზონში, "ზლინში" მარცხენა მცველად 32 წლის ბრონისლავ გერვენკასაც (182 სმ. 77 კგ.) არაერთხელ აქვს ნათამაშები.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსალოდნელი ტრანსფერი

# შევა მილანში ბრუნდება

## ჩელსის 12 მილიონი და კალაძე შესთავაზეს...



ისევ ერთად? შევჩენკოს შვილის ნათლობა მილანში. ნათლია სილვიო ბერლუსკონია

**რომან აბრამოვიჩმა ანდრეი შევჩენკოს** "მილანში" დაბრუნების ნება დართო. "სანის" სენსაციური ინფორმაციიდან იმასაც ვიგებთ, რომ უკრაინელი თავდამსხმელი "როსონერის" წარმომადგენლებს გუშინ, ათენში უნდა შეხვედროდა. მოლაპარაკებები ორ ფრონტზე მიმდინარეობს: ერთი მხრივ, კლუბები ცდილობენ საერთო ენის გამონახვას; და მეორე მხრივ, შევა კონტრაქტის პერსონალურ დეტალებს ათანხმებს. დღეს, ჩემპიონთა ლიგის ფინალზე, შევჩენკო მილანელთა პრეზიდენტ **სილვიო ბერლუსკონის** სტუმარი იქნება. "როსონერის" საიჯარო ხელშეკრულების გაფორმება სურდა. **მოურინიომ** შევას შემცვლელი მოითხოვა. მას ფული სჭირდება, ან ფული პლუს ფეხბურთელი. "მილანი" უფრო მეორე ვარიანტისაკენ გადაიხრება, 12 მილიონ გირვანქას გადაიხდის და ლონდონელებს **კახა კალაძეს** შესთავაზებს. შევჩენკოს წასვლის შემთხვევაში, "არისტოკრატები" **კარლოს ტევესს** დაუკავშირდებიან. ტევესს "ლივერპულიც" ეპატიჟება. მერსისაიდელებმა 20 მილიონი გირვანქა გაამზადეს. 30 წლის შევჩენკოს ლონდონში დარჩენა სურდა, მაგრამ კლუბმა **ჟოზე მოურინიოსთან** გააგრძელა თანამშრომლობა. ფორვარდის გეგმები თავდაყირა დადგა. ამიტომ ურთულესი სეზონის შემდეგ ანდრეიმ ნაცნობ გარემოში დაბრუნება გადაწყვიტა.

ბერლუსკონის სხვა საპატიო სტუმრებიც ეყოლება. "გაძეტა დელო სპორტის" ცნობით, "მილანის" პრეზიდენტმა თამაშზე **რონალდინიოსა** და **სამუელ ეტოოს** აგენტებიც დაპატიჟა. გასული კვირის მიწურულს ფეხბურთელებმა საჯაროდ განაცხადეს, რომ "ბარსელონაში" დარჩენა სურთ. იტალიელი პრეზიდენტისათვის ეს არაფერს ნიშნავს. **რობერტო ასისი** და **ხოსე მარია მესალესი** სინიორ სილვიოს ლოჟაში მოკალათდებიან. თამაშის შემდეგ კი მასთან ერთად ივახშმებენ.

მილანელთა სატრანსფერო ამბებს "კორიერე დელო სპორტიც" მიმოიხილავს. მისი მტკიცებით, "რეალთან" მოლაპარაკებები დასასრულს უახლოვდება – მომავალი სეზონიდან **ემერსონი** "როსონერიში" ითამაშებს. ბრაზილიელ ნახევარმცველს მადრიდულ კონტრაქტში ორი წელი რჩება. ამიტომ იტალიელებს სოლიდური თანხის გადახდა მოუწევთ. იმავე გამოცემაში ვკითხულობთ, რომ "მილანის" ტრანსფერების მენეჯერმა **არიედო ბრაიდამ** რომაელ მცველ **ფილიპ მექსესთან** ერთად ივახშმა. შეხვედრა ტრადიციულ ადგილას, კალაძის რესტორან "ჯანინოში" შედგა. 25 წლის ფრანგ ლეგიონერს "ჯალორროსისთან" კონტრაქტი გაისად ეწურება. ხელშეკრულებაში ჩადებულია მისი გამოსასყიდი თანხა - 7 მილიონი გირვანქა, რაც ამ დონის ფეხბურთელისათვის ძალიან ცოტაა. მილანელები ყველა ღონეს ხმარობენ მექსეს ხელში ჩასაგდებად. ამ ცნობას ოფიციალური გამოხმაურება არ მოჰყოლია.

მოსალოდნელი ტრანსფერი

# რივალდო ჰანოვერში?

## ამასობაში წითლები რადუს მოურიგდნენ...

გამოცემა "ჰანოვერიშე ნოიე პრესსე" იტყობინება, რომ დიდი შანსია, ლეგენდარულმა ბრაზილიელმა თავდამსხმელმა **რივალდომ** მომავალი სეზონიდან კარიერა გერმანულ "ჰანოვერში" გააგრძელოს. ხსენებული გამოცემა წერს, რომ 35 წლის ბრაზილიელის გერმანელმა მრჩეველმა **ჰენდრიკ ჰოპენვორთმა** რივალდო "ჰანოვერს" შესთავაზა. ეს უკანასკნელი პირდაპირ ამბობს, რომ ბრაზილიელი ბუნდესლიგაში სიამოვნებით გადავიდოდა. ცოტა ხნის წინ რივალდომ განაცხადა, რომ "ოლიმპიაკოსის" დატოვება სურს. მიზეზი ის გახლავთ, რომ კლუბის შეფმა **კოკალისმა** მას კონტრაქტის გახანგრძლივებისთვს ხელფასის განახევრება შესთავაზა, რაზეც 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა უარი განაცხადა. რივალდოს "ოლიმპიაკოსთან" კონტრაქტი უმთავრდება და შესაბამისად, სატრანსფერო ბაზარზე უფასოა. ამასობაში გაირკვა, რომ "წითლები" "კოტბუსის" ფორვარდ **სერგიუ რადუს** შეუთანხმდნენ, რომელმაც ამ სეზონში "ენერგის" მაისურით 14 გოლის გატანა შეძლო. ახლა მხარეები სატრანსფერო თანხაზე მსჯელობენ - საუბარია 2.5 მილიონ ევროზე.



რივალდო ძალებს გერმანიაში მოსინჯავს?

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ზიდანს ჰამბურგი ურჩევნია



მოჰამედ ზიდანი

"მაინცი" მეორე ბუნდესლიგაში გავარდა და ცხადია, რომ ამ გუნდის ეგვიპტელ ლიდერ **მოჰამედ ზიდანს** მეორე ლიგაში არავინ გაუშვებს. 25 წლის თავდამსხმელმა, რომელიც "მაინცში" ზამთარში "ვერდერიდან" გადაბარგდა და მეორე წრეში 13 გოლის გატანა შეძლო (სულ ამ სეზონში 14-ჯერ იხეირა), არნახული პროგრესი განიცადა და არაერთი სახელოვანი კლუბი დააინტერესა. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, მისი გადაბირება "ჰამბურგმა", "შტუტგარტმა", "ჰანოვერმა", "მარსელმა", "მონაკომ", "დეპორტივომ" და "ოსასუნამ" მოისურვეს.

მაგრამ თვითონ ეგვიპტელს ბუნდესლიგაში დარჩენა სურს და გერმანული კლუბებიდან უპირატესობას "ჰამბურგს" ანიჭებს. ანუ, გუნდს, რომელიც ინტერტოტოს თასზე ითამაშებს და არა მოქმედ ჩემპიონ "შტუტგარტს", რომელიც ჩემპიონთა ლიგაში იასპარეზებს. *"ვიცი, რომ "შტუტგარტს" ვუნდივარ, მაგრამ მე მაინც "ჰამბურგი" მირჩევნია - შესანიშნავი ქალაქია, შესანიშნავი გუნდითა და ქომაგებით. თანაც, HSV-ს ჩემი გადაბირება ჯერ კიდევ ზამთარში სურდა, როცა არც ისე პოპულარული ვიყავი. ამ გუნდს ამის გამოც ვაფასებ,"* - აცხადებს ზიდანი "ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში. გარკვეულია, რომ მაინცელები ზიდანს არ დააკავებენ (ვერც დააკავებდნენ). ამ გუნდის თავკაცი **იურგენ კლოპი** პირდაპირ ამბობს: *"თუ მოჰამედი დაგვტოვებს, მაშინ ფულს ავილებთ და სხვას ვიყიდით. ჩვენ მას ვერ ვაიძულებთ, რომ მეორე ბუნდესლიგაში იასპარეზოს!"* ცნობილია, რომ "მაინცი" ზიდანის სანაცვლოდ 5 მილიონ ევროს ითხოვს.

### სკოლარი ბელგიას ელოდება

პორტუგალიელთა თავკაცმა **ლუიშ ფელიპე სკოლარიმ** ბელგიასთან შესარჩევი მატჩისათვის შემდეგი ფეხბურთელები გამოიძახა:

**მეკარეები** – რიკარდო (სპორტინგი), დანიელ ფერნანდეში (პაოკ), კუიმ სილვა (ბენფიკა);

**მცველები** – ბრუნო ალვეში (პორტუ), ფერნანდო მეირა (შტუტგარტი), ჟორჟე ანდრადე (დეპორტივო), ჟოზე ბოსინგვა (პორტუ), მიგელი (ვალენსია), მარკო კანეირა (სპორტინგი), პაულუ ფერეირა (ჩელსი);

**ნახევარმცველები** – დეკუ (ბარსელონა), არმანდო პეტიტი (ბენფიკა), უგო ვიანა (ვალენსია), ჟოაო მოუტინიო (სპორტინგი), რაულ მეირელესი (პორტუ), სერჟიო ვალენტე (სევილია), ტიაგო მენდესი (ლიონი), რიკარდო კვარეშმა (პორტუ);

**თავდამსხმელები** – ელდერ პოშტიგა (პორტუ), უგო ალმეიდა (ვერდერი), ჟოაო ტომაში (ალ რაიანი), ნანი (სპორტინგი).

### ითამაშებს თუ არა იბრაჰიმოვიჩი?

შვედეთის ნაკრების თავკაცმა **ლარს ლაგერბაკმა** დანიასა (სტუმრად) და ისლანდიასთან (შინ) მატჩებისათვის შესუსტებული შემადგენლობა დაასახელა. ტრავმების გამო ვერ ითამაშებენ ლიონელი **კიმ კალსტრიომი** და რენელი **ერიკ ედმანი**. ლაგერბაკმა **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** გამოიძახა, იმ იმედით, რომ "ინტერის" თავდამსხმელი საზარდულის ტრავმას მოიშუშებს და ითამაშებს. შემადგენლობაშია რომაელი **კრისტიან ვილჰელმსონი**, რომელიც ეს-ესაა გამოჯანმრთელდა და ძირითადს უმიზნებს. შვედებმა წაუგებელი სერია ჩრდილოეთ ირლანდიასთან ბოლო შეხვედრაში შეწყვიტეს. მათ ჯგუფში მეორე ადგილი უკავიათ 12 ქულით და ირლანდიელებს ერთით ჩამორჩებიან.

**მეკარეები** – ანდრეას ისაკსონი (მანჩესტერ სიტი), რამი შააბანი (ფრედრიკსტადი);

**მცველები** – ფრედრიკ სტენმანი (ლევერკუზენი), პეტერ ჰანსონი (ჰერენვენი), დანიელ მაისტროვიჩი (ბაზელი), ოლოფ მელბერგი (ასტონ ვილა), მიკაელ ნილსონი (პანათინაიკოსი), მაქს ფონ შლებრიუგე (ანდერლეხტი);

**ნახევარმცველები** – ნიკლას ალექსანდერსონი (გიოტებორგი), დანიელ ანდერსონი (მალმიო), სამუელ ჰოლმენი (ელფსბორგი), ტობიას ლინდეროტი (კოპენჰაგენი), ფრედრიკ ლიუნგბერგი (არსენალი), ანდერს სვენსონი (ელფსბორგი), კენედი ბაკირჩოღლუ (ტვენტე), კრისტიან ვილჰემსონი (რომა);

**თავდამსხმელები** – მარკუს ოლბაკი (კოპენჰაგენი), იოჰან ელმანდერი (ტულუზი), ზლატან იბრაჰიმოვიჩი (ინტერი), მარკუს როზენბერგი (ვერდერი), პადე პრიცა (ოლბორგი).

### ერთი დებიუტანტი ჩეხეთის ნაკრებში

ჩეხეთის ნაკრების თავკაცმა **კარელ ბრიუკნერმა** ერთი დებიუტანტი გამოიძახა: "მლადის" 29 წლის თავდამსხმელი **ლუბოშ პეჩკა**. ის 16 გოლით ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირია. 2 ივნისს ჩეხები უელსს სტუმრად ეთამაშებიან.

**მეკარეები** – იარომირ ბლაჟეკი (სპარტა), პეტრ ჩეხი (ჩელსი);

**მცველები** – მარეკ იანკულოვსკი (მილანი), მარტინ ჟირანეკი (სპარტაკი), რადოსლავ კოჩავი (სპარტაკი), დავიდ როზენალი (პარი სენ ჟერმენი), ტომაშ უიფალუში (ფიორენტინა), ტომაშ ზაპოტოჩნი (უდინეზე);

**ნახევარმცველები** – ტომაშ გალაშეკი (ნიურნბერგი), იან პოლაკი (ნიურნბერგი), დავიდ იაროლიმი (ჰამბურგი), მარეკ მატეიოვსკი (მლადა), იაროსლავ პლასილი (მონაკო), ტომაშ როსიცკი (არსენალი), ტომაშ შივოკი (უდინეზე);

**თავდამსხმელები** – მილან ბაროში (ლიონი), იან კოლერი (მონაკო), მარეკ კრეიჩი (სპარტა), ლუბოშ პეჩკა (მლადა).

### დეილი ექსპრესი: ანრი მიდის

"დეილი ექსპრესმა" არსენალის" ქომაგები შოკში ჩააგდო. ტაბლოიდმა გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ **ტიერი ანრიმ** ლონდონიდან აბარგება გადაწყვიტა. ამ გამოცემას თუ დავუჯერებთ, "მეთოფეების" კაპიტანი თანაგუნდელებს გამოეთხოვა და ახლა "ბარსელონისა" და "ინტერის" შეთავაზებებზე ფიქრობს. "არსენალს" ინფორმაცია ჯერ არ უარუყვია. გუშინ ლონდონელთა შესახებ მხოლოდ ის შევიტყვეთ, რომ ახალი კონტრაქტი გააფორმა ტოგოელმა თავდამსხმელმა **ემანუელ ადებაიორმა**. 23 წლის ფეხბურთელს "არსენალის" მაისურით 57 მატჩში 16 გოლი აქვს გატანილი.

### ბულარუზი ეინდჰოვენში 6 მილიონად

ბრაზილიელი ცენტრალური მცველის **ალექსის** "ჩელსიში" გადასვლის შემდეგ, **ხალიდ ბულარუზი** "ეინდჰოვენს" მიაშურებს. ჰოლანდიის ჩემპიონები 6 მილიონ გირვანქას გადაიხდიან. გაზეთ "ფიფლის" ცნობით, "არისტოკრატებს" "ევერტონის" ცენტრალური მცველის **ჯოლეონ ლესკოტის** შეძენაც სურთ. ამ ბიჭს მარცხენა ფლანგზეც შეუძლია თამაში და დაახლოებით 10 მილიონი გირვანქა ღირს.

### სიმაო სისეში იცვლება

"ლივერპული" ბენფიკელ **სიმაო საბროსას** ეპატიჟება. ლისაბონელები კი, თანხის გარდა, "მარსელში" იჯარით გაშვებულ თავდამსხმელ **ჯიბრილ სისეს** ითხოვენ. "ბენფიკას" სასწრაფოდ ესაჭიროება ფორვარდი. **ნუნუ გომეში, დერლეი** და **ფაბრიციო მიკოლი** სხვა კლუბებში წასვლას აპირებენ. სისეს უკვე აუწყეს პორტუგალიაში მოსალოდნელი ტრანსფერის შესახებ. ჯიბრილს უკმაყოფილება არ გამოუთქვამს, თუმცა არ დაუმალავს, რომ ინგლისში უფრო დიდი სიამოვნებით გააგრძელებდა კარიერას. სიმაოს "ბენფიკასთან" კონტრაქტი 2012 წლამდე აკავშირებს.

### 7 მილიონი ჰაინცეს სანაცვლოდ

"იუვენტუსი" "მანჩესტერ იუნაიტედის" მცველებს ეპატიჟება. **ნემანია ვიდიჩის** შემდეგ ტურინელებმა **გაბრიელ ჰაინცეს** დაადგეს თვალი. "ქალბატონი" არგენტინელის ტრანსფერისათვის 7 მილიონ გირვანქას ამზადებს. ჰაინცეზე ერთ-ერთი ესპანური კლუბიც აცხადებს პრეტენზიას. სპეკულაციების თანახმად, ტურინელებმა გარიგება შესთავაზეს "სევილიასაც": **დავიდ ტრეზეგე ფრედერიკ კანუტეს** სანცვლოდ. მოსალოდნელ გარიგებასთან დაკავშირებით კომენტარები არ გაკეთებულა.

### ვან მარვეიკი ვოლფსბურგში?

**კლაუს აუგენტალერის** გათავისუფლების შემდეგ, "ვოლფსბურგის" ხელმძღვანელებმა ახალი მწვრთნელის ძებნა დაიწყეს. "ბილდი" იტყობინება, რომ "მგლების" მთავარი მწვრთნელის პოსტზე უპირველესი კანდიდატი ჰოლანდიელი **ბერტ ვან მარვეიკია**. შეგახსენებთ, რომ 55 წლის სპეციალისტი ზამთარში დორტმუნდის "ბორუსიიდან" გაუშვეს.

### შალკემ როტენი მოისურვა

ფრანგული გამოცემა "ეკიპი" იტყობინება, რომ გერმანიის ვიცე-ჩემპიონი "შალკე" პსჟ-ს ნახევარმცველის **ჟერომ როტენის** გადაბირებითაა დაინტერესებული. 29 წლის მარცხენა ნახევარმცველს პარიზულ კლუბთან, რომელიც მეორე დივიზიონში გავარდნას ძლივს გადაურჩა, კონტრაქტი 2008 წლამდე აკავშირებს. მისი შეძენა ჰოლანდიურ "ეინდჰოვენსაც" სურს. აღსანიშნავია, რომ "შალკეს" როტენის ყიდვა 2004 წელსაც უნდოდა, მაგრამ მაშინ ამ უკანასკნელმა პსჟ-ს (მონაკოდან) მიაშურა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



რიკარდო კვარეშმა

ბაიერნი

# ჰიონესმა კვარეშმას დაუმიზნა

## რობენს კი მიუნხენში გადასვლა არ სურს

თითქმის გადაწყვეტილია, რომ ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში "ბაიერნი" გერმანიის ნაკრების კიდევ ერთ წევრს გადაიბირებს. საუბარია მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებული მიონხენგლადბახის "ბორუსიის" მარცხენა მცველ **მარსელ იანსენზე**, რომელმაც "გლადბახიდან" აბარგებისა და მიუნხენში გადასვლის სურვილი უკვე არაერთხელ გამოთქვა. იანსენი ახლა "ბორუსიის" შეფების გადაწყვეტილებას ელოდება. როგორც იცით, ბავარიელებმა "გლადბახს" თავიდან 7 მილიონი ევრო შესთავაზეს, რაზეც ცივი უარი მიიღეს. ამის შემდეგ რეკორდმაისტერმა შეთავაზება 3 მილიონით გააუმჯობესა და ახლა "ბორუსიას" 10 მილიონს სთავაზობს. იანსენი იმედოვნებს, რომ ტრანსფერი არ ჩაიშლება.

*"მიონხენგლადბახში 13 წელი გავატარე და ამ ქალაქის დატოვება ჩემთვის ძალიან ძნელია. "ბორუსიიდან" წასვლა ძალიან მიჭირს, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს ნაბიჯი უნდა გადავდგა. საუბრები იმის შესახებ, რომ გემს ჩაძირვის მომენტში ვტოვებ, შეურაცხმყოფელია. ამ სეზონში დავამტკიცე, რომ "გლადბახი" ძალიან მიყვარს, მაგრამ მოვიდა დრო, რომ ძალები გაცილებით დიდ გუნდში მოვსინჯო,"* - აცხადებს იანსენი.

ამასობაში გაირკვა, რომ **არიენ რობენი** მიუნხენელებს საბოლოო უარს ეუბნება. ინგლისელ ჟურნალისტებთან საუბრისას ჰოლანდიელმა გარემარბმა განაცხადა, რომ მომავალ სეზონშიც "ჩელსიში" ითამაშებს. *"მართალია, მოურინიო იშვიათად მენდობოდა, მაგრამ მაინც დავრჩები. მინდა, რომ ისევ ისე ვითამაშო, როგორც პირველ სეზონში,"* - უთქვამს რობენს.

შესაბამისად, ბავარიელებმა აქცენტი სხვა ფეხბურთელზე გადაიტანეს. "კიკერის" ინფორმაციით, მიუნხენური გიგანტის გენერალურმა მენეჯერმა **ული ჰიონესმა** "პორტუს" 23 წლის ლიდერ **რიკარდო კვარეშმას** დაუმიზნა. კვარეშმას "პორტუსთან" კონტრაქტი 2009 წელს უმთავრდება და ცხადია, რომ პორტუგალიის ჩემპიონები თავიანთ ლიდერს იაფად არ დათმობენ. აქვე იმასაც გეტყვით, რომ არაა გამორიცხული, **როკე სანტა კრუსი** "ბაიერნში" დარჩეს.

ამასთან, არ წყდება სპეკულაციები იმის შესახებ, რომ დიდი შანსია, **მიროსლავ კლოზემ** "ბაიერნს" ახლავე მიაშუროს. სამიოდ კვირის წინათ მირომ თქვა, რომ "ვერდერში" კიდევ ერთ სეზონს გაატარებს, მაგრამ ჩვენი გერმანელი კოლეგები დარწმუნებულები არიან იმაში, რომ კლოზემ ეს განცხადება მხოლოდ ფანების დამშვიდების მიზნით გააკეთა. დასრულდა თუ არა სეზონი, გერმანულ პრესაში ისევ დაირხა ხმები, რომ კლოზე მიუნხენში ახლავე გადავა. მართალია, ბრემენული კლუბის ბოსები ამბობენ, წამყვან ფეხბურთელს უშუალო კონკურენტს არ მივცემთო, მაგრამ თუ კლოზე "ვერდერში" დარჩება, გაისად რეკორდმაისტერისთვის უფასო იქნება. ასე რომ, "მუსიკოსებს" წესით ის უნდა ერჩივნოთ, რომ ახლავე დათმონ და თან ფულიც აიღონ.

გერმანიის პირველობის დასრულებისთანავე ტოტალიზატორმა "ბეთ ენდ ვინმა" მომავალი სეზონის კოეფიციენტები გამოაქვეყნა. მიუხედავად იმისა, რომ "ბაიერნმა" ამ სეზონში ძალიან ცუდად ითამაშა, რეკორდმაისტერი მომავალი სეზონის უპირობო ფავორიტია. მიუნხენელთა გაჩემპიონებაზე ხსენებული საბუქმექერო კანტორა მშრალ, 1.0 კოეფიციენტს გამოდის, რაც იმას ნიშნავს, რომ ვინც ფსონს "ბაიერნის" ჩემპიონობაზე დადებს, ვერაფერს მოიგებს (!). მეორე ადგილზე "ვერდერია" (5.5), მესამეზე კი მოქმედი ჩემპიონი "შტუტგარტი" (7.0). **ლევან კობიაშვილის** "შალკეს" "ბეთ ენდ ვინმა" 10.0 უბოძა...

**გოტფრიდ ლენცი**

გერმანიის ნაკრები

# ბალაკი ტრავმირებულიც საჭიროა

## ლიოვი შტუტგარტელ სამი ხედირას აკვირდება

გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მოახლოებული მატჩებისთვის ბუნდესგუნდის შემადგენლობა დაასახელა. გერმანელები 2 ივნისს ნიურნბერგში სან მარინოს უმასპინძლებენ, 6 ივნისს კი, ჰამბურგში სლოვაკეთს დაუხვდებიან. განაცხადშია **მიხაელ ბალაკი**, მიუხედავად იმისა, რომ "ჩელსის" ნახევარმცველის თამაში ტრავმის გამო საეჭვოა. მიხაელი სან მარინოსთან ალბათ ვერ იასპარეზებს, აი სლოვაკეთთან კი, დიდი შანსია, რომ ითამაშოს.

დანიასთან ამხანაგურ შეხვედრაში გამოცდილი ახალწვეულებიდან ლიოვმა ყველა გამოიძახა: **გონსალო კასტრო, სიმონ როლფესი, რობერტო ჰილბერტი** და **პატრიკ ჰელმესი**. იოგიმ ჰამბურგელ **პიოტრ ტროხოვსკისაც** უხმო, ისევე, როგორც ტრავმამოშუშებულებს, **პერ მერტეზაკერსა** და **მარიო გომესს**. მიუხედავად იმისა, რომ "ალემანიიდან" "ბაიერნში" მიმავალ **იან შლაუდრაფს** აახენურ კლუბში ბოლო თვენახევრის მანძილზე აღარ ათამაშებდნენ, ეს უკანასკნელი ბუნდესნაკრებში მაინც გამოძახებულია. ტრავმების გამო ლიოვი **ბასტიან შვაინშტაიგერს, ლუკას პოდოლსკის, ტიმ ბოროვსკის, ოლივერ ნოივილს, ჯერალდ ასამოას, მაიკ ჰანკესა** და **დავიდ ოდონკორს** მოისაკლისებს.

დაბოლოს, ლიოვი ამბობს, რომ "შტუტგარტის" ნახევარმცველ **სამი ხედირას** ბუნდესგუნდის გაფართოებულ სიაში მოიაზრებს. 20 წლის შემტევი ნახევარმცველი გერმანიაში დაბადებული და გაზრდილია, თუმცა მამამისი ტუნისელი გახლავთ. მიუხედავად ამისა, ხედირას გერმანიის მოქალაქეობა აქვს და გერმანიის ნაკრებში სურს თამაში. *"სამის შესანიშნავი სეზონი ჰქონდა. ის ძალიან პერსპექტიული ფეხბურთელია, რომელსაც ეროვნულ ნაკრებში თავის გამოჩენის შანსი აუცილებლად მიეცემა. ხედირა გაფართოებულ სიაშია,"* - აცხადებს ლიოვი. იოგის თქმით, შვაბის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩებისთვის გამოძახება ნაადრევი იყო სამაგიეროდ ის 21-წლამდელთა ნაკრებში მოხვდა. ბუნდესგუნდის შემადგენლობა ასე გამოიყურება:

**მეკარეები** – ტიმო ჰილდებრანდი (შტუტგარტი), იენს ლემანი (არსენალი).

**მცველები** – გონსალო კასტრო (ლევერკუზენი), მანუელ ფრიდრიხი (მაინცი), კლემენს ფრიტცი (ვერდერი), მარსელ იანსენი (ბორუსია მ), ფილიპ ლამი (ბაიერნი), პერ მერტეზაკერი (ვერდერი), კრისტოფ მეტცელდერი (ბორუსია დ).

**ნახევარმცველები** – მიხაელ ბალაკი (ჩელსი), ტორსტენ ფრინგსი (ვერდერი), რობერტო ჰილბერტი (შტუტგარტი), სიმონ როლფესი (ლევერკუზენი), თომას ჰიტცლშპერგერი (შტუტგარტი), იან შლაუდრაფი (ალემანია), ბერნდ შნაიდერი (ლევერკუზენი), პიოტრ ტროხოვსკი (ჰამბურგი).

**თავდამსხმელები** – მარიო გომესი (შტუტგარტი), პატრიკ ჰელმესი (კიოლნი), მიროსლავ კლოზე (ვერდერი), კევინ კურანი (შალკე).



იოახიმ ლიოვი

ბუნდესლიგის ბომბარდირი

# გეკასმა ყველა და ყველაფერი დაჩრდილა

## კიდევ კარგი, ბოხუმელებმა რეჰაგელს დაუჯერეს



თეოფანის გეკასი

2006 წლის 22 აგვისტოს, როცა "ბოხუმმა" კიდევ ერთი ახალწვეული, კერძოდ ბერძენი თავდამსხმელი **თეოფანის გეკასი** პრესას და გულშემატკივრებს წარუდგინა, ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა მის საფეხბურთო შესაძლებლობებზე მეტად ყურადღება გეკასის 80-იანი წლების სტილის ვარცხნილობას მიაქციეს. ცხადია, იმ მომენტში ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ეს ტანმორჩილი ფორვარდი, რომელსაც საბერძნეთშიც კი ფაქტობრივად არავინ აღიარებდა და რომელიც "ბოხუმში" არენდის წესით გადავიდა, გერმანიის პირველობის საუკეთესო ბომბარდირი გახდებოდა. 26 წლის თავდამსხმელს, როგორც თვითონ ამბობს, ბუნდესლიგის ჯოჯოხეთურ სტილთან შეგუება თავიდან საკმაოდ გაუჭირდა და რამდენიმე კვირა დასჭირდა იმისათვის, რომ კარგად ათამაშებულიყო.

მიმომხილველებმა გეკასი კარგ ფეხბურთელად მხოლოდ და მხოლოდ მე-8 ტურის შემდეგ შერაცხეს, რომელშიც მან დორტმუნდის "ბორუსიას" სეზონის რიგით მეორე გოლი გაუტანა, რის შემდეგაც "კიკერის" კორესპონდენტებმა მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს და ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც შეიყვანეს. ჟურნალისტებისგან მიღებულ ტრადიციულ SMS-ს, რომელიც ფეხბურთელისთვის სიმბოლურ ნაკრებში მოხვედრის მილოცვას წარმოადგენდა, თეოფანისმა, რა თქმა უნდა, ბერძნულად უპასუხა: *"დიდი მადლობა. მეც ვფიქრობ, რომ კარგად ვითამაშე."* სწორედ ამის შემდეგ დაიწყო გეკასის ალმავლობა: კიდევ 18 გოლი და საბოლოოდ 20, რამაც ის ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირად აქცია.

ეს ფაქტი გეკასისთვის განსაკუთრებულია იმ მხრივაც, რომ სეზონის წინ თეოფანისს არავინ აღიარებდა და მიუხედავად იმისა, რომ **ოტო რეჰაგელის** რეკომენდაციით ბუნდესლიგაში მოხვდა, ბერძნული გაზეთებისთვის ის მაინც ჩრდილში იყო მოქცეული. ახლა კი სულ სხვა ვითარებაა: თუკი სეზონის წინ საბერძნეთში "ბოხუმის" 22 ნომრიანი მაისურის ყიდვა არავის უფიქრია, ახლა გეკასის მაისურებზე ელადაში ძალიან დიდი მოთხოვნაა. ყველა ბავშვს თეოფანისის მაისურით სურს თამაში. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მას მართლაც გრანდიოზული სეზონი ჰქონდა იმ მხრივაც, რომ მცირე ტრავმაც კი არ მიუღია და არც დისკვალიფიცირებული ყოფილა.

დღეს გეკასი 27 წლის ხდება და საბერძნეთის ნაკრებთან ერთად, სადაც 14 თამაში აქვს ჩატარებული, ათენში ჩემპიონთა ლიგის ფინალს დაესწრება. ცხადია, მისი წარმატება შეუმჩნეველი არავისთვის დარჩენილა. გეკასით ბუნდესლიგის წამყვანი კლუბები დაინტერესდნენ, მაგრამ ყველას "ლევერკუზენმა" აჯობა - ამიტომაც, გეკასი მომავალი სეზონიდან "ბაიერში" ითამაშებს, სადაც უკრაინელ **ანდრეი ვორონინს** შეცვლის. ერთი სიტყვით, დღესდღეობით ყველაფერი ისეა, როგორც თეოფანისს სურს.

აქვე გთავაზობთ ბუნდესლიგის ყველა საუკეთესო ბომბარდირის სიას. მისი გაცნობისას დარწმუნდებით, რომ **გერდ მიულერი** აბსოლუტური რეკორდსმენია - ნაციის ბომბარდირად წოდებული ფორვარდი 7-ჯერ იყო ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი და 1971/72 წლების სეზონში 40 გოლი გაიტანა. ამაზე მეტი ერთ სეზონში არავის არასდროს გაუტანია. **კარლ-ჰაინც რუმენიგე** და **ულფ კირსტენი** ბომბარდირისთვის განკუთვნილ ზარბაზანს 3-ჯერ ფლობდნენ. **ლოთარ ემერიხი, იუპ ჰაინკესი, დიტერ მიულერი, კლაუს ალოფსი, შტეფან კუნტცი, როლანდ ვოლფარტი, ენტონი იებოა** და **მარტინ მაქსი** კი ორ-ორჯერ. რაც შეეხება კლუბებს: "ბაიერნის" ფეხბურთელი საუკეთესო ბომბარდირი 13-ჯერ გახდა, "კიოლნისა" 5-ჯერ, მიონხენგლადბახის "ბორუსიისა" და "ვერდერის" მოთამაშეები კი ოთხ-ოთხჯერ.

1966 წლიდან მოყოლებული, საუკეთესო გოლეადორს გერმანელები ზემოთ ხსენებული ზარბაზნით აჯილდოებენ. ისეთი ფეხბურთელები, რომლებიც ბომბარდირები სხვადასხვა გუნდებში გახდნენ, მხოლოდ კლაუს ალოფსი (დღეს "ვერდერის" გენერალური მენეჯერია) და შტეფან კუნტცი არიან. პირველი არაგერმანელი მოთამაშე, რომელმაც ზარბაზანი დაისაკუთრა, **იორნ ანდერსენი** გახლდათ (1990 წელს).

ბომბარდირებს საშუალოდ სეზონში 25 გოლი გაჰქონდათ. ალსანიშნავია, რომ პირველ 10 სეზონში საშუალო მაჩვენებელი 31 გოლი იყო, 1974-იდან 1983 წლამდე 27 გოლი, 1984-იდან 1993 წლამდე 21.5 გოლი, 1994-იდან 2003 წლამდე კი 20 გოლი, მაგრამ ბოლო დროს შედეგიანობამ მოიმატა - 2002 წლის შემდეგ გერმანიის პირველობის საუკეთესო ბომბარდირს 20 გოლზე ნაკლები არ გაუტანია.

**გოტფრიდ ლენცი**

### საინტერესო სტატისტიკა

#### ბუნდესლიგის ყველა ბომბარდირი

| წელი | ფეხბურთელი | კლუბი | გოლი |
|---|---|---|---|
| 1964 | უვე ზეელერი | ჰამბურგი | 30 |
| 1965 | რუდოლფ ბრუნენმაიერი | მიუნხენი | 24 |
| 1966 | ლოთარ ემერიხი | ბორუსია (დ) | 31 |
| 1967 | გერდ მიულერი | ბაიერნი | 28 |
| | ლოთარ ემერიხი | ბორუსია (დ) | 28 |
| 1968 | ჰენეს ლიორი | კიოლნი | 27 |
| 1969 | გერდ მიულერი | ბაიერნი | 30 |
| 1970 | გერდ მიულერი | ბაიერნი | 38 |
| 1971 | ლოთარ კობლუნი | ობერჰაუზენი | 24 |
| 1972 | გერდ მიულერი | ბაიერნი | 40 |
| 1973 | გერდ მიულერი | ბაიერნი | 36 |
| 1974 | იუპ ჰაინკესი | ბორუსია (მ) | 30 |
| | გერდ მიულერი | ბაიერნი | 30 |
| 1975 | იუპ ჰაინკესი | ბორუსია (მ) | 27 |
| 1976 | კლაუს ფიშერი | შალკე | 29 |
| 1977 | დიტერ მიულერი | კიოლნი | 34 |
| 1978 | დიტერ მიულერი | კიოლნი | 24 |
| | გერდ მიულერი | ბაიერნი | 24 |
| 1979 | კლაუს ალოფსი | დიუსელდორფი | 22 |
| 1980 | კარლ ჰაინც რუმენიგე | ბაიერნი | 26 |
| 1981 | კარლ ჰაინც რუმენიგე | ბაიერნი | 29 |
| 1982 | ჰორსტ ჰრუბეში | ჰამბურგი | 27 |
| 1983 | რუდი ფიოლერი | ვერდერი | 23 |
| 1984 | კარლ ჰაინც რუმენიგე | ბაიერნი | 26 |
| 1985 | კლაუს ალოფსი | კიოლნი | 26 |
| 1986 | შტეფან კუნტცი | ბოხუმი | 22 |
| 1987 | უვე რანი | ბორუსია (მ) | 24 |
| 1988 | იურგენ კლინსმანი | შტუტგარტი | 19 |
| 1989 | როლანდ ვოლფარტი | ბაიერნი | 17 |
| | თომას ალოფსი | კიოლნი | 17 |
| 1990 | იორნ ანდერსენი | აინტრახტი | 18 |
| 1991 | როლანდ ვოლფარტი | ბაიერნი | 21 |
| 1992 | ფრიტც ვალტერი | შტუტგარტი | 22 |
| 1993 | ულფ კირსტენი | ლევერკუზენი | 20 |
| | ენტონი იებოა | აინტრახტი | 20 |
| 1994 | შტეფან კუნტცი | კაიზერი | 18 |
| | ენტონი იებოა | აინტრახტი | 18 |
| 1995 | ჰაიკო ჰერლიხი | ბორუსია (მ) | 20 |
| | მარიო ბასლერი | ვერდერი | 20 |
| 1996 | ფრედი ბობიჩი | შტუტგარტი | 17 |
| 1997 | ულფ კირსტენი | ლევერკუზენი | 22 |
| 1998 | ულფ კირსტენი | ლევერკუზენი | 22 |
| 1999 | მიხაელ პრეეტცი | ჰერტა | 23 |
| 2000 | მარტინ მაქსი | მიუნხენი | 19 |
| 2001 | სერგეი ბარბარესი | ჰამბურგი | 22 |
| | ებე სანდი | შალკე | 22 |
| 2002 | მარსიო ამოროზო | ბორუსია (დ) | 18 |
| | მარტინ მაქსი | მიუნხენი | 18 |
| 2003 | ჯოვანი ელბერი | ბაიერნი | 21 |
| | თომას კრისტიანსენი | ბოხუმი | 21 |
| 2004 | აილტონი | ვერდერი | 28 |
| 2005 | მარეკ მინტალი | ნიურნბერგი | 24 |
| 2006 | მიროსლავ კლოზე | ვერდერი | 25 |
| 2007 | თეოფანის გეკასი | ბოხუმი | 20 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რაფამ ფერგის შეცდომები არ უნდა გაიმეოროს

## მილანი

### მეკარეები

**1. დიდა, 33 წლის.** "მილანის" გამარჯვების სულისჩამდგმელი და მთავარი გმირი იყო "იუვენტუსთან" ჩემპიონთა ლიგის ფინალში (2003 წელი), როცა მატჩისშემდგომი 11-მეტრიანების სერიაში სამჯერ იყოჩაღა. იმ ამბების შემდეგ, არაერთმა უცნაურმა საქციელმა მისი პოპულარობა საგრძნობლად შეარყია. "მილანის" ტიფოზები მისგან უფრო დაკვირვებულ თამაშს მოითხოვენ.

**16. ჟელკო კალაჩი, 34.** დიდას მსგავსად, "მილანის" სათადარიგო მეკარესაც სჭირს იოლი ბურთების გაშვების სენი. ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში მან სულ ორჯერ დაიცვა.

### მცველები

**44. მასიმო ოდო, 30.** "ლაციოდან" "მილანში" ამ ზამთარს გადავიდა, რათა ასაკოვანი კაფუს ალტერნატივა გამხდარიყო. ის ხისტი, მაგრამ ყურადღებიანი მოთამაშეა. სწორედ მან გამოთიშა თამაშიდან კრისტიანო რონალდო, "მანჩესტერთან" საპასუხო ნახევარფინალში.

**13. ალესანდრო ნესტა, 31.** სეზონის პირველ ნახევარში საზარდულის ტრავმამ შეაწუხა, მაგრამ ახლა საუკეთესო ფორმაშია. ის ყველა კომპონენტში ძლიერია, განსაკუთრებით, აჩქარებისას. რომში დაბადებული მცველი დიდი ავტორიტეტით სარგებლობს "მილანის" დაცვის ოთხეულში.

**3. პაოლო მალდინი, 38.** დაგვრჩა მალდინიზე კიდევ რამე სათქმელი? თუ მუხლის ტრავმას მოიშუშებს და ოთხშაბათს მოედანზე გავა, ეს იქნება ლეგენდარული კაპიტნის მერვე ევროფინალი. მსგავსი შედეგი, ჯერჯერობით, მხოლოდ მადრიდის "რეალის" ნახევარმცველ ფრანსისკო ხენტოს აქვს. მალდინის სისწრაფე აკლია (რაც ასაკის ბრალია), სამაგიეროდ, პოზიციის საუცხოო შეგრძნება აქვს.

**18. მარეკ იანკულოვსკი, 30.** "უდინეზეში" მას ნახევარმცველის როლი ჰქონდა, "მილანში" კი დაცვითი ფუნქციების შესრულება ანდეს. ოდოსთან სწორედ მისმა აგრესიულმა პარტნიორობამ შეუწყო ხელი "მილანის" დომინირებას "მანჩესტერთან" საპასუხო დაპირისპირებაში.

**4. კახა კალაძე, 29.** კარლო ანჩელოტიმ კალაძე დაცვის მარცხენა ფრთაზე დააყენა, მაგრამ შემდეგ უფრო შესაფერის პოზიციაზე გაამწესა - ცენტრში, სადაც მალდინი შეცვალა. იანკულოვსკის მსგავსად, საქართველოს ნაკრების კაპიტანიც ძალზე გამოცდილია და შეუძლია, ათენში კვლავ შეცვალოს მალდინი, თუ ამ უკანასკნელს მუხლის ტრავმა ხელს შეუშლის.

**2. კაფუ, 36.** სასტარტო შემადგენლობაში ადგილი ოდოს დაუთმო, მაგრამ კვლავ რჩება "მილანის" ყველაზე შრომისმოყვარე ფეხბურთელად. ხანდახან, ანჩელოტის თავად კარნახობს, სასტარტოში ურჩევნია თამაში თუ შეცვლაზე.

### ნახევარმცველები

**8. ჯენარო გატუზო, 29.** მისი გამუდმებული მოძრაობა და ხისტი ილეთები ხელს უშლის მოწინააღმდეგეს და სივრცეს უთავისუფლებს თანაგუნდელებს. ნამდვილი ლიდერია.

**20. ჟოან გურკუფი, 20.** ზინედინ ზიდანის მემკვიდრედ მიიჩნევდნენ. "მილანში" გასულ ზაფხულს გადავიდა, მაგრამ უფრო გამოცდილი თანაგუნდელების ჩრდილში მოექცა და ჯერჯერობით, ვერ გაიხსნა. ის ზეედორფს ცვლის ხოლმე.

**21. ანდრეა პირლო, 28.** ათენში, ლივერპულელთა მთელი ყურადღება, წესით, კაკაზე იქნება გადატანილი, მაგრამ თუ ინგლისელები მას თავისუფლად მოძრაობის საშუალებას მისცემენ, აუცილებლად დასჯის მათ მოედნის საუცხოო ხედვითა და გენიალური პასებით. თან პირლო ხომ სტანდარტულების შესანიშნავი შემსრულებელიცაა.

**23. მასიმო ამბროზინი, 29.** გაცილებით მეტ დროს სათადარიგოთა სკამზე ატარებდა, მაგრამ ბოლოხანს, სულ უფრო ხშირად, "მილანი" ოთხი ნახევარმცველით თამაშობს. თავდასხმაში წაწეული კაკას ადგილს სწორედ ამბროზინი იკავებს. ის ძლიერია მაღალი ბურთებისთვის ბრძოლაში და ბევრჯერაც გაუტანია გადამწყვეტი გოლები კუთხურებიდან თუ საჯარიმო ჩაწოდებებით.

**10. კლარენს ზეედორფი, 31.** ჩემპიონთა ლიგა მას სამ სხვადასხვა კლუბში აქვს მოგებული. ამჟამად, საუცხოო ფორმაშია. გოლები გაუტანა "ბაიერნს" მეოთხედფინალში და "მანჩესტერ იუნაიტედს" ნახევარფინალში.

**22. კაკა, 25.** მიმდინარე ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო ფეხბურთელად ითვლება, პლუს ამას, გატანილი აქვს 10 გოლი. სერია A-ში ნახევარმცველის ფუნქციებს ასრულებს, ლიგაში კი უფრო წინ, შევჩენკოს ადგილზე თამაშობს. მწვრთნელი ეფექტურად იყენებს მის სისწრაფეს, მეტოქის დაცვის ხაზის გასარღვევად.

### თავდამსხმელები

**9. ფილიპო ინძაგი, 33.** ასაკი და მუხლის ხშირი ტრავმა ნიჭის სრულად გამოვლენის საშუალებას არ აძლევს და ერთთავად ჯილარდინოს ჩრდილში აქცევს. ხშირად დასცინიან და უნიჭოს უწოდებენ, "ოფსაიდის" ზღვარზე თამაშს უწუნებენ, მაგრამ სწორედ პოზიციის საუცხოო შეგრძნებით დააბნია მეოთხედფინალში "ბაიერნის" დაცვა და გადამწყვეტი გოლიც გაიტანა.

**11. ალბერტო ჯილარდინო, 24.** ინძაგის ანტიპოდია. დაკუნთული ცენტრფორვარდი, რომელსაც უყვარს მცველების "წვალება", ერთნაირად ძლიერია როგორც ფეხით, ისე თავით თამაშისას. ჯერ სრულად არ მოუხდენია საფეხბურთო ღირსებების დემონსტრირება და შესაძლოა, სწორედ ათენში გამოჩნდეს მისი ნამდვილი სახე.

**7. რიკარდო ოლივეირა, 27.** "მილანის" ყველაზე დიდი იმედგაცრუება. სერია A-ს 25 მატჩში მხოლოდ 3 გოლი გაიტანა, ჩემპიონთა ლიგის 6 შეხვედრაში კი ვერცერთი. ფინალში მხოლოდ იმ შემთხვევაში ითამაშებს, თუ ჯილარდინო და ინძაგი დაშავდებიან.

ფეხბურთი უცნაური თამაშია. "მანჩესტერს" "მილანი" რომ დაემარცხებინა და ჩემპიონთა ლიგის ინგლისურ ფინალში დაეჯავშნა ადგილი, ქომაგთა რა რაოდენობა დაუჭერდა მას მხარს "ლივერპულის" დასამარცხებლად? ათენის ფინალში მაყურებელთა უმეტესობა "ლივერპულს" უფრო დაუჭერდა მხარს **კარლო ანჩელოტის** საუცხოო გუნდის დასამარცხებლად, ვიდრე "იუნაიტედს". შესაძლოა, კარგად ორგანიზებულ "ჩელსისაც" დაემარცხებინა "როსონერი". **მიკაელ ესიენსა** და **ჯონ ობი მიკელს** კაკას მეთვალყურეობას მიანდობდნენ; **ჯონ ტერი** და **რიკარდო კარვალიო** **ფილიპო ინძაგის** დააკვირდებოდნენ; **პეტრ ჩეხი** საიმედოდ დაიცავდა კარს; **დიდიე დროგბას, ჯო კოულისა** და **არიენ რობენის** ახალგაზრდობისა და ათლეტიზმის ნაერთს, "მილანის" უხუცესი დაცვა საკუთარ თავზე გამოცდიდა; მოედანზე **ფრენკ ლემპარდისა** და **მიხაელ ბალაკის** უბრალოდ ყოფნაც კი ჩაუშლიდა "მილანს" საკუთარი გეგმების განხორციელებას...

"ლივერპულის" სახით, "მილანი" ურთულეს მოწინააღმდეგეს მიიღებს, მოწინააღმდეგეს, რომელიც საკუთარი ოსტატობის დემონსტრირებისა და კიდევ ერთი ტიტულისთვის ილწვის. ანჩელოტიმ განაცხადა: *"ჩვენი მეტოქე კარგად ორგანიზებული გუნდია და თავდაცვისას, ჩვენს შეტევებს ისე არ გაუხსნიან გზებს, როგორც ეს "მანჩესტერმა" გააკეთა".*

**რიო ფერდინანდისა** და **გარი ნევილის** არყოფნისას, სერ **ალექს ფერგიუსონის** გაჩემპიონებულ გუნდს აკლდა კიდევ ნახევარმცველი **ოუენ ჰარგრივზი**, რომელსაც, **მაიკლ ქერიკისგან** განსხვავებით, საუცხოოდ შეუძლია უპირატესობის გამოყენება. **ხავიერ მასკერანოს** სახით, "ლივერპულს" ჰყავს არგენტინელი, რომელიც დიდი სიამოვნებით მოაქცევს წნეხში ბრაზილიელ **კაკას**. თავის დროზე, ფერგიუსონმა კაკა ასე დაახასიათა: *"კაცი არ იყო მისი დამჭერი"*.

**რაფა ბენიტესმა** კარგად იცის მსოფლიოს უძლიერესი ფეხბურთელის სუსტი მხარეები და სწორედ ამ ცოდნით აპირებს მის შეჩერებას. სანამ ბენიტესი **დიტმარ ჰამანს** სტამბოლის ფინალის მეორე ტაიმის დასაწყისში გამოიყვანდა, კაკა და მისი პარტნიორები ისევე თავისუფლად დანავარდობდნენ მოედანზე, როგორც "იუნაიტედის" წინაალმდეგ მილანურ მატჩში. და როცა ჰამანი დაცვის ოთხეულს ეხმარებოდა, "ლივერპული" მაშინვე მთელი ძალით გადადიოდა შეტევაში. მასკერანომ "ჩელსისთან" თამაშში დაამტკიცა, რომ შეტევების იდეალური ჩამშლელია და სწორედ არგენტინაში გამოიწრთო ის, როგორც "ყველაზე სახიფათო მარტოდმარტო მებრძოლი", ბრაზილიელი ფეხბურთელების წინაალმდეგ.

გაიხსენეთ, როგორ მოახერხა ანჩელოტიმ **კრისტიანო რონალდოს** შეჩერება მას შემდეგ, რაც მის გუნდს "ოლდ ტრეფორდზე" პრობლემები შეექმნა. ყოვლისშემძლე **ჯენარო გატუზო** პორტუგალიელ გარემარბს აჩრდილივით თან დაჰყვებოდა. ბენიტესმა ბევრი უნდა იფიქროს გუნდის ტექნიკური მხარის სწორად გამოყენებისთვისაც, რადგან ამ კომპონენტში შეცდომის დაშვება შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს. **ჯერმენ პენანტმა** მოახერხა საკუთარი ოსტატობის დემონსტრირება "ჩელსისთან" მატჩში. ბენიტესმა **ჩაბი ალონსო** სასტარტოდან ამოაგდო, მაგრამ მან ის აუცილებლად უნდა დააბრუნოს ნახევარდაცვაში მასკერანოს, არაჩვეულებრივი **სტივ ჯერარდისა** და, ალბათ, **ჯონ არნე რიისეს** გვერდით. რიისემ მარცხენა მცველის პოზიციაზე ითამაშა, მაგრამ ის უფრო სახიფათოა მაშინ, როცა შეტევაში ჩართვის საშუალება აქვს.

"ლივერპული" ვერ შეედრება "მილანს" შეტევის საუცხოო ორგანიზებასა და ნიჭიერი თავდამსხმელების მხრივ. **დირკ კუიტის, პიტერ კრაუჩისა** და **კრეიგ ბელამის** სახით, ინგლისელებს ფიზიკური უპირატესობა კი აქვთ, მაგრამ არ აქვთ იმდენი ნიჭი და იმპროვიზაციის უნარი, რომ რალაც განსაკუთრებული, მოულოდნელი რამ გააკეთონ. შუა ხაზს შეუძლია, გაუმკლავდეს გატუზოს, **კლარენს ზეედორფს, ანდრეა პირლოსა** და **მასიმო ამბროზინის**, დაცვაში კი თამაშობს ძლიერი **დანიელ აგერი**, კარშია ბრწყინვალე **პეპე რეინა** და ცენტრალური ნახევარდაცვა, რომლის დარი არსად მოინახება, როგორც ამას ბენიტესი ამტკიცებს.

**ჯეიმი კარაგერი** ევროპული ფეხბურთის ერთ-ერთი საუკეთესო ფიგურა, "ლივერპულის" დაცვის ნამდვილი ბურჯი. მან საკმაოდ ბევრი დრო დახარჯა **კაკასა** და მის თანაგუნდელთა ხრიკების შესწავლაში. მიუხედავად ამისა, არავინ, თვით "მილანშიც" კი არავინ იცის, რას მოიმოქმედებს კაკა, რადგან "როსონერის" მთელი ძალა სწორედ იმპროვიზაციის მისეულ უნარშია.

"ლივერპულმა", შეიძლება, ძალ-ღონე არ დაიშუროს "მილანის" განსაკუთრებულ სტილთან შეგუებასა და საკუთარი მიზნებისთვის გამოყენებაში. წლევანდელ სეზონში **ჟოზე მოურინიომ** და ფერგიუსონმა თვალნათლივ დაინახეს მერსისაიდელთა სიძლიერე და აღმოაჩინეს, რომ ბევრი რამეა დამოკიდებული კონკრეტულ ფეხბურთელზე. გამარჯვებისადმი სწრაფვაში, ისინი საკუთარი ამბიციების მსხვერპლად იქცნენ, რადგან თავიანთი მოთამაშეებისგან ძალიან ბევრი მოითხოვეს. ახლა ყველაფერი ბენიტესზეა დამოკიდებული. ბოლო სიტყვა მან უნდა თქვას.

BBC



ლივერპულის ვარჯიში ათენის საფინალო არენაზე

### სავარაუდო შემადგენლობები

ლივერპული: რეინა, ფინენი, აგერი, კარაგერი, რიისე, ჯერარდი, მასკერანო, ჩაბი ალონსო, ზენდენი, კრაუჩი, კუიტი.
მილანი: დიდა, ოდო, ნესტა, მალდინი, იანკულოვსკი, გატუზო, პირლო, ზეედორფი, ამბროზინი, კაკა, ინძაგი.
არბიტრი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)

## გზა ფინალისკენ

III საკვალიფიკაციო ეტაპი

**მილანი-ცრვენა ზვეზდა 1:0**

მილანი: დიდა, კაფუ (78. ბროკი), კოსტაკურტა, გატუზო, ზეედორფი, შიმიჩი, პირლო (81. გურკუფი), კაკა, სერჟინიო, ჯილარდინო (72. ამბროზინი), ინძაგი.
გოლი: 1:0 ინძაგი (22)

**ცრვენა ზვეზდა-მილანი 1:2**

მილანი: დიდა, კაფუ (82. ფავალი), კოსტაკურტა, შიმიჩი, სერჟინიო, გატუზო, კაკა, პირლო, ზეედორფი, ინძაგი (68. ამბროზინი), ჯილარდინო (88. ბორიელო).
გოლები: 0:1 ინძაგი (29), 0:2 ზეედორფი (79), 1:2 ჯოკიჩი (80)

**ლივერპული-მაკაბი 2:1**

ლივერპული: რეინა, ფინენი, ჰიიპია, კარაგერი, რიისე, ზენდენი (55. ლუის გარსია), ჩაბი ალონსო, სისოკო, ჯერარდი (86. გონსალესი), პენანტი, ბელამი (65. კრაუჩი).
გოლები: 0:1 ბოკოლი (28), 1:1 ბელამი (32), 2:1 გონსალესი (87)

**მაკაბი-ლივერპული 1:1**

ლივერპული: რეინა, ფინენი, ჰიიპია, აგერი, უორნოკი (28. ფაბიო აურელიო), გონსალესი, ჩაბი ალონსო, სისოკო (67. ჯერარდი), პენანტი (86. ბელამი), ლუის გარსია, კრაუჩი.
გოლები: 0:1 კრაუჩი (54), 1:1 კოლაუტი (63)

C ჯგუფი

**ეინდჰოვენი-ლივერპული 0:0**

ლივერპული: რეინა, ფინენი, აგერი, ფაბიო აურელიო (82. გონსალესი), კარაგერი, პენანტი, სისოკო (62. ჩაბი ალონსო), უორნოკი, ზენდენი, ბელამი (72. ჯერარდი), კუიტი.

**ლივერპული-გალათასარაი 3:2**

ლივერპული: რეინა, ფინენი, აგერი, კარაგერი, ლუის გარსია, ფაბიო აურელიო, ჯერარდი, ჩაბი ალონსო, პენანტი (78. სისოკო), კუიტი (66. გონსალესი), კრაუჩი (90. ბელამი).
გოლები: 1:0 კრაუჩი (9), 2:0 ლუის გარსია (14), 3:0 კრაუჩი (52), 3:1 უმითი (59), 3:2 უმითი (65)

**ბორდო-ლივერპული 0:1**

ლივერპული: რეინა, ფინენი, ჰიიპია, რიისე, კარაგერი, ზენდენი, ლუის გარსია, გონსალესი (68. სისოკო), ჩაბი ალონსო, კრაუჩი (65. კუიტი), ბელამი (87. მაკინვა).
გოლი: 0:1 კრაუჩი (58)

**ლივერპული-ბორდო 3:0**

ლივერპული: რეინა, ფინენი, ჰიიპია, რიისე, კარაგერი, სისოკო, ჯერარდი, ლუის გარსია (78. ფაულერი), ჩაბი ალონსო (58. ზენდენი), კრაუჩი (73. პენანტი), კუიტი.
გოლები: 1:0 ლუის გარსია (23), 2:0 ჯერარდი (72), 3:0 ლუის გარსია (76)
გაძევება: მენეგაცო (67. ბორდო)

**ლივერპული-ეინდჰოვენი 2:0**

ლივერპული: რეინა, ფინენი, აგერი, რიისე, კარაგერი, ჯერარდი, გონსალესი (36. ლუის გარსია), ჩაბი ალონსო (21. ზენდენი), პენანტი (79. ბელამი), კრაუჩი, კუიტი.
გოლები: 1:0 ჯერარდი (65), 2:0 კრაუჩი (89)

**გალათასარაი-ლივერპული 3:2**

ლივერპული: დუდეკი, აგერი, რიისე, კარაგერი, პელტიე, პალეტა, გუტრი (66. ლუის გარსია), ჩაბი ალონსო (84. როკი), პენანტი, ბელამი (74. კრაუჩი), ფაულერი.
გოლები: 0:1 ფაულერი (22), 1:1 ნეჯათი (24), 2:1 ოქანი (28), 3:1 ილიჩი (79), 3:2 ფაულერი (90)

**ლივერპული, I ადგილი: თ - 6, მ - 4, ფ - 1, წ - 1, ბ - 11:5, ქ - 13.**

H ჯგუფი

**მილანი-აეკ 3:0**

მილანი: დიდა, კაფუ, მალდინი, შიმიჩი, ფავალი (79. იანკულოვსკი), გატუზო, გურკუფი, ბროკი (75. ამბროზინი), კაკა, ოლივეირა (71. ზეედორფი), ინძაგი.
გოლები: 1:0 ინძაგი (17), 2:0 გურკუფი (41), 3:0 კაკა (76-პენ)

**ლილი-მილანი 0:0**

მილანი: დიდა, კაფუ, კალაძე, ნესტა, იანკულოვსკი, პირლო, ზეედორფი, გატუზო, ამბროზინი, კაკა, ჯილარდინო (76. ინძაგი).

**ანდერლეხტი-მილანი 0:1**

მილანი: დიდა, ბონერა, ნესტა, კალაძე, იანკულოვსკი, გატუზო, პირლო, ზეედორფი (81. ბროკი), კაკა, ოლივეირა (50. კაფუ), ინძაგი (72. ჯილარდინო).
გოლი: 0:1 კაკა (58)
გაძევება: ბონერა (48. მილანი)

**მილანი-ანდერლეხტი 4:1**

მილანი: დიდა, ბროკი, შიმიჩი, ნესტა (19. კაფუ), მალდინი, იანკულოვსკი, ზეედორფი, გურკუფი (66. გატუზო), კაკა, ოლივეირა (73. პირლო), ჯილარდინო.
გოლები: 1:0 კაკა (6-პენ), 2:0 კაკა (22), 3:0 კაკა (56), 3:1 ჟუჰაში (61), 4:1 ჯილარდინო (88)

**აეკ-მილანი 1:0**

მილანი: დიდა (78. კალაჩი), მალდინი, კოსტაკურტა (46. იანკულოვსკი), ბონერა, ბროკი, ზეედორფი, პირლო, გურკუფი, კაკა, ოლივეირა (70. ბორიელო), ინძაგი.
გოლი: 1:0 ჟულიო სეზარი (32)

**მილანი-ლილი 0:2**

მილანი: კალაჩი, ბონერა, შიმიჩი, კალაძე, იანკულოვსკი, პირლო, ამბროზინი (54. კაკა), გურკუფი, ბროკი (46. ზეედორფი), ინძაგი, ბორიელო (72. ოლივეირა).
გოლები: 0:1 ოდემვინგი (7), 0:2 კეიტა (67)

**მილანი, I ადგილი: თ - 6, მ - 3, ფ - 1, წ - 2, ბ - 8:4, ქ - 10.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გზა ფინალისკენ

1/8 ფინალი

**სელტიკი-მილანი 0:0**

მილანი: კალაჩი, ოდო, მალდინი, კალაძე (63. ბონერა), იანკულოვსკი, გატუზო, პირლო, ამბროზინი, გურკუფი, კაკა, ჯილარდინო (77. ოლივეირა).

**მილანი-სელტიკი 1:0. დდ**

მილანი: დიდა, ოდო (116. შიმიჩი), ბონერა, მალდინი, იანკულოვსკი, გატუზო (79. ბროკი), პირლო, ამბროზინი, ზეედორფი, კაკა, ინძაგი (72. ჯილარდინო).
გოლი: 1:0 კაკა (93)

**ბარსელონა-ლივერპული 1:2**

ლივერპული: რეინა, არბელოა, კარაგერი, აგერი, რიისე, ფინენი, სისოკო (84. ზენდენი), ჩაბი ალონსო, ჯერარდი, ბელამი (80. პენანტი), კუიტი (90. კრაუჩი).
გოლები: 1:0 დეკუ (14), 1:1 ბელამი (43), 1:2 რიისე (74)

**ლივერპული-ბარსელონა 0:1**

ლივერპული: რეინა, ფინენი, კარაგერი, აგერი, არბელოა, ჯერარდი, სისოკო, ჩაბი ალონსო, რიისე (77. ფაბიო აურელიო), კუიტი (89. კრაუჩი), ბელამი (67. პენანტი).
გოლი: 0:1 გუდიონსენი (75)

1/4 ფინალი

**მილანი-ბაიერნი 2:2**

მილანი: დიდა, ოდო, ნესტა, მალდინი, იანკულოვსკი (86. კალაძე), გატუზო, პირლო, ამბროზინი, ზეედორფი (85. გურკუფი), კაკა, ჯილარდინო (72. ინძაგი).
გოლები: 1:0 პირლო (40), 1:1 ვან ბუიტენი (78), 2:1 კაკა (84-პენ), 2:2 ვან ბუიტენი (90)

**ბაიერნი-მილანი 0:2**

მილანი: დიდა, ოდო, ნესტა, მალდინი, იანკულოვსკი, გატუზო (87. კაფუ), პირლო, ამბროზინი, ზეედორფი (80. გურკუფი), კაკა, ინძაგი (70. სერჟინიო).
გოლები: 0:1 ზეედორფი (27), 0:2 ინძაგი (32)

**ეინდჰოვენი-ლივერპული 0:3**

ლივერპული: რეინა, ფინენი, კარაგერი, აგერი, რიისე (65. ზენდენი), ჯერარდი, მასკერანო, ჩაბი ალონსო, ფაბიო აურელიო (75. გონსალესი), კრაუჩი (85. პენანტი), კუიტი.
გოლები: 0:1 ჯერარდი (27), 0:2 რიისე (49), 0:3 კრაუჩი (63)

**ლივერპული-ეინდჰოვენი 1:0**

ლივერპული: რეინა, არბელოა, ჰიიპია, აგერი (78. პალეტა), რიისე, პენანტი, სისოკო, ჩაბი ალონსო (72. გონსალესი), ზენდენი, კრაუჩი, ბელამი (17. ფაულერი).
გოლი: 1:0 კრაუჩი (68)
გაძევება: მარსელისი (64. ეინდჰოვენი)

1/2 ფინალი

**მანჩესტერი-მილანი 3:2**

მილანი: დიდა, ოდო, ნესტა, მალდინი (46. ბონერა), იანკულოვსკი, გატუზო (53. ბროკი), პირლო, ამბროზინი, ზეედორფი, კაკა, ჯილარდინო (84. გურკუფი).
გოლები: 1:0 კრისტიან რონალდო (6), 1:1 კაკა (22), 1:2 კაკა (37), 2:2 რუნი (60), 3:2 რუნი (90)

**მილანი-მანჩესტერი 3:0**

მილანი: დიდა, ოდო, ნესტა, კალაძე, იანკულოვსკი, გატუზო (84. კაფუ), პირლო, ამბროზინი, ზეედორფი, კაკა (86. ფავალი), ინძაგი (66. ჯილარდინო).
გოლები: 1:0 კაკა (11), 2:0 ზეედორფი (30), 3:0 ჯილარდინო (79)

**ჩელსი-ლივერპული 1:0**

ლივერპული: რეინა, არბელოა, კარაგერი, აგერი, რიისე, ჯერარდი, ჩაბი ალონსო (83. პენანტი), მასკერანო, ზენდენი, კუიტი, ბელამი (52. კრაუჩი).
გოლი: 1:0 ჯ. კოული (29)

**ლივერპული-ჩელსი 1:0. პენ 4:1**

ლივერპული: რეინა, ფინენი, კარაგერი, აგერი, რიისე, პენანტი (78. ჩაბი ალონსო), ჯერარდი, მასკერანო (118. ფაულერი), ზენდენი, კუიტი, კრაუჩი (106. ბელამი).
გოლი: 1:0 აგერი (22)

## ყველა ფინალი

| | | |
|---|---|---|
| 1957/58 | რეალი-მილანი | 3:2 |
| 1962/63 | მილანი-სპორტინგი ლ. | 2:1 |
| 1968/69 | მილანი-აიაქსი | 4:1 |
| 1976/77 | ლივერპული-ბორუსია მ. | 3:1 |
| 1977/78 | ლივერპული-ბრიუგე | 1:0 |
| 1980/81 | ლივერპული-რეალი | 1:0 |
| 1983/84 | ლივერპული-რომა | 1:1, პენ. 4:2 |
| 1984/85 | იუვენტუსი-ლივერპული | 1:0 |
| 1988/89 | მილანი-სტიაუა | 4:0 |
| 1989/90 | მილანი-ბენფიკა | 1:0 |
| 1992/93 | მარსელი-მილანი | 1:0 |
| 1993/94 | მილანი-ბარსელონა | 4:0 |
| 1994/95 | აიაქსი-მილანი | 1:0 |
| 2002/03 | მილანი-იუვენტუსი | 0:0, პენ 4:2 |
| 2004/05 | ლივერპული-მილანი | 3:3, პენ. 3:2 |

ლივერპული: დუდეკი, ფინენი (46. ჰამანი), ჰიიპია, კარაგერი, ტრაორე, კიუელი (23. შმიცერი), ჩაბი ალონსო, ჯერარდი, რიისე, ლუის გარსია, ბაროში (85. სისე).

მილანი: დიდა, კაფუ, სტამი, ნესტა, მალდინი, ზეედორფი (85. სერჟინიო), გატუზო (112. რუი კოშტა), პირლო, კაკა, კრესპო (85. ტომასონი), შევჩენკო.

გოლები: 0:1 მალდინი (1), 0:2 კრესპო (38), 0:3 კრესპო (43), 1:3 ჯერარდი (54), 2:3 შმიცერი (56), 3:3 ჩაბი ალონსო (60)

*მე-60 წუთზე ჩაბი ალონსომ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

იტალია, 24 ფინალი (10 გამარჯვება): მილანი-10 ფინალი (6 გამარჯვება), იუვენტუსი-7 (2), ინტერი-4 (2), ფიორენტინა-1, რომა-1, სამპდორია-1.

ინგლისი, 13 ფინალი (10 გამარჯვება): ლივერპული-6 (5), მანჩესტერი-2 (2), ნოტინგემი-2 (2), ასტონ ვილა-1 (1), ლიდსი-1, არსენალი-1.

## პრესკონფერენცია






### კარლო ანჩელოტი

- თუ რა შემადგენლობით ვითამაშებთ, ამას მე გადავწყვეტ და გადავწყვეტ სულ ბოლო მომენტში. ახლა ვერაფერს გეტყვით, გარდა ერთისა: ყველა ფეხბურთელი, რომელიც განაცხადშია შეყვანილი, თამაშისთვის სრულ მზადყოფნაშია, ყველა მათგანი იმსახურებს მოედანზე გასვლას...

- არ მინდა ვისაუბრო წინა ფინალზე და რალაც შურისძიებაზე. ის მატჩი დავიწყებულია. ჩვენ ვიბრძოლებთ ერთი კონკრეტული, სეზონის მთავარი დაპირისპირების მოსაგებად. ეს არის და ეს. ეგ არის, რომ აღარ უნდა დავუშვათ ის შეცდომები, რაც ორი წლის წინ მოხდა...

- ითამაშებს თუ არა მალდინი? ხომ გითხარით, სასტარტო შემადგენლობა ბოლო მომენტში გაირკვევა. პაოლო "მილანის" სიმბოლოა. მოედანზე მარტო მისი ყოფნაც კი ფეხბურთელებისთვის უდიდესი ფსიქოლოგიური მუხტია. ძალიან მინდა, რომ ითამაშოს... სხვათა შორის, გვეწვია რივალდო, ჩვენი ყოფილი მოთამაშე, რომელიც თავის მეგობრებს გაამხნევებს...

- ველით, რომ ეს იქნება თანაბარი, დაბალანსებული მატჩი. რა თქმა უნდა, არის გარკვეული წნეხი, მაგრამ ეს ჩვეულებრივი სიტუაციაა. მთავარია, ეს ჩვენს თამაშზე არ აისახოს. ასე იყო "მანჩესტერთან" საპასუხო ნახევარფინალის წინაც, მაგრამ სიტუაციიდან გამოვძვერით და ბრწყინვალე მატჩი ჩავატარეთ. მჯერა, რომ ოთხშაბათს ეს პრობლემა არ გვექნება...

- საბედნიეროდ, ამ მომენტისთვის გუნდი კარგ ფორმაშია. ეს სწორი მუშაობით მოვახერხეთ, ძალები სწორად გავანაწილეთ. ვეცდებით, ჩვენი საუკეთესო თვისებები სრულად გამოვავლინოთ და თასი მილანში ჩავიტანოთ. ძალიან რთული სეზონი გვქონდა. და ამ სირთულეების მიუხედავად, მაინც მოვხვდით სერია A-ს ოთხეულში. ახლა, ლიგაშიც უნდა ვიყოჩაღოთ. ჩვენ გვწამს საკუთარი ძალის, გვაქვს ფანების იმედიც...

### რაფაელ ბენიტესი

- მოთამაშეები კონცენტრირებულნი არიან. ეჭვები? სამწუხაროდ, არ ვიცი, ითამაშებენ თუ არა ზენდენი და სისოკო. რაც შეეხება კიუელს, მან ტრავმა მოირჩინა, მაგრამ პრობლემაა ის, რომ სათამაშო პრაქტიკა აკლია. მაგრამ ყველა შემთხვევაში, საჭიროა დაკვირვება წვრთნის პროცესზე. ვარჯიში კიდევ ბევრ რამეს გამოაჩენს...

- მთავარია, ჩვენი თამაში ვითამაშოთ. კონტროლის ქვეშ უნდა მოვაქციოთ ყველა ზონა, სადაც კი "მილანმა" შეიძლება უპირატესობის მოპოვება სცადოს. თამაში ძალიან ჩაკეტილი იქნება და ნუ ელოდებით კიდევ ერთ თრილერს. უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ დასაწყისში გოლი არ გავუშვათ.

- საიდუმლოებები არ მაქვს. მაგრამ მყავს მოთამაშეთა დიდი ჯგუფი, რომელმაც იცის, რაც უნდა, იცის, რა არის საჭირო გამარჯვებისთვის. ვფიქრობ, ჩვენ ერთგვარი ფსიქოლოგიური უპირატესობა გვაქვს ორი წლის წინანდელი ამბების გათვალისწინებით...

- ჯერარდი და კარაგერი? რა თქმა უნდა, ისინი საკვანძო ფიგურები არიან. მაგრამ ჩვენი ძალა მაინც გუნდურობაშია. "ლივერპულში" ყველა მოთამაშე საკვანძოა.

- ბოლო სამ წელიწადში მეორე ფინალი ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ ძალიან კარგად ვმუშაობთ. მაგრამ ჩვენ უფრო მეტი გვინდა. ეს ზაფხული ძალიან მნიშვნელოვანი იქნება "ლივერპულის" მომავალისთვის და ამიტომ, ათენის ფინალში გამარჯვებას, სწორედ რომ მომავლის პრიზმაში, უდიდესი დატვირთვა ექნება...

- შანსებზე არ ვისაუბრებ, რადგან ეს უაზრობად მეჩვენება. სტამბოლის ფინალში, პირველი ტაიმის შემდეგ რომ გეკითხათ ვინმესთვის, რა შანსი აქვს "ლივერპულსო", რა პასუხს მიიღებდით? ამიტომ, გეტყვით ასე: გაიმარჯვებს ის, ვინც გაიმარჯვებს მოედნის ცენტრში. "მილანს" ფანტასტიკური შუა ხაზი ჰყავს, მაგრამ ვეცდებით, ოთხშაბათის შემდეგ ასე მხოლოდ ჩვენზე ილაპარაკონ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ დაცვასაც. პერსონალური მეურვე კაკასთვის? ვფიქრობ, ეს საჭირო არ იქნება...



კალაძე და მისი თანაგუნდელები ათენის ოლიმპიურ სტადიონზე

### ძლიერი მხარეები

"ლივერპულს" ახლა უკეთესი მეკარე და უფრო კარგად ორგანიზებული დაცვის ხაზი ჰყავს, ვიდრე 2005 წელს. ამან გუნდს დიდი სამსახური გაუწია ფინალის გზაზე. კაპიტანმა სტივ ჯერარდმა ყოველმხრივ გააუმჯობესა თამაში, დაცვითი სტილის შუახაზელმა ხავიერ მასკერანომ კი დაადასტურა, რომ რაფა ბენიტესს არჩევანში აშკარად გაუმართლა. "ლივერპულის" ფინალში მოხვედრამ დაამტკიცა, რომ მის მწვრთნელს ტაქტიკური ბრძოლის საუცხოო უნარი შესწევს, თანაც, განსაკუთრებული ნიჭის მქონე ოპონენტებთან ჭიდილისას.

"მილანის" რეალურ გამწევ ძალად ბრაზილიელი კაკა მიიჩნევა, მაგრამ ნახევარდაცვაში ჯენარო გატუზოსა და მასიმო ამბროზინის ყოფნა ნამდვილ კედელს ქმნის მოედნის ცენტრში. ამავე დროს, 31 წლის კლარენს ზეედორფი "მეორე სიცოცხლის" სტადიაშია. 2005 წლის ფინალიდან, ამჟამინდელ დაპირისპირებაში 7 ფეხბურთელი ითამაშებს, რაც მათ უდიდეს გამოცდილებაზე მეტყველებს.

### სუსტი მხარეები

"ლივერპულს", ორი წლის განმავლობაში რაფა ბენიტესთან ერთად მუშაობისას, ჯერაც არ დაუკარგავს გოლის გატანის უნარი, თუმცა სტამბოლში გამარჯვებული გუნდისგან განსხვავებით, ახლანდელ შემადგენლობას, "შემოქმედების" მხრივ, აშკარა ხარვეზები აქვს. სტივ ჯერარდი "ლივერპულის" ცენტრალურ ფიგურად რჩება. თუმცა მის გარეშე, ან კიდევ თუ თამაშიდან გამოთიშულია, გუნდი ძალიან სუსტდება და გაძლიერების რეზერვიც არ გააჩნია.

"მილანის" სახელოვანი დაცვის ხაზი სტამბოლის ფინალის მეორე ტაიმში ნამსხვრევებად იქცა. ახლაც შეიძლება შეიქმნას სირთულეები, რადგან ალესანდრო ნესტა უკვე 31 წლისაა, პაოლო მალდინის კი ერთი თვე დარჩა 39-ე დაბადების დღემდე. თავდამსხმელმა ფილიპო ინძაგიმაც (33) უკვე განვლო საუკეთესო წლები და ამ მხრივ, "მილანს" აშკარად გაუჭირდება წინააღმდეგობის გაწევა.

გვერდები მოამზადა დავით ჩუბინიძემ

## ლივერპული

### მეკარეები

**25. ხოსე რეინა, 24 წლის.** საუკეთესო ფორმაშია, რაც "ჩელსისთან" ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალშიც დაამტკიცა. ოთხშაბათს ის მამის კვალს დაადგება: 1974 წელს, ჩემპიონთა თასის ფინალში, მამამისი, მიგელი მადრიდის "ატლეტიკოს" კარს იცავდა.

**1. იერჟი დუდეკი, 34.** ორი წელიწადია, სათადარიგო მეკარეა და სეზონის ბოლოს, ალბათ, წავა გუნდიდან. თუმცა მაინც დატოვებს კვალს "ლივერპულის" ისტორიაში, თუნდაც 2005 წელს, იგივე "მილანთან" ჩემპიონთა ლიგის ფინალში აღებული პენალტების წყალობით.

### მცველები

**3. სტივ ფინენი, 21.** ზუსტად ისეთი ტიპის ფეხბურთელია, როგორიც რაფა ბენიტესს მოსწონს. სოლიდური, შრომისმოყვარე ირლანდიელი, ულაპარაკოდ, პირველია მარჯვენა მცველის პოზიციაზე. უყვარს შეტევაზე გადასვლაც და შეუძლია, ზუსტი გადაცემების გაკეთებაც.

**5. დანიელ აგერი, 22.** ამ სეზონში დაამტკიცა, რომ მწვრთნელს თავისუფლად შეუძლია, ანდოს ადგილი დაცვის ცენტრში, მასზე გაცილებით გამოცდილ კარაგერთან ერთად. დაცვაში საიმედო თამაშის, შეტევაზე გადასვლისა თუ საგოლე ალღოს წყალობით, "ენფილდზე", "ჩელსისთან" საპასუხო ნახევარფინალში, გამარჯვების გოლიც გაიტანა.

**23. ჯეიმი კარაგერი, 29.** ინგლისის ერთ-ერთ საუკეთესო მცველად მიიჩნევენ. საუცხოოა პოზიციის შერჩევისას. მას შეუძლია, ცენტრიდან მარცხენა ან მარჯვენა ფრთაზე გადაინაცვლოს, თუ ამის საჭიროება იქნება.

**4. სემი ჰიიპია, 33.** ერთ დროს "ლივერპულის" დაცვის ბურჯი, რომელმაც თავის გუნდს, 2001 და 2005 წლებში, უდიდესი სამსახური გაუწია უეფას თასისა და ლიგის ფინალების მოგებაში. ახლა ყრუ რეზერვშია. მართალია სისწრაფე აკლია, მაგრამ გამოცდილება აუცილებლად დაეხმარება, თუ მატჩი ისეთივე ნერვული იქნა, როგორიც ორი წლის წინათ.

**6. იონ არნე რიისე, 26.** პრემიერლიგაში ერთ-ერთ საუკეთესო მარცხენა მცველადაა მიჩნეული. მისი "სპეციალობა" შეტევის მხარდაჭერა და უძლიერესი შორეული დარტყმაა, რასაც არაერთი გუნდი გაუმწარებია.

### ნახევარმცველები

**8. სტივენ ჯერარდი, 26.** "ლივერპულის" კაპიტანი-თილისმა, თანამედროვეობის უდიდესი ნახევარმცველი. ის ზუსტი პასით, უზადო ტექნიკითა და გოლის გრძნობის საუცხოო უნარით გამოირჩევა. სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ ხშირად მარჯვენა ფრთაზე თამაშობს, არადა, გუნდში არსებული სისტემა გვკარნახობს, რომ მისი ადგილი ცენტრშია.

**20. ხავიერ მასკერანო, 22.** ბენიტესის ხელში ის იმ ნახევარმცველად იქცა, რომელსაც, ესპანელ ჩაბი ალონსოსთან ერთად, საჭიროების შემთხვევაში თამაშის დაწყნარება და ბურთის "დაჭერა" შეუძლია.

**14. ჩაბი ალონსო, 25.** ბენიტესის უმთავრესი მონაპოვარი. შუახაზის მეტად საჭირო მოთამაშე, ზუსტი პასებისა და კარგი სისწრაფის წყალობით. წლევანდელ სეზონში მხოლოდ 4 გოლი გაიტანა, რაც იმას ნიშნავს, რომ შეუძლია, ამ სფეროში კიდევ უფრო დახელოვნდეს. მასკერანოსთან პარტნიორობით "ლივერპულის" ნახევარდაცვა ლამის გადაულახავ ბარიერად აქცია.

**32. ბუდევეინ ზენდენი, 30.** ტრავმირებული ჰარი კიუელის არყოფნის პერიოდში მარცხენა ფრთაზე გადაიყვანეს. მიუხედავად იმისა, რომ ბენიტესი სათანადოდ აფასებს, მერსისაიდელ გულშემატკივართა ერთი ნაწილი მას მაინც სკეპტიკურად უყურებს.

**16. ჯერმეინ პენანტი, 24.** "არსენალში" არ დააფასეს, სამაგიეროდ "ენფილდზე" თბილი ადგილი მონახა. ბენიტესმა ანდო მარჯვენა ფლანგი, საიდანაც ზუსტ პასებს აწვდის კრაუჩსა და კუიტს.

**7. ჰარი კიუელი, 28.** ტრავმების გამო, ავსტრალიელმა თითქმის მთელი სეზონი გამოტოვა. ალბათ, მიიღებს ათენის ფინალში თამაშის შანსს. თუმცა მას ეხსომება წინა ფინალის კოშმარული 22 წუთი, როცა მილანელებმა მისი ფრთა აიკლეს და ამას "ლივერპულის" ქომაგთა მხრიდან გამაყრუებელი სტვენა მოჰყვა.

### თავდამსხმელები

**18. დირკ კუიტი, 26.** სადებიუტო სეზონს კარგად ამთავრებს. ჩემპიონატში გატანილი 12 გოლით, გუნდის ბომბარდირად იქცა. გაცილებით მეტის მიღწევაც შეუძლია. სწორედ მისი დამსახურებაა "ლივერპულის" ფინალში გასვლა, რაკი ბოლო პენალტი ზუსტად შეასრულა. მას შეტევის დაგვირგვინების ჩინებული უნარი აქვს, თუმცა ჯერაც ოცნებობს თავდასხმაში იდეალურ პარტნიორზე.

**15. პიტერ კრაუჩი, 26.** "ლივერპულის" საუკეთესო სნაიპერია (18 გოლი) ამ სეზონის ყველა ტურნირში. იმედი აქვთ, რომ ოთხშაბათსაც გაიტანს გოლს. იცის, რომ ჯერ კიდევ უნდა იბრძოლოს ძირითადში ადგილის დასამკვიდრებლად და ამ ბრძოლაში მას დაეხმარება "ძლიერი ფეხები", აკრობატული დარტყმების შესრულებისა და თავის თამაშის საუცხოო უნარი.

**17. კრეიგ ბელამი, 27.** "პირველი შეხების" უელსელი ოსტატი, სწრაფი გარემარბი, რომელიც, ალბათ, მოგვიანებით გამოჩნდება თამაშში, თუკი მისი თანაგუნდელები მილანური დაცვის გარღვევას დროულად ვერ შეძლებენ.

**9. რობი ფაულერი, 32.** მას გამარჯვების გოლების გატანა ეხერხება. მაღალი კლასის თავდამსხმელი. მშობლიურ კლუბს 2006 წლის იანვარში დაუბრუნდა, მას შემდეგ, რაც 4 წელიწადი სხვა გუნდებში გაატარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფაქტები და პერსონები

* ათენი ევროპის უძლიერესი კლუბების ფინალურ შეხვედრას მესამედ მასპინძლობს 1983 და 1994 წლების შემდეგ.

* წინა ორივე შემთხვევაში ერთ-ერთი გუნდი იტალიური იყო. პირველად, "ჰამბურგმა" დაამარცხა (1:0) "იუვენტუსი" 1983 წელს. 13 წლის წინათ კი "მილანმა" 4:0 მოუგო "ბარსელონას". ათენის საპორტო ნაწილი პირეოსიც იყო ჩართული თასების თასის ფინალის 1977 წლის გათამაშებაში, ასევე 1973 წელსაც, როცა "მილანმა" 1:0 მოუგო "ლიდს იუნაიტედს", და კიდევ 1987 წელს.

* წლევანდელ სეზონში "მილანმა" უკვე ითამაშა ათენში ჩემპიონთა ლიგის მატჩი. ეს იყო ჯგუფური ეტაპის შეხვედრა აეკ-თან, რომელიც ბერძნების გამარჯვებით 1:0 დასრულდა.

* ეს არის 52-ე ფინალი მას შემდეგ, რაც ტურნირს ევროპის ჩემპიონთა თასი დაერქვა 1955/56 წლებში. "მილანი" მეთერთმეტე ფინალს ითამაშებს და აქვს შანსი, მეშვიდედ მოიგოს უმაღლესი საკლუბო ჯილდო.

* "მილანის" წინა 6 გამარჯვება მოდის 1963, 1969, 1990, 1994 და 2003 წლებზე; მარცხი განიცადა 1958, 1993, 1995 და 2005 წლებში. ბოლოს, სწორედ დღევანდელმა მეტოქე "ლივერპულმა" მოუგო.

* "ლივერპული" მეშვიდედ ითამაშებს ფინალში. გამარჯვება მან 1977, 1978, 1981, 1984 და 2005 წლებში მოიპოვა. მისთვის ეს იქნება მეოთხე ევროსათასო ფინალი იტალიური კლუბების წინააღმდეგ. 1984 წელს ის "რომას" შეხვდა, 1985-ში "იუვენტუსს", ხოლო 2005-ში "მილანს". ამ უკანასკნელმა კი ორჯერ ითამაშა ფინალი ინგლისური კლუბების წინააღმდეგ. 1973 წელს, თასების თასის ფინალში "ლიდსთან" და ბოლოს "ლივერპულთან", ჩემპიონთა ლიგის ფინალში, რომელიც წელსაც მეორდება.

* თუ პაოლო მალდინი ითამაშებს, ეს მისი მერვე ფინალი იქნება "მილანთან" ერთად. მან ოთხჯერ (1989, 1990, 1994 და 2003) მოიგო და სამჯერ (1993, 1995 და 2005) წააგო.

* მალდინი, რომელიც ფინალის დღეს 38 წლისა და 331 დღის შესრულდება, ჩემპიონთა ლიგის საფინალო ისტორიაში ყველაზე ასაკოვანი ფეხბურთელი იქნება. საერთოდ, ჩემპიონთა თასის ისტორიაში რეკორდი ეკუთვნის "იუვენტუსის" მეკარე დინო ძოფს, რომელიც 1983 წლის ფინალში 41 წლის და 86 დღის იყო. ყველაზე მხცოვან ფეხბურთელად ჩაითვლება მალდინის თანაგუნდელი ალესანდრო კოსტაკურტაც, რომელიც ასევე 41 წლისაა, მაგრამ ფინალში მისი თამაში გამორიცხულია.

* 2005 წელს, "ლივერპულთან" მატჩის პირველ წუთზე, მალდინის მიერ გატანილი გოლი დროის ამ მომენტში გატანილ მეორე გოლად ითვლება. ამით მან ყველაზე მხცოვანი გოლეადორის სახელი მოიხვეჭა. "ბარსელონის" ფეხბურთელი ანტონიო რამალეტსი უფროსი იყო, როცა მან ერთი გოლი გაუტანა "ბენფიკას" 1961 წელს. თუ მალდინი ითამაშებს, ფინალების რაოდენობით "რეალის" ყოფილ მოთამაშეს, ლეგენდარულ ფრანსისკო ხენტოს (8 ფინალი) გაუთანაბრდება. ამ მომენტისთვის მალდინი "რეალის" კიდევ ერთ ლეგენდარულ ფიგურას, ალფრედო დი სტეფანოს (7 ფინალი) უტოლდება.

* პაოლოს მამა, ჩეზარე მალდინი, "მილანს" კაპიტნობდა, როცა ამ გუნდმა, 1963 წელს, ევროპული თასი პირველად მოიგო.

* "მილანის" მწვრთნელი კარლო ანჩელოტი ერთ-ერთია იმ ხუთ ფიგურას შორის, რომელთაც ევროპული თასი მოიგეს როგორც ფეხბურთელის, ისე მწვრთნელის რანგში. ის "მილანის" მოთამაშე იყო 1989 და 1990 წლებში გამარჯვებისას, ხოლო მწვრთნელობდა, როცა მისმა "მილანმა" "იუვენტუსი" პენალტების სერიაში დაამარცხა 2003 წელს.

* ანჩელოტისა და მის დღევანდელ ვიზავის, რაფაელ ბენიტესს შორის გადაწყდება, ვინ გახდება მე-14 მწვრთნელი, რომელსაც ამ რანგში ორი ევროთასი ექნება მოგებული. სამჯერ ეს თასი მხოლოდ "ლივერპულის" ლეგენდარულმა დამრიგებელმა ბობ პეისლიმ მოიგო.

* მიუხედავად იმისა, რომ "რეალმა" თორმეტჯერ ითამაშა ევროთასების ფინალებში და სარეკორდოდ, 9-ჯერ მოიგო, "მილანმა" უფრო მეტ ფინალამდე მიაღწია მას შემდეგ, რაც ჩემპიონთა ლიგის გათამაშება დაიწყო 1992/1993 წლებში. ეს მისი მეექვსე ფინალია ჩემპიონთა ლიგის დაარსების შემდეგ. და "მილანი" გეგმავს მესამე გამარჯვებას, ანუ იმდენივეს, რამდენსაც "რეალმა" მიაღწია იმავე პერიოდში.

* "მილანის" ნახევარმცველი კლარენს ზეედორფი ერთადერთი ფეხბურთელია, რომელმაც ევროპული თასები სამ სხვადასხვა კლუბთან ერთად მოიგო: "აიაქსში" 1995 წელს, "რეალში" 1998 წელს და "მილანი" 2003 წელს. "მილანის" წინააღმდეგ მან 1995 წელს ითამაშა. თუ "მილანი" მოიგებს, ზეედორფი პირველი ფეხბურთელი გახდება, რომელსაც ჩემპიონთა ლიგა ოთხჯერ ექნება მოგებული.

* წლეულს, ლიგის ბომბარდირი (10 გოლი) "მილანის" ფეხბურთელი, ბრაზილიელი კაკაა. მას ოთხი ბურთის გატანა სჭირდება, რათა თანამემამულე ჟოზე ალტაფინის გაუთანაბრდეს. ალტაფინი "მილანში" 1962/1963 წლებში თამაშობდა.

* "ლივერპულისა" და "მილანის" საევროთასო შეხვედრა პირველად 2005 წელს გაიმართა და ისიც უმაღლეს დონეზე, ფინალში.

# ინძაგი თუ ჯილარდინო?



მილანელები რივალდომ მოინახულა




კარლო ანჩელოტი და ფილიპო ინძაგი რივალდოსა და მალდინის ემოციურ შეხვედრას უმზერენ

**კარლო ანჩელოტის** სათუო საკითხები თითქმის არ აქვს. ერთი რამ დაზუსტებით შეიძლება ითქვას, რომ **კაკა** თავდასხმაში ითამაშებს, უფრო სწორად, გამოკვეთილი მოიერიშე იქნება, ოღონდ, არა ნომინალური ფორვარდის პოზიციაზე. კარლეტო მსგავს ფორმაციას ძირითადად უმნიშვნელოვანეს მატჩებში მიმართავს, ანუ იმ მატჩებში, რომლებშიც შედეგი განსაკუთრებით ძვირად ფასობს. ცხადია, ჩემპიონთა ლიგის ფინალი ამათ შორის მნიშვნელობით უპირველესია. ანჩელოტის რისკი არ უყვარს, ეს ცნობილი ამბავია, ამიტომ, ურჩევნია, ერთი გამოკვეთილი თავდამსხმელი ჰყავდეს და კაკა მხოლოდ საჭიროებისამებრ მიახმაროს ნახევარდაცვას.

ახლა ისაა საქმე, ვინ იქნება ეს ერთი გამოკვეთილი ფორვარდი. არჩევანი **ფილიპო ინძაგისა და ალბერტო ჯილარდინოს** შორის უნდა გაკეთდეს. აქ არ ღირს **რიკარდო ოლივეირაზე** მარჩიელობა, არც **მარკო ბორიელოზე**, რომელიც ოთხი თვე ფეხბურთს მოწყვეტილი იყო, **რონალდოს** ამბავიც იცით. 33 წლის ინძაგის უპირატესობა უდიდესი გამოცდილებაა, თუნდაც ფინალებში მონაწილეობის მხრივ. მაგრამ ამ სეზონში "პიპო" ტრავმებმა გატანჯეს და ახლაც არაა ჩვეულ ფორმაში. თუმცა აქ არის ერთი მნიშვნელოვანი მომენტი: ინძაგის საოცარი საგოლე ყნოსვა. თუმცა ხშირად ანიავებს ამ საგოლე შანსებს, ის ყოველთვის არის იქ, საიდანაც გოლი თითქმის გარდაუვალია. მას ფაქტობრივად, არაფრისგანაც შეუძლია გატანა.

საგოლე ალღო არც ჯილარდინოს დაეწუნება. ჩემპიონატში მას 12 ბურთი აქვს გატანილი, მთლიანად სეზონში კი 16. ამას გარდა, ის ინძაგიზე ცოტა უფრო სწრაფია და მასზე კარგად ეხერხება ნახევარდაცვასთან ურთიერთქმედება. ანჩელოტის თავის ხედვას სთავაზობს "მილანის" პრეზიდენტი **სილვიო ბერლუსკონი**: *"ჩემი ნება რომ იყოს, თავიდანვე ჯილარდინოს დავაყენებდი, ხოლო ინძაგის მაშინ ჩავრთავდი თამაშში, როცა მოწინააღმდეგე დაიღლებოდა"*.

გაითვალისწინებს კარლეტო სილვიოს რჩევას? ისე, მწვრთნელსა და პრეზიდენტს თავდასხმის ორგანიზებაზე განსხვავებული შეხედულებები აქვთ და ამას ერთხელ მცირე დაპირისპირებაც მოჰყვა. ბერლუსკონიმ პირდაპირ უბრძანა ანჩელოტის, მუდმივად ორი ფორვარდით ეთამაშა. თუმცა ეს უკვე ძველი ამბავია და გასახსენებლად აღარ ღირს...

რაც შეეხება სხვა პოზიციებს. ანჩელოტის მთავარი იმედი **კაკა** იქნება. ბრაზილიელი დიდებულ სეზონს ატარებს. დარჩა მთავარი მატჩი, რომელშიც მან კიდევ ერთხელ უნდა მოიკრიბოს ძალები და თავისი სიტყვა თქვას.

როგორ არის **პაოლო მალდინის** მარცხენა მუხლი? სწორედ ამ მუხლზეა დამოკიდებული, ითამაშებს თუ არა ლეგენდარული კაპიტანი დღევანდელ ფინალში. მალდინისადმი ჩვენი ინტერესი უფრო ღრმავდება **კახა კალაძის** გამო. თუ მალდინის ტრავმას ვერ ეშველა, **ალესანდრო ნესტას** სწორედ კალაძე შეუწყვილდება. რაკი ჩვენებური დაცვის ცენტრში თამაშს მიეჩვია, ვფიქრობთ, ანჩელოტი არ გარისკავს და კალაძის გამო, მარცხენა ფლანგიდან **მარეკ იანკულოვსკის** არ ამოაგდებს.

მარჯვნივ **მასიმო ოდო** იქნება. ის იმედებს ამართლებს, უფრო მეტადაც კი, ვიდრე მწვრთნელი ელოდა. ხოლო ნახევარდაცვაში **ანდრეა პირლოს, ჯენარო გატუზოსა და კლარენს ზეედორფის** გვერდით, უნდა ველოდოთ **მასიმო ამბროზინის** გამოჩენასაც. ამ შემთხვევაშიც, ანჩელოტის პრინციპი გამოცდილებას დაეყრდნობა.

### ინტერვიუ კლარენს ზეედორფთან

# ოღონდ პენალტები არა!

**ზეედორფის სურვილი, პენალტების სერიამდე არ მიიყვანოს საქმე, გასაგებია: კარიერის ყველაზე მნიშვნელოვან მატჩებში ის სამჯერ მივიდა 11-მეტრიანის ნიშნულთან და სამივეჯერ შეცდა! პირველად ეს 1996 წლის ევროპის ჩემპიონატზე მოხდა, როცა გუს ჰიდინკის ჰოლანდიამ მეოთხედფინალში პენალტების სერიაში წააგო საფრანგეთის ნაკრებთან - 3:3-ზე კლარენსს ბერნარ ლამამ მოუგო დუელი. ზეედორფმა მეორედ პენალტი 2002-03 წლების ჩემპიონთა ლიგის ფინალში გააფუჭა. თუმცა, "იუვენტუსის" მეკარე ჯანლუიჯი ბუფონის მიერ მოგერიებულ 11-მეტრიანს, "იუვესთვის" დიდი ხეირი არ მოუტანია - ის ფინალი მაინც "მილანმა" მოიგო. სამაგიეროდ, მესამე გაფუჭებულმა პენალტმა, "მილანს" 2003 წლის 14 დეკემბერს, იოკოჰამაში საკონტინენტთაშორისო თასის ფინალი წააგებინა. "ბოკა ხუნიორსის" წინააღმდეგ ჰოლანდიელი რიგით მესამე ურტყამდა, მაგრამ ბურთი კარს გადააცილა.**

**და საერთოდაც, 2003 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალის გამოკლებით, 11-მეტრიანების სერიას ზეედორფის გუნდებისთვის წარმატება არ მოუტანია, მაშინაც კი, როცა ის თავად არ რისკავდა დარტყმას. ასე მოხდა 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში ბრაზილიის წინააღმდეგ, ევრო 2000-ზე ასევე ნახევარფინალში იტალიასთან და 2003 წელს, იტალიის სუპერთასზე "იუვენტუსთან" დაპირისპირებისას. ზეედორფის გუნდმა პენალტების სერია ორი წლის წინათ, სტამბოლშიც წააგო. ასე რომ, თავიანთი ჰოლანდიელი ლეგიონერის გადამკიდე, მილანელებმა მართლაც ძირითად ან დამატებით დროში უნდა მოაგვარონ საქმე.**

**- კლარენს, შეძლებს თუ არა "მილანი" ათენში ორი წლის წინანდელი მარცხისთვის რევანშის აღებას?**

- ჩემპიონთა ლიგის ყოველი ფინალი თავისთავად მნიშვნელოვანია და ის არ უკავშირდება წარსულის ამბებსა და მოგონებებს. ჩვენთვის მთავარი არა "ლივერპულზე" შურისძიება, არამედ ტიტულის მოგებაა. თუმცა, რა თქმა უნდა, დამატებითი სტიმული მართლაც არსებობს.

**- სტამბოლის ფინალი ყველას კარგად ახსოვს. როგორ შეძელით მოგებული მატჩის დათმობა?**

- ფეხბურთში არანორმალური და დაუჯერებელი ამბები ხშირად ხდება ხოლმე - ამიტომაც უყვარს ეს თამაში მილიონობით ადამიანს. დიახ, ჩვენ ყოველგვარი პრობლემის გარეშე უნდა მიგვეყვანა ბრწყინვალედ დაწყებული საქმე გამარჯვებამდე, მაგრამ გიჟურმა ექვსმა წუთმა თავდაყირა დააყენა ყველაფერი. მაშინდელი მოვლენები საღი აზროვნების ფარგლებს სცილდება. "ლივერპულთან" კიდევ 20 მატჩში რომ წავიყვანოთ ანგარიში - 3:0, ოცივე შემთხვევაში შეხვედრა ჩვენს სასარგებლოდ დასრულდება, მაგრამ სწორედ ის, სტამბოლის ფინალი აღმოჩნდა "მილანისთვის" საბედისწერო.

**- თუ საქმე ამჯერადაც პენალტების სერიამდე მივიდა, ვის მხარეზე იქნება მორალური უპირატესობა? ორი წლის წინათ, ეს უპირატესობა ინგლისელებს ჰქონდათ...**

- რატომღაც მგონია, რომ ამჯერად პენალტების სერია არ იქნება. ყოველ შემთხვევაში, ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ საქმე აქამდე არ მივიყვანოთ. თუ ისევე ვითამაშებთ, როგორც სტამბოლში, ყველაფერი წესრიგში იქნება. რა თქმა უნდა, ის საშინელი 6 წუთი არ მაქვს მხედველობაში.

**- ბოლო ხუთი წლის განმავლობაში "მილანი" ჩემპიონთა ლიგის მესამე ფინალს თამაშობს. გამოდის, რომ გამოცდილება თქვენს მხარესაა?**

- ჩვენი მესამე ფინალია, "ლივერპულის" - მეორე, ასე რომ, რაიმე განსაკუთრებულ უპირატესობას ვერ ვხედავ. გარდა ამისა, გამოცდილების გარდა, ასეთ დროს დიდ როლს მოტივაცია თამაშობს. სწორედ ეს დაგვეხმარა ჩვენ ჯერ "ბაიერნის", შემდეგ კი, "მანჩესტერ იუნაიტედის" დამარცხებაში, თუმცა ინგლისელებთან წყვილში "მილანს" ფავორიტად ცოტა ვინმე თუ მიიჩნევდა. როგორც უკვე გითხარით, მოტივაციის მხრივ, "მილანს" დამატებითი სტიმული ექნება: სტამბოლის ვალი გვაქვს გასასტუმრებელი.

**- ასეთი მატჩებისთვის მომზადების როგორი გეგმაა იდეალური?**

- ყველაფერი ადამიანის ხასიათსა და ნერვულ სისტემაზეა დამოკიდებული. ასე რომ, რაიმე უნივერსალური რეცეპტი არ არსებობს. მე, მაგალითად, საკუთარ თავს ოპტიმისტად მივიჩნევ, ამიტომაც ყოველთვის ვფიქრობ, რომ გამარჯვებული ჩემი გუნდი გახდება. ვიღაცას ურჩევნია მატჩზე იყოს კონცენტრირებული და ამიტომაც, დილიდან საღამომდე დაბღვერილი დადის, მე კი, ამას ღიმილი მირჩევნია. ფინალის გამო დათრგუნული არ უნდა იყო, არ უნდა გაიხადო ის აკვიატებულ იდეად. ამას ჯობია, გული სასიამოვნოდ ფეთქავდეს იმის მოლოდინში, რომ წინ უმნიშვნელოვანესი და საინტერესო მატჩი გელის.

**- სეზონის დასაწყისში, ბევრი ვერ გაბედავდა "მილანის" ფინალში გასვლაზე ფსონის გაკეთებას: სკანდალი კალჩოში, შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატზე დახარჯული ენერგია და ემოცია... თავად თუ ელოდით, რომ ათენის ფინალამდე მიაღწევდით?**

- ალბათ, დღეს ვერცერთი ჩვენთაგანი გადაჭრით ვერ იტყვის იმას, რომ ასი პროცენტით იყო დარწმუნებული ამ წარმატებაში. თუმცა, მთლად პესიმისტური განწყობაც არ გვქონია. და დამიჯერეთ, სეზონის მსვლელობისას, თქვენზე, ჟურნალისტებზე ადრე გავაცნობიერეთ, რომ ფინალში გასვლის ძალა შეგვწევდა.

**- როგორ მოახერხეთ ჩემპიონთა ლიგის გადამწყვეტ ეტაპზე ასეთი მძლავრი ფორმის აკრეფა?**

- ჩვენი სამუშაო გეგმა ისე იყო აგებული, რომ ფორმის პიკი მაისის თვეზე უნდა მოსულიყო. პირადად მე, სეზონის მსვლელობისას წარუმატებელი პერიოდი მქონდა, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი და პრესაშიც ვაცხადებდი, რომ სეზონის ფინიშისთვის საჭირო კონდიციებს დავიბრუნებდი. საბედნიეროდ, სწორედ ასე მოხდა: წელს, სერია A-სა და ჩემპიონთა ლიგაში 10 გოლი გავიტანე. ეს ჩემთვის ძალიან კარგი შედეგია.

**- თქვენს შესახებ ცნობილია, რომ არასოდეს გაშინებდათ გუნდის გამოცვლა. თუმცა, უკვე 31 წლის ხართ. იქნება თქვენს კარიერაში ახალი კლუბები?**

- სულ ცოტა ხნის წინათ, "მილანთან" 2011 წლამდე გავაგრძელე კონტრაქტი. გავრისკავ და ვიტყვი: სწორედ აქ დასრულდება ჩემი კარიერა. თუმცა, ამის მოსაფიქრებლად დრო კიდევ მექნება, ახლა კი, დღის წესრიგში ერთადერთი საკითხია - ჩემპიონთა ლიგის ფინალი.



კლარენს ზეედორფი ათენის აეროპორტში

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

XVI ჩემპიონატის საუკეთესოები. ლელოს გამოკითხვა

# კოტე პირველია, მეორედ...



| საუკეთესო მოთამაშე | გუნდი | ქ. |
|---|---|---|
| 1. კოტე ტულუში | აზოტი | 25* |
| 2. ლაშა გამყრელიძე | აზოტი | 18 |
| 3-4. ზვიად ბაბიაშვილი | ავიამშენი | 14 |
| 3-4. გიორგი შერმადინი | მაკაბი | 14 |
| 5. დავით უგრეხელიძე | აზოტი | 10 |
| 6. გიორგი მარკოიშვილი | აზოტი | 5 |
| 7-8. ბესიკ ლეჟავა | თსუ | 3 |
| 7-8. რიჩარდ მათიაშვილი | თსუ | 3 |
| 9. ნოდარ ბერაია | სტუ | 2 |
| 10-11. ვაკო ბეჟანიშვილი | აზოტი | 1 |
| 10-11. ირაკლი ხოშტარია | ავია | 1 |

| მწვრთნელების ვერსია | გუნდი | ქ. |
|---|---|---|
| 1. კოტე ტულუში | აზოტი | 8 |
| 2-3. ზვიად ბაბიაშვილი | ავიამშენი | 6 |
| 2-3. გიორგი შერმადინი | მაკაბი | 6 |
| 4. დავით უგრეხელიძე | აზოტი | 5 |
| 5. ლაშა გამყრელიძე | აზოტი | 4 |
| 6. გიორგი მარკოიშვილი | აზოტი | 2 |
| 7-9. ირაკლი ხოშტარია | ავიამშენი | 1 |
| 7-9. რიჩარდ მათიაშვილი | თსუ | 1 |
| 7-9. ვაკო ბეჟანიშვილი | აზოტი | 1 |

| ჟურნალისტების ვერსია | გუნდი | ქ. |
|---|---|---|
| 1. კოტე ტულუში | აზოტი | 17 |
| 2. ლაშა გამყრელიძე | აზოტი | 14 |
| 3-4. ზვიად ბაბიაშვილი | ავიამშენი | 8 |
| 3-4 . გიორგი შერმადინი | მაკაბი | 8 |
| 5. დავით უგრეხელიძე | აზოტი | 5 |
| 6-7. ბესიკ ლეჟავა | თსუ | 3 |
| 6-7. გ. მარკოიშვილი | აზოტი | 3 |
| 8. ნოდარ ბერაია | სტუ | 1 |

*- გამოკითხვისას პირველადგილოსანს 3 ქულა დავუწერეთ, მეორეს - 2, მესამეს - 1.

"სიმართლე გითხრათ, ჩემპიონატის MVP-დ დასახელებას შარშან უფრო ველოდი, ვიდრე წლეულს. რადგან ამ სეზონში "აზოტის" თითქმის ყველა მოთამაშე ფუნქციებს თანაბრად ვინაწილებდით და ჩვენი გუნდიდან ვინმეს გამორჩევა მეც გამიჭირდებოდა. მაგრამ, ალბათ, სეზონის მიღწევებმა ერთ მატჩში ჩაგდებულმა 11-დან 11-მა სამქულიანმა, 23 წუთში მოგროვილმა 45-მა ქულამ, სამმაგი დუბლის შესრულებამ და, რაც მთავარია, საჩემპიონო გუნდში თამაშმა გამოკითხვის შედეგებზე გარკვეულწილად იმოქმედა. მოკლედ, ზედიზედ მეორედ საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო კალათბურთელად დასახელება ჩემთვის სასიამოვნო მოულოდნელობა იყო", - ეს სიტყვები კოტე ტულუშს ეკუთვნის, რომელმაც ჯერ "ავიამშენი" გააჩემპიონა და მე-15 პირველობის MVP გახდა, ახლა იგივე "აზოტთან" ერთად გაიმეორა.

გამოგიტყდებით, ვიდრე გამოკითხვას დავიწყებდით, ნამდვილად არ გვეგონა, რომ პირველსა და მეორეადგილოსანს შორის დიდი სხვაობა იქნებოდა, რადგან ვფიქრობდით, რომ 5 პრეტენდენტს საუკეთესოობის თანაბარი შანსი ჰქონდა - კოტე ტულუშს, ლაშა გამყრელიძეს, ზვიად ბაბიაშვილს, დავით უგრეხელიძესა და გიორგი შერმადინს.

გამოკითხვის ბლანკზე არ დაუწერია, თუმცა, სწორი შენიშვნა გააკეთა ჟურნალისტმა გია პლატონიშვილმა - ოჯახური ტრაგედია (მამა გარდაეცვალა) რომ არა, ავიატორი ირაკლი ხოშტარია სამეულში შევიდოდა. ის ხომ ყოველ ფლეი ოფს უმაღლეს დონეზე ატარებსო. ხოშტარიას გვერდით შეიძლება ირაკლი ბერიშვილისა და ბესიკ ლეჟავას ხსენებაც, რომლებმაც გამოკითხვისას ჯამში 3 ქულა მოაგროვეს...

ასეა თუ ისე, ფაქტს ვერსად გავექცევით - მე-16 ჩემპიონატის MVP კოტე ტულუშია. ვნახოთ, კალათბურთის ფედერაციის გამოკითხვაში (რომელიც კვირის ბოლოს გამოქვეყნდება) ვინ გაიმარჯვებს. მანამდე, ხვალ კოტეს ინტერვიუს შემოგთავაზებთ, ახლა კი სხვა ნომინაციებს გადავხედოთ.

### ჩვენი გაზეთის ყველა გამოკითხვა

**საუკეთესოები**

**XII ჩემპიონატი (2002-03 წ)**
გიორგი ცინცაძე (აკადემია/ბასკო)

**XIII ჩემპიონატი (2003-04 წ)**
დავით ბერძენიშვილი (ბასკო)

**XIV ჩემპიონატი (2004-05 წ)**
გიორგი მარკოიშვილი (სტუ)

**XV ჩემპიონატი (2005-06 წ)**
კოტე ტულუში (ავიამშენი)

**XVI ჩემპიონატი (2006-07 წ)**
კოტე ტულუში (აზოტი)

### ვინ ვის მისცა ხმა

| მწვრთნელი | გუნდი | I | II | III |
|---|---|---|---|---|
| დავით უსტიაშვილი | აზოტი | უგრეხელიძე | გამყრელიძე | ტულუში* |
| ლევან მოსეშვილი | ავიამშენი | შერმადინი | გამყრელიძე | ბეჟანიშვილი |
| ნუგზარ ჭეიშვილი | თსუ | მათიაშვილი | ტლუში | მარკოიშვილი |
| ზაზა ცაგარეიშვილი | დინამო | ტულუში | ბაბიაშვილი | ხოშტარია |
| ნიკო ჩერქეზიშვილი | სტუ | უგრეხელიძე | ბაბიაშვილი | მარკოიშვილი |
| ჯამლეტ ხუხაშვილი | მაკაბი | შერმადინი | ბაბიაშვილი | ტულუში |

| ჟურნალისტი | გუნდი | I | II | III |
|---|---|---|---|---|
| ზურაბ თალაკვაძე | ლელო | ტულუში | ბაბიაშვილი | უგრეხელიძე |
| ირაკლი პერტაია | სარბიელი | ტულუში | გამყრელიძე | ბაბიაშვილი |
| დავით ჭელიძე | ოლიმპი | გამყრელიძე | ტულუში | უგრეხელიძე |
| გიორგი ჭინჭარაული | ჯაკო | გამყრელიძე | შერმადინი | ლეჟავა |
| ლევან ჩხაიძე | ჯაკო | გამყრელიძე | ბერაია | შერმადინი |
| დავით ბანანაშვილი | იმედი | შერმადინი | ტულუში | ბაბიაშვილი |
| მიხეილ ნიკოლეიშვილი | იმედი | ბაბიაშვილი | შერმადინი | ლეჟავა |
| მიხეილ დუმბაძე | საზ. მაუწყ. | მარკოიშვილი | ტულუში | ლეჟავა |
| გია პლატონიშვილი | საქ. რესპ. | ტულუში | გამყრელიძე | ბაბიაშვილი |
| ვაჟა სიმონიშვილი | ლელო | უგრეხელიძე | ტულუში | გამყრელიძე |

* - დავით უსტიაშვილის თხოვნით, მის სამეულზე ქულები თანაბრად გავანაწილეთ - ყველას 2-2 ქულა დავუწერეთ.

### გამთამაშებელი (№1)

| | გუნდი | ხმა |
|---|---|---|
| 1. ლაშა გამყრელიძე | აზოტი | 15 |
| 2. ირაკლი ბერიშვილი | ავიამშენი | 1 |



ლაშა გამყრელიძე ტურის საუკეთესოდ 5-ჯერ დასახელდა. მათ შორის ფინალური სერიის მესამე მატჩში (17 ქულა, 6 პასი) და არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ხმების უმრავლესობა სწორედ ლაშასკენ წავიდა. როგორც ჩანს, ფინალებმა ბოლომდე დაჩრდილა ირაკლი ბერიშვილის კარგი თამაში ნახევარფინალურ სერიაში.

### მსროლელი (№2)

| | გუნდი | ხმა |
|---|---|---|
| 1. კოტე ტულუში | აზოტი | 10 |
| 2. ბესიკ ლეჟავა | თსუ | 5 |
| 3. ირაკლი ხოშტარია | ავიამშენი | 1 |



მე-2 ნომრის ამპლუაში წლეულს ყველას კოტე ტულუში სჯობდა, თუმცა, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ შარშან და შარშანწინ იგი უფრო გამთამაშებლის ფუქციებს ასრულებდა, ვიდრე მსროლელის. ასე რომ, ეროვნული ნაკრების მწვრთნელს არჩევანის საშუალება ექნება კოტე პირველ ნომრადაც სასარგებლოა და მეორედაც.

### მსუბუქი ფორვარდი (№3)

| | გუნდი | ხმა |
|---|---|---|
| 1-2. ვაკო ბეჟანიშვილი | აზოტი | 5 |
| 1-2. გიორგი მარკოიშვილი | აზოტი | 5 |
| 3. შიო ხეცურიანი | თსუ | 4 |
| 4. დავით ბარბაქაძე | ავიამშენი | 1 |



რადგან მძიმე ფორვარდის ამპლუაში ზვიად ბაბიაშვილს კონკურენტი არ ჰყავდა, ამიტომ "აზოტის" მძიმე თავდამსხმელი ვაკო ბეჟანიშვილი გამოკითხულებმა მსუბუქ ფორვარდებში ჩაწერეს. შედეგად მივიღეთ ორი საუკეთესო მე-3 ნომერი - ვაკო და მისი თანაგუნდელი გიორგი მარკოიშვილი. შეგახსენებთ, რომ ეს უკანასკნელი ორი წლის წინათ, სეზონის MVP გახდა.

### მძიმე ფორვარდი (№4)

| | გუნდი | ხმა |
|---|---|---|
| 1. ზვიად ბაბიაშვილი | ავიამშენი | 16 |

ზვიად ბაბიაშვილმა სეზონის ბოლო მატჩში 16 ქულა ჩააგდო, რაც რეკორდსმენებისთვის საკმარისი აღმოჩნდა - მან ჯამში 649 ქულას მოუყარა თავი და 10 ქულით გაასწრო მაკაბელ გიორგი შერმადინს...



### ცენტრი (№5)

| | გუნდი | ხმა |
|---|---|---|
| 1. გიორგი შერმადინი | მაკაბი | 7 |
| 2. დავით უგრეხელიძე | აზოტი | 6 |
| 3. რიჩარდ მათიაშვილი | თსუ | 3 |

... თუმცა არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ გიორგიმ 17 შეხვედრა ჩაატარა, ხოლო ბაბიაშვილმა - 33. საშუალო მონაგარის მიხედვით, მაკაბელი საქართველოს პირველობების ყველა დროის რეკორდსმენია - 37.6 ქულა. აქვე გეტყვით, რომ მუხლის ოპერაციის შემდეგ შერმადინმა ვარჯიში უკვე განაახლა.

### მწვრთნელი

| | გუნდი | ხმა |
|---|---|---|
| 1. დავით უსტიაშვილი | აზოტი | 10 |
| 2. ნუგზარ ჭეიშვილი | თსუ | 2 |
| 3-6. ლევან მოსეშვილი | ავიამშენი | 1 |
| 3-6. ნიკო ჩერქეზიშვილი | სტუ | 1 |
| 3-6. ჯამლეტ ხუხაშვილი | მაკაბი | 1 |
| 3-6. ზაზა ცაგარეიშვილი | დინამო | 1 |



"დავით უსტიაშვილი საუკეთესო მწვრთნელი მხოლოდ იმიტომ კი არ იყო, რომ ისტორიაში ჩემპიონი გუნდის თავკაცად ჩაეწერა. არამედ იმიტომ, რომ მან "აზოტის" ერთ მუშტად შეკვრა მოახერხა და სწორ კალათბურთს ათამაშებდა", - ეს ფრაზა სტუ-ს მწვრთნელმა ნიკო ჩერქეზიშვილმა გვითხრა.

### აღმოჩენა

| | გუნდი | ხმა |
|---|---|---|
| 1. გიორგი შერმადინი | მაკაბი | 7 |
| 2. ნოდარ ბერაია | სტუ | 5 |
| 3. გიორგი ბარბაქაძე | სტუ | 4 |
| 4. მიხეილ ბერიშვილი | თსუ | 2 |
| 5-6. ბესიკ ლეჟავა | თსუ | 1 |
| 5-6. ლაშა გამყრელიძე | აზოტი | 1 |



მართალია, შერმადინმა უმაღლეს ლიგაში მესამე სეზონი ჩაატარა, მაგრამ წლეულს პუბლიკის წინაშე ერთი-ორად გაუმჯობესებული წარდგა. სწორედ ეს იყო აღმოჩენა, ისევე როგორც 1991 წელს დაბადებული გიორგი ბარბაქაძის წარმატებული დებიუტი და სტუ-ს ლიდერად მოვლენილი ნოდარ ბერაია.

### დაცვაში საუკეთესო

| | გუნდი | ხმა |
|---|---|---|
| 1. ლაშა გამყრელიძე | აზოტი | 5 |
| 2. ანატოლი ბოისა | აზოტი | 3 |
| 3-6. მიხეილ ფანჩულიძე | თსუ | 2 |
| 3-6. ირაკლი ბერიშვილი | ავიამშენი | 2 |
| 3-6. ვაკო ბეჟანიშვილი | აზოტი | 2 |
| 3-6. დავით უგრეხელიძე | აზოტი | 2 |

"ოლიმპის" ჟურნალისტმა დავით ჭელიძემ დაცვაში საუკეთესო მოთამაშედ დავით უგრეხელიძე დაასახელა - დაცვა მაშინაა კარგი, როცა მთელი გუნდი მწყობრად თამაშობს. სწორედ უგრეხელიძეა გუნდური სტილის მოთამაშეო... ისევე, როგორც გამყრელიძე, ბოისა, ფანჩულიძე, ბეჟანიშვილი და ირაკლი ბერიშვილი.




საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# ახალი პარტნიორი და ახალი ტურნირი

სპორტის ნებისმიერი სახეობის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია ბავშვთა სპორტი და ვინც მომავალს დიდ ყურადღებას უთმობს, სასურველ შედეგსაც იღებს. ასეა ჩოგბურთშიც და საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციაში ამ კუთხით ახალი ნაბიჯიც გადაიდგა: საინფორმაციო ტექნოლოგიების კომპანია იუ-ჯი-თისთან გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება და ჩაეყარა საფუძველი საჩოგბურთო ტურნირს, რომელსაც "ლეილა მესხის სახელობის ჩოგბურთის აკადემიის ღია პირველობა იუ-ჯი-თის თასზე" დაერქვა. ტურნირი ტრადიციული გახდება.

მონაწილენი ოთხ ასაკობრივ ჯგუფად არიან დაყოფილები: 10, 12, 14 და 16. ამ ასაკში ჩოგბურთს ძალიან ბევრი თამაშობს



და დასტურად სასტარტო სიაც გამოგვადგება - 160-მდე გოგო-ბიჭი ებრძვის ერთმანეთს ლეილა მესხის ჩოგბუთრის აკადემიის კორტებზე. ტურნირისადმი მოძღვნილი პრესკონფერენცია **ლეილა მესხმა** გახსნა. მის გვერდით ისხდნენ ჩოგბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი **ლევან რაზმაძე**, კომპანია იუ-ჯი-თის პრეზიდენტი **გიორგი ჭირაქაძე** და ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენელი, ევროპული ჩოგბურთის განვითარების ფონდის კოორდინატორი, ხორვატი **ხროვე სმაზიჩი.**

ახალთან ერთად ტურნირს და ფედერაციას ძველი პარტნიორებიც უდგანან მხარში: "კოკა-კოლა", "ბორჯომი" და "ავსტრიის ავიახაზები".

**ზვიად შათირიშვილი**

### მაკა პარიზში

საქართველოს პირველი ჩოგანი ქალი **მაკა ჩახნაშვილი** (152) საფრანგეთის დედაქალაქშია, სადაც საფრანგეთის ღია პირველობაში ასპარეზობას იწყებს. საკვალიფიკაციო ბრძოლები გუშინ დაიწყო, ჩახნაშვილი პირველ წრეში ისრაელის წარმომადგენელს, 23 წლის **ევგენია სავრანსკის** (203) ხვდება. რეიტინგის მიხედვით, ჩახნაშვილი ფავორიტია. გამარჯვების შემთხვევაში მაკა მეორე წრეში ან მე-2 ნომრად განთესილ უნგრელ **აგნეშ სავაის** შეხვდება, ან - ავსტრალიელ **მონიკ ადამჩაკს.**

### ბელარუსმა აჯობა

ანა ტატიშვილმა ვერ შეძლო სტამბოლის თასის (WTA-ის ტური, 200 ათასი დოლარი) პირველი წრის დაძლევა. ანამ საკვალიფიკაციო ტურნირზე სამი მეტოქის დამარცხების შემდეგ ადგილი ძირითად ბადეში მოიპოვა, სადაც საკვალიფიკაციოდან გამოსულ ბელარუს ეკატერინა ჟეპალევიჩს (214) შეხვდა. ჟეპალევიჩი საკვალიფიკაციო ბადეში მე-3 ნომრად იყო განთესილი. მეორე წრეში მან სამ სეტში ქართველი სოფიო შაფათავა დაამარცხა. ქართული შურისძიება არ შედგა - ძირითადი ბადის პირველ წრეში ანა ტატიშვილი სლავთან 3:6, 5:7 დამარცხდა. ტატიშვილი წყვილთა თანრიგის პირველ წრეში ის და რუსი **ეკატერინა აფინოგენოვა** კოლუმბიელი **კატალინა კასტანოს** და ამერიკელი **ნეა უბეროის** დუეტს შეხვდებიან.

### ოქსანას წინ

ოქსანა კალაშნიკოვამ ახალ მსოფლიო რეიტინგში 12 საფეხურით წაიწია წინ და ახლა ის 18-წლამდელ ჩოგბურთელ გოგონათა შორის მსოფლიოს 25-ე ჩოგანია. რეიტინგის ათასეულში შევიდა 15 წლის **ეკა გორგოძე**, რომელიც 933-ე პოზიციაზეა, გორგოძემ დაახლოებით 400 საფეხურით წაიწია წინ. 851-ე ადგილზეა **ანა ტატიშვილი**, რომელსაც წელიწადია აღარ უთამაშია ახალგაზრდულ ასპარეზზე, შარშან ივნისში ტატიშვილი მე-19 პოზიციაზე იყო. ბიჭებში 55-ე პოზიციაზეა **ლაზარე კუხალაშვილი**. სხვები: **გიორგი ჭანტურია** (326), **რევაზ ოსაძე** (542) და **ნიკოლოზ ბასილაშვილი** (647). კუხალაშვილი და კალაშნიკოვა როლან გაროსის ახალგაზრდული ტურნირის ძირითად ბადეში ითამაშებენ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სუმო

# უარყოფითი ბალანსი

მაისის ბაშოზე პირველად დამარცხდა დიდი ჩემპიონი **ასაშორიუ**, თუმცა ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია, რომ წააგო **კოკაიმაც**. ქართველი სუმოისტისთვის ეს მერვე, საბედისწერო მარცხი იყო - კოკაი ბაშოს ყველა შემთხვევაში უარყოფითი ბალანსით ჩაამთავრებს და ივლისის ბაშოზე მეორე მაეგაშირაზე დაბალი რანგით წარდგება. გუშინ კოკაი მეხუთე მაეგაშირა **ტაკეკაძეს** ხვდებოდა, რომელსაც აქამდე მხოლოდ ერთხელ აჯობა (ოთხი შეხვედრიდან), იაპონელმა საკმაოდ იშვიათი ილეთით (კუბინაგე) გაიმარჯვა. ტაკეკაძემ კოკაის კისერში წაუჭირა ხელები მეტოქეს და გდება ისე შეასრულა. ეს ტაკეკაძის მეხუთე გამარჯვებაა ბაშოზე, კოკაის კი მხოლოდ ორი მოგება დარჩა (2-8).

ბაშოს ერთპიროვნული ლიდერი ჰყავს - 23 წლის მონღოლი ოძეკი **ჰაკუჰო**, რომლისთვისაც ამ ტურნირს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მოგების ან ფინალურ დღემდე მოგების შანსის შენარჩუნების შემთხვევაში, ჰაკუჰო დიდი ჩემპიონი (იოკოძუნა) ხდება. გუშინ ჰაკუჰომ **ტოჩიოძანი** დაამარცხა, ასაშორიუმ კი მოულოდნელად **ამინიშიკისთან** (მეოთხე მაეგაშირა) წააგო. ჰაკუჰოს ასაშორიუს გარდა მდევრად **ფუტენო, ასასეკირიუ** და სეკივაკე **კოტომიცუკი** ჰყავს. დღეს კოკაის მეტოქე კომუსუბი **ტოიონოშიმაა**, რომელიც აუცილებლად დაკარგავს ტიტულს, რადგან კოკაის დარად ბალანსი 2-8 აქვს. კოკაი ტოიონოშიმას ურთიერთშეხვედრებში 2:1-ს უგებს.

მაკუშიტას დივიზიონში (რანგით მესამე) ორივე ჩვენებურმა იჭიდავა. **ლევან გორგაძე** (ტოჩინოშინი) 22 წლის მონღოლ ტამავაშისთან დამარცხდა. **თეიმურაზ ჯუღელმა** (გაგამარუ) კი ტაჩიგამის მოუგო. ტოჩინოშინსა და გაგამარუს ჯერჯერობით, 3-2 ბალანსი აქვთ და დარჩენილი ორ-ორი შეხვედრიდან თითოს მოგება ჰყოფნით დადებითი შედეგისთვის. თუმცა ტოჩინოშინმა დიდებული სტარტის მერე მოუკლო და ახლა 5-2-თან ბალანსიც არ ეყოფა შემდეგ ბაშოზე ძურიოს დივიზიონში გადასასვლელ ზონაში მოსახვედრად.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ნაცუ ბაშო (მაისის სუპერტურნირი)
13-27 მაისი, ტოკიო (იაპონია)

X დღე: კოკაი-ტაკეკაძე 0:1, ამინიშიკი-ასაშორიუ 1:0, ამა-კოტოოშუ 1:0, ჩიოტაიკაი-კაიო 1:0, ჰაკუჰო-ტოჩიოძანი 1:0, კოტომიცუკი-კისენოსატო 1:0, ტოკიტენკუ-კოტოშოგიკუ 1:0, ტოიონოშიმა-კაკიძოე 1:0, ჰომაშო-ტამანოშიმა 1:0, კაკურიუ-ტოჩინონადა 1:0, ვაკანოსატო-რიუო 1:0, ასასეკირიუ-ჰოკუტორიკი 1:0, მიაბიამა-ტოჩინოჰანა 1:0, როჰო-ოცუკასა 1:0, ფუტენო-დეჯიმა 1:0.

სატურნირო მდგომარეობა. 10-0: ჰაკუჰო (ოძეკი); 9-1: ასაშორიუ (იოკოძუნა), კოტომიცუკი (სეკივაკე), ასასეკირიუ (მაეგაშირა 8), ფუტენო (მ 13); 8-2: ჩიოტაიკაი (ოძეკი), კაიო (ოძეკი), დეჯიმა (მ 10); .. 2-8: კოკაი (მ 2).

XI დღე: კოკაი-ტოიონოშიმა, ასაშორიუ-კოტომიცუკი, ჰაკუჰო-კაიო, ჩიოტაიკაი-კისენოსატო, კოტოოშუ-ტაკეკაძე, ამა-ჰომაშო, ამინიშიკი-კოტოშოგიკუ, ტოკიტენკუ-ტამანოშიმა, ტოჩიოძანი-კაკურიუ, ფუტენო-ტაკამისაკარი, ვაკანოსატო-ტამაკასუგა, ასასეკირიუ-დეჯიმა, როჰო-რიუო...

ძალოსნობა

# მაჭავარიანს პლუს თურმანიძე...

**საქართველოს ძალოსანთა ეროვნულმა ნაკრებმა საწვრთნელი შეკრების გასავლელად აჭარა, ჩაქვი არჩია. თუმცა, როგორც ნაკრების მწვრთნელმა ავთანდილ გახოკიძემ გვითხრა, თუ დარბაზი ასეთ სავალალო მდგომარეობაში დახვდებოდა, ნამდვილად არ ეგონა.**

- შეკრების გასავლელად ჩაქვი ვარჩიეთ. ვიცით, რომ ჩაქვის ძალოსნობის სკოლას საკმაოდ მდიდარი ტრადიცია აქვს, ეს კი, პირველ რიგში, მამა-შვილ რეზო და ბესო ბესელიების დამსახურებაა. ბევრს საუბრობდნენ იმაზეც, რომ აჭარაში სპორტისთვის ყველაფერი კეთდება და მომზადებისთვის საუცხოო პირობებიაო, მაგრამ ადგილზე ჩასულებს იმედები გაგვიცრუვდა.

**- რას გულისხმობთ?**

- ნამდვილად არ მეგონა, თუ დარბაზი ასეთ მდგომარეობაში დაგვხვდებოდა. ჩაქველი ბიჭები საქართველოს ჩემპიონატზე საკმაოდ კარგ შედეგებს აჩვენებენ და თუ ამას ასეთ პირობებში ვარჯიშის შემდეგ ახერხებენ, წარმოიდგინეთ, რას იზამენ, თუ საწვრთნელი ბაზა უკეთესი ექნებათ. არც ფიცარნაგი, არც ფანჯრები და სახურავი... გასახდელსა და საშხაპეზე ხომ საუბარიც ზედმეტია. გაზის ბალონებს რომ ტუმბავენ, სწორედ იმ სასწორზე წონიან, რომელზეც ჩვენი ძალოსნები იწონებიან. სასაცილოა; ნამდვილად, სატირალი რომ არ იყოს. ბესელიები ნამდვილი გმირები არიან, ამ პირობებში რომ კარგ სპორტსმენებს ზრდიან.

**- რა შემადგენლობით გვეწვიეთ?**

- თემურ გოგია, თემურ ჩხეიძე, თორნიკე კოკაია და გია მაჭავარიანი. ეს ის ბიჭები არიან, რომლებსაც პეკინის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიის მოპოვება ძალუძთ. გია მაჭავარიანზე გეტყვით - ის უკვე აჭარის სახელით ასპარეზობს. მისგან არა მარტო ლიცენზიას, არამედ ოლიმპიურ მედალსაც ველით.

**- როგორც ვიცი, თქვენი ინტერესის სფეროში ირაკლი თურმანიძე მოექცა...**

- ირაკლი საკმაოდ კარგი სპორტსმენია. ბუნებრივად ძლიერი, გამართული ძალოსანია და რაც მთავარია, თავადაა მოწადინებული. გაკვირვებულიც კი ვარ, ამ პირობებში ვარჯიშის შემდეგ, როგორ ახერხებს ასეთი შედეგის ჩვენებას. მან 155 კილოგრამი აიტაცა და 185 კილოგრამი აჰკრა. დარწმუნებული ვარ, თუ ჩვენთან ერთად მოემზადება, 200 კილოგრამის აკვრასაც მოახერხებს, ეს კი სალიცენზიო შედეგია.

**- ნაკრებში მიგყავთ?**

- თუ სამი თვით ჩვენთან ერთად წამოვა და თავდაუზოგავად ივარჯიშებს, მას ოლიმპიურ ნაკრებში შევიყვან. მთავარია, შედეგი მაჩვენოს. ვხედავ, რომ საამისო მონაცემები აქვს. უბრალოდ, ჩვენ არა გვაქვს იმის საშუალება, რომ წავიყვანოთ. მისი დაფინანსება ადგილობრივი ბიუჯეტიდან უნდა მოხდეს. იმ შემთხვევაში კი, თუ შედეგს მაჩვენებს, მის პატრონაჟს უკვე საქართველოს ძალოსნობის ფედერაცია, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი და ოლიმპიური კომიტეტი ითავებს.

**- მიგაჩნიათ თუ არა, რომ ირაკლის ოლიმპიური ლიცენზიის მოპოვება შეუძლია?**

- ჩემთან რომ მოემზადება, უკეთ დავაკვირდები და მაშინ გეტყვით დარწმუნებით. ის კი შემიძლია გითხრათ, რომ თუ თავს მომაწონებს, ოლიმპიურ ნაკრებში შევიყვანთ და სათადარიგო სპორტსმენად გვეყოლება. ღმერთმა ყველა სპორტსმენი დაიფაროს ტრავმისგან, მაგრამ ასეთ შემთხვევაში, ფიცარნაგზე სწორედ მას ვუხმობთ. მაგრამ ამისთვის თავდაუზოგავი შრომაა საჭირო. ეს თავად ირაკლიმაც იცის და მისმა პირადმა მწვრთნელმა ბესო ბასილიამაც. მის გარდა, კიდევ არიან კარგი და პერსპექტიული ბიჭები, მაგრამ მათ მხარდაჭერა სჭირდებათ. თუ ასე გაგრძელდა, ეს თაობა დაიკარგება, ასეთი დონის სპორტსმენთა აღზრდას კი მინიმუმ 7-8 წელი დასჭირდება.

**- ჩაქვში შეკრების დასრულების შემდეგ რას აპირებთ?**

- 2 ივნისს ჩაქვიდან გავემგზავრებით, 6 ივნისიდან კი ცხვარიჭამიაში გავივლით საწვრთნელ შეკრებას, იქიდან ფასანაურში გადავალთ, შემდეგ კვლავ ცხვარიჭამიას დავუბრუნდებით და მსოფლიო ჩემპიონატის დროც მოვა. 14 სექტემბერს ტაივანში მსოფლიო ჩემპიონატი გვეწყება. ჩვენი ბიჭები 19-23 სექტემბერს გამოვლენ ფიცარნაგზე. ოლიმპიური ლიცენზიის მოპოვება გუნდური სისტემით ხდება. შეიძლება ითქვას, ოთხი ლიცენზიის აღება ნამდვილად შეგვიძლია, აი, მეხუთესაც თუ მოვიპოვებთ, მაშინ ვიტყვით, რომ პროგრამა მაქსიმუმი შევასრულეთ.



აქ ვარჯიშობენ...

**ბესო ბესელია,** *აჭარის ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ირაკლი თურმანიძის პირადი მწვრთნელი:*

- პირველ რიგში აღვნიშნავ, რომ ბათუმელი ძალოსანი გია მაჭავარიანი უკვე არის საქართველოს ოლიმპიური ნაკრების წევრი და როგორც ბატონმა ავთომ აღნიშნა, მასზე დიდ იმედებს ვამყარებთ. შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონატზე მან მეშვიდე ადგილი დაიკავა.

**- რაც შეეხება ირაკლი თურმანიძეს...**

- ირაკლი საკმაოდ ძლიერი სპორტსმენია, მაგრამ ნორმალური კვება და ვიტამინები არა აქვს. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა დაგვპირდა, რომ ცხვარიჭამიის შეკრებაზე ირაკლის დააფინანსებს. ამ დღეებში ვაპირებთ მათთან შეხვედრას. ძალიან გულისხმიერად მოეკიდნენ ჩვენს საქმეს და იმედია, დანარჩენი ორი შეკრების თანხებსაც გამოგვიძებნიან. თუ მოვახერხებთ და ირაკლის ეროვნულ ნაკრებთან ერთად სამი შეკრების გავლის საშუალებას მივცემთ, მაშინ შედეგიც არ დააყოვნებს. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ქუთაისიდან და თბილისიდან ფიცარნაგისთვის განკუთვნილი რეზინის საფარი გამოგვიგზავნეს, ფიცრებს ადგილზე ვშოულობთ და ასე ვწვალობთ. დამეთანხმეთ, ძნელია ასეთ მტვერსა და ბულში დიდი სპორტსმენების გაზრდა. იმედია, ამასაც გაითვალისწინებენ და პირობებსაც გაგვიუმჯობესებენ. შედეგები კი ჩვენზე იყოს.

**ირაკლი დარცმელიძე**
ბათუმიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჭადრაკი

### მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი

# ახალი ჩინური კედელი!

თანამედროვე ქალთა ჭადრაკში ლიდერობას უკვე ათეული წელია ჩინელები ფლობენ და ისე ჩანს, მეტზეც არ იტყვიან უარს. ეკატერინბურგში მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის მეორე ტურში ერთ-ერთი ფავორიტის, რუსების განადგურების შემდეგ - 4:0, ჩინელებმა პოლონელებსაც იგივე დღე აყარეს. აქაც 4:0 და შიში იმისა, რომ ჭადრაკში დიდი და მტკიცე ჩინური კედელი იგება, რომლის შერყევა და დანგრევა ძალიან გაუჭირდება დანარჩენ მსოფლიოს, სავსებით რეალურია.

სამწუხაროა, მაგრამ ქართველთა ჩამორჩენა უნდა ვაღიაროთ. ნებისმიერ ტურნირზე ჩვენი სპეციალისტების პროგნოზი და იმედები სამეულს უკავშირდება და არა ჩვეულად, როგორც ადრე - ჩემპიონობას. **ნინო გურიელიც**, რომელიც გუნდის კაპიტანია, გამგზავრებამდე ჩვენთან ინტერვიუში ამბობდა, - თუკი სამეულში შევალთ, ძალიან კარგი შედეგი იქნებაო.

გუშინ ქართველებმა გერმანიის საშუალო შეძლების გუნდს ვერ მოუგეს, ყაიმით - 2:2 ითამაშეს. თეთრებით წააგო **მაია ჩიბურდანიძემ** - მისი მეტოქე **ელიზაბეტ პეჰცი** იყო; მეორე დაფაზე **ლელა ჯავახიშვილმა** შავებით 15 სვლაში გააყაიმა პოზიცია და გერმანიაში გათხოვილ ქართველ დიდოსტატ **ქეთევან კახიანი-გერსინსკას** ხელი ჩამოართვა. მოიგო **ნინო ხურციძემ** - მან **მელანი ომე** დაამარცხა. სამწუხაროდ, ორი ზედმეტი პაიკის მიუხედავად მოგება ვერ შეძლო **სოფიკო ხუხაშვილმა**, რომელიც მეოთხე დაფაზე **მარია-რანდი შონეს** ხვდებოდა. გერმანელმა ქართველი მეფის სიშიშვლე გამოიყენა და მუდმივი ქიშით სასურველ პოზიციაზე გაიყვანა. ხუხაშვილი პოზიციის სამჯერ გამეორებას დაყაბულდა და ყაიმიც გაფორმდა.

ქართულ-გერმანული ზავი ჩემპიონატში პირველია. ალბათ მომავალში კიდევ დაფიქსირდება, მაგრამ ჩვენ რომ ძვირფასი ქულა დავკარგეთ, ფაქტია. ახლა უმთავრესი ჩინური ურჩხულის მოგერიებაა და თუკი დღეს მათთან ყაიმით ვითამაშებთ, ამას ქულის მოპოვება დაერქმევა და არა დაკარგვა. რა შემადგენლობით დავუპირისპირდებით მეტოქეს, უცნობია - ამას შეხვედრამდე რამდენიმე საათით ადრე გადაწყვეტს გუნდის კაპიტანი.

**ზვიად შათირიშვილი**




მესამე ტური: საქართველო-გერმანია 2:2. ჩინეთი-პოლონეთი 4:0, რუსეთი-ვიეტნამი - 3,5:0,5; უკრაინა-ბოტსვანა - 4:0; სომხეთი-ჩეხეთი - 4:0.

სატურნირო მდგომარეობა: 1. ჩინეთი - 6 ქულა (11,5); 2. უკრაინა - 6 (10); 3. საქართველო - 5 (8,5); 4. პოლონეთი - 4 (7); 5. რუსეთი - 4 (6,5); 6. სომხეთი - 2 (6,5); 7. ვიეტნამი - 2 (3,5); 8. გერმანია - 1 (4); 9. ჩეხეთი - 0 (2,5); 10. ბოტსვანა - 0 (0).

მეოთხე ტურში: ვიეტნამი-ჩეხეთი, ბოტსვანა-სომხეთი, გერმანია-უკრაინა, ჩინეთი-საქართველო, რუსეთი-პოლონეთი.

## ძირითადში დაბრუნდა და მოიგო

**კალათბურთი.** ესტონეთის ჩემპიონატის ფინალური სერიის მესამე მატჩში "როკმა" "კალევი" სტუმრად დაამარცხა - 75:74. გიორგი ცინცაძემ ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში "ტარტუ როკის" საჩემპიონო შანსებზე საუბრისას აღნიშნა - თუ მწვრთნელმა ალოგიკური მოქმედება არ განაგრძო, ოქრო ჩვენ დაგვრჩებაო. ამის თქმა და გიორგის სასტარტო შემდაგენლობაში დაბრუნება ერთი იყო. მან მატჩში 26 წუთი ითამაშა. 9 ქულა, 3 მოხსნა, 3 პასი და 2 ჩაჭრა მიითვალა. რაც მთავარია, ცინცაძემ ბოლო წუთებზე შეუცვლელად ითამაშა და თანაგუნდელებს სტუმრად გამარჯვებაში დაეხმარა. საინტერესოა, რომ ტალინში სწორედ ის ანგარიში დაფიქსირდა, რაც ტარტუში სამი დღის წინ - 75:74. სერიაში "როკერები" დაწინაურდნენ - 2:1. ოქროს მედლამდე კი ის მიაღწევს, ვინც 4 შეხვედრას მოიგებს.

## ფრენბურთი

**მესამე მატჩი**

**ჯიკო-სპორტსკოლა (თბ) 3:2**

25:23, 25:27, 25:9, 23:25, 15:7

ჯიკო: დავითულიანი, ღვინჯილია, აირაპეტიანი, შენგელია, არველაძე, მიქაძე, კახაძე, გაზაშვილი, იოსებაშვილი, გეგუჩაძე.

სპორტსკოლა: ლომიძე, კორომინაძე, მძელური, პაპიძე, ყიფშიძე, ბანძელაძე, ალიბეგაშვილი, დანელია.

### საქართველოს ჩემპიონატი. ფინალი

# მაინც ჯიკომ გატეხა

**ჯიკომ მოიგო სერია 2:1**

დიდი ჯიხაიშის კოლეჯის დარბაზში მაყურებელმა სამმატჩიანი სერიისაგან შემდგარი დრამატული ორთაბრძოლის ბოლო მატჩი იხილა. თბილისში მარცხის შემდეგ "ჯიკომ" გუშინწინ შეძლო რევანშის აღება და სერიაში ანგარიში გააყაიმა, გუშინ შუადღით კი საოქროსმედლო დაპირისპირება შედგა.

პირველ სეტში თავიდან მოქმედი ჩემპიონი დაწინაურდა, მაგრამ თბილისის გუნდმა შეძლო მეტოქის დაწევა და შემდეგ წინ გასვლაც. ფინიშამდე თამაში ქულა ქულაში მიდიოდა - 15:15, 18:18, 22:22, და საბოლოოდ 25:23 ჯიკოს სასარგებლოდ. არანაკლებ დრამატული გამოდგა მეორე პარტია, სადაც ანგარიში 7-ჯერ გათანაბრდა. თბილისელებმა ბოლოს იძალეს - 27:25. მესამე სეტში "ჯიკოს" უპირატესობა აშკარა იყო - 25:9.


საქართველოს ჩემპიონი ჯიკო

სპორტსკოლამ იგრძნო დამარცხების საშიშროება, მედგრად ათამაშდა და უამრავმა გულშემატკივარმა საოცრად დაძაბული მეოთხე პარტია იხილა: 18:18, 20:20, 21:21, 22:22, 23:23 და საბოლოოდ ჯიკო გატყდა - 23:25 და 2-2.

დადგა გადამწყვეტი, მოკლე სეტის დროც. რომელშიც ჯიკომ დიდი აღმაფრენით ითამაშა და 15:7 სძლია მეტოქეს და მეექვსედ გახდა საქართველოს ჩემპიონი.

ფრენბურთის ფედერაციის თავკაცებმა ორივე გუნდი შესაბამისი მედლებით დააჯილდოვეს. გამორჩეულებს პირადი ტიტულები ერგოთ - თბილისელ **თეა მძელურს** საუკეთესო თავდამსხმელისა, საუკეთესო მოთამაშედ **ნელი აირაპეტიანი** დასახელდა, მაყურებელთა სიმპათიის პრიზი კი სამართლიანად **ნათია არველაძეს** მიენიჭა.

**მერაბ ბრძელიძე**
ჯიხაიშიდან

## სპორტული მცხეთა

1990 წლიდან მოყოლებული საქართველოში არაერთი სპორტული გამოცემა იხილა მკითხველმა. ყველა მათგანისთვის "ლელოს" იმთავითვე ერთი კედელი აქვს დათმობილი. გუშინ, ამ სტენდზე ახალი, უკვე რიგით 56-ე სპორტული გაზეთის ლოგო გამოიკრა. ესაა "სპორტული მცხეთა", რომლის პირველი ნომერი გუშინ გამოვიდა. დამფუძნებელია საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია და, ბუნებრივია, წამყვანი თემა სწორედ კარატეა. გაზეთი გამოვა თვეში ერთხელ და დარიგდება საჩუქრად. სწორედ ეს იძლევა იმედს, რომ "სპორტულმა მცხეთამ" იქნებ იმ სხვა ათობით სპორტული გამოცემის ბედი არ გაიზიაროს, რომელთა ხსოვნა "ლელოს" ზემოხსენებულ სტენდს შემორჩა მხოლოდ.

## თარიღი

**ნინო დუმბაძე.** 23.05.1919, ოდესა - 14.04.1983, თბილისი. მძლეოსნობა, ბადროს ტყორცნა. ჰელსინკის ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი (1952), ევროპის ორგზის ჩემპიონი (1946, 50), სსრკ რვაგზის ჩემპიონი (1939, 43, 44, 46-50), ოთხგზის მეორე (1951, 52, 54, 55) და მესამე პრიზიორი (1953), მსოფლიოს სტუდენტური თამაშების ჩემპიონი (1949). მსოფლიოს სამგზის რეკორდსმენი (1948 - 53,25 მ; 1951 - 53,37 მ; 1952 - 57,04 მ). მისი პირადი საუკეთესო შედეგი - 57,04 მ - 1960 წლამდე მსოფლიოს რეკორდი იყო (1939, 44 და 46 წლებში ოთხჯერ აჩვენა მსოფლიოს რეკორდზე უკეთესი შედეგი, მაგრამ იმ წლებში სსრკ მძლეოსნობის ფედერაცია არ იყო საერთაშორისო ფედერაციის წევრი და ამის გამო ეს შედეგები ოფიციალურ რეკორდთა სიაში არ შეუტანიათ). საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენი (ბრინჯაოს პრიზი). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენის კავალერი.

**ვალერი ალთაბაევი.** დაიბადა 23.05.1940, ბაქო. კალათბურთი (196 სმ). თამაშობდა თბილისის "დინამოში" (1957-72). ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასს მფლობელი (1962), სსრკ ჩემპიონი (1968), სამგზის მეორე (1959, 61, 69) და მესამე (1965) პრიზიორი, სსრკ თასის მფლობელი (1969). 1996-2000 წლებში ბათუმში ჩამოაყალიბა ბავშვთა გუნდი, რომელმაც შემდგომში "ბასკოს" ბირთვი შეადგინა. ღირსების ორდენის კავალერი.

**ლევან მოსეშვილი.** დაიბადა 23.05.1940, თბილისი. კალათბურთი (196 სმ). თამაშობდა თბილისის "დინამოში" (1959-72). სსრკ ნაკრების წევრი (1963-64). 1964 წლის ტოკიოს ოლიმპიური თამაშების მეორე პრიზიორი, ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი (1962), სსრკ ჩემპიონი (1968), სამგზის მეორე (1959, 61, 69) და მესამე (1965) პრიზიორ, სსრკ თასის მფლობელი (1969). იყო თბილისის "დინამოს" მთავარი მწვრთნელი (1972-2003). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

**არჩილ ჩოხელი.** დაიბადა 23.05.1971, გალავანი, მცხეთა. სამბო (68 კგ). მსოფლიოს ჩემპიონი (1993), ორგზის მეორე (1994, 97) და ექვსგზის მესამე (1992, 96, 98, 99, 2000, 02) პრიზიორი, მსოფლიოს თასის მფლობელი (1997) და მეორე პრიზიორი (1996), ევროპის ჩემპიონი (1998), მეორე (2001) და ექვსგზის მესამე (1993, 94, 97, 99, 2000, 02) პრიზიორი. ღირსების ორდენის კავალერი.

## კრივი

### ინტერვიუ ავთანდილ შოშიაშვილთან

# ჟვანია ლენინის წინააღმდეგ

**ჩეხეთის დედაქალაქში დასრულდა მოკრივეთა საერთაშორისო ტურნირი, პრაღის გრანპრი. საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ბაქოსა და კიევის მსგავსად, არც პრაღაში შეირცხვინა თავი. მართალია, ამჯერად, მხოლოდ სამ მედალს გამოვრჩით, მაგრამ ჩეხური ტურნირი აზერბაიჯანულსა და უკრაინულზე გაცილებით ძლიერი იყო. გვესაუბრება საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ავთანდილ შოშიაშვილი.**

- ბაქოში 8 მედალი გვქონდა, კიევის ტურნირიდან კი ათი პრიზიორით დავბრუნდით, მაგრამ პრაღაში გაცილებით ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. შესაბამისად, ორი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი წარმატებად მიმაჩნია.

48, 51 და 91 კილოგრამ წონით კატეგორიებში მონაწილეები არ გვყოლია. 54 კილოგრამში, **ნიკოლოზ იზორიამ** თავდაპირველად შვეიცარიელი მეტოქე ჩამოიცილა გზიდან, მაგრამ მეოთხედფინალში მონღოლ უნაჰბადისთან ვერაფერი გააწყო და ტურნირს გამოეთიშა. იმავე ეტაპზე, მონღოლმა გადაუკეტა გზა **კობა ფხაკაძესაც** (57 კგ). პირველ შეხვედრაში, კობამ მასპინძელი ივან დუნკა 23:0 გაანადგურა, მაგრამ მეოთხედფინალში დამარცხდა - 11:29. ისე, აქამდე მონღოლებს თითო-ოროლა ძლიერი სპორტსმენი ყოველთვის ჰყავდა, მაგრამ ჩეხეთში გამაოცეს. იქ მათ ოთხი ისეთი მოკრივე ჩამოიყვანეს, ნებისმიერი რანგის შეჯიბრებაზე ჩემპიონობისთვის რეალურად ბრძოლა რომ შეუძლიათ.

60 კილოგრამ წონით კატეგორიაში, პირველსავე რაუნდში ვერ ავცდით კიდევ ერთ მონღოლს. **ვასილ ყაზიშვილი** ურან ჩიბეგმა დაგვიმარცხა. ასევე პირველ ბრძოლაში წააგო **ლევან ღვამიჩავამ** (64 კგ), რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორს, აზერბაიჯანელ ამანოვს ვერ დააკლო ვერაფერი და 24:32 დამარცხდა.

69 კილოგრამში, ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა **კახა ჟვანიამ** თავიდან ინგლისელ ოგოგოს დააყრევინა ფარხმალი, მეოთხედფინალში კი ურთულესი ბრძოლა ჩაატარა ჩინელ ჰანატისთან. მიუხედავად იმისა, რომ კახა მეტოქეს ჯობნიდა და ნოკდაუნშიც ჩააგდო, აზიელს საოცარი გამძლეობა აღმოაჩნდა და არაფრით ნებდებოდა. საბოლოოდ, ჟვანიამ 25:18 იმარჯვა და ნახევარფინალში გავიდა. შემდეგ იყო მასპინძელ შტეფან ხორვატთან ჩატარებული მორიგი მძიმე ორთაბრძოლა. მსაჯების აშკარა მიკერძოების მიუხედავად, კახამ 11:10 მოიგო და ფინალში გავიდა, სადაც პროლეტარიატის ბელად ლენინის სეხნია და მოგვარე – ყაზახი **ვლადიმერ ულიანოვი** ელოდა. ისე, ჩეხეთის ტურნირზე რამდენიმე მოკრივე ცნობილი ადამიანის გვარ-სახელს ატარებდა. მაგალითად, იყვნენ **ბრედ პიტი და ვაშინგტონი**.

რაკილა კახამ ფინალამდე საკმაოდ რთული შეხვედრები ჩაატარა და მხარიც აწუხებდა, გადავწყვიტეთ, ოქროს მედლისთვის აღარ გვეჩხუბებინა და ვერცხლს დავჯერებოდით. წინ პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო მსოფლიო ჩემპიონატი გვაქვს, კახაზე დიდ იმედებს ვამყარებთ და გარისკვა არ ღირდა. თუმცა იგი ისეთ ფორმაში იყო, რომ დარწმუნებული ვარ, ულიანოვსაც მოუგებდა.

75 კილოგრამში, **გიორგი ნაკანმა** თანაგუნდელების მაგივრად იყარა ჯავრი მონღოლებზე. მან დაჰ ნარბანს დიდი უპირატესობით მოუგო. მეოთხედფინალში, გიორგიმ დაამარცხა აზერბაიჯანელი ევროპის ჩემპიონატის ფინალისტი ბიელაროვი - 20:13. სამწუხაროდ, ნახევარფინალში ბრძოლის დროს, ცხვირი გაუტყდა, რის გამოც არც აქ გავრისკეთ. ნაკანი შეხვედრიდან მოვხსენით და ბრინჯაოს დავჯერდით.

მშვენივრად დაიწყო **დავით წიკლაურმა** (81 კგ), რომელმაც სასტარტო ორთაბრძოლაში პოლონელი ვლადჩევსკი დაითხოვა, მეოთხედფინალში კი, ბრაზილიელ ვაშინგტონთან შეხვედრისას, დიდი გაუგებრობის მსხვერპლი აღმოვჩნდით. საქმე ის არის, რომ ტაბლოზე ქულებს არ გვიჩვენებდნენ და მთელი სამი რაუნდი გვატყუებდნენ – წიკლაური იგებსო. შესაბამისად, შევცვალეთ ტაქტიკა და წიკლაურს უკანმოუხედავად შეტევა ავუკრძალეთ. დათო მშვენივრად იცავდა თავს და გვეგონა, რომ მოგებული გვქონდა ბრძოლა, მაგრამ ბოლოს ვაშინგტონს აუწიეს ხელი...

რაც შეეხება მძიმე წონას, აქ **ბექა ლოჟანიძემ** ჯერ ჩეხი შტეფან სლიცი დაანოკაუტა ორ რაუნდში, მერე ირლანდიელი მონაგლე და ავსტრალიელი ბიაჰამი ჩამოიშორა, რითაც ფინალში გავიდა. სამწუხაროდ, გადამწყვეტ შეხვედრაში კვლავ მსაჯების არაობიექტურობის მსხვერპლი გავხდით. პირველ და მეორე რაუნდებში, გერმანელ შტეფან კობერს ისე უსინდისოდ უწერდნენ ქულებს პანტა-პუნტით, რომ გულშემატკივრებიც კი მიხვდნენ, რომ გვჩაგრავდნენ და მსაჯებს დაუყიჟინეს. რაუნდებს შორის შესვენებისას, საქმეში ჩავრიეთ ჩეხეთის კრივის ფედერაციის პრეზიდენტი რადიმ მასლი, რომელთანაც მეგობრული ურთიერთობა გვაქვს. ალბათ გახსოვთ შარშანდელი ევროპის ჩემპიონატი, როდესაც კახა ჟვანიას დაჩაგვრისთვის მასლიმ საკუთარი ჯიბიდან გაიღო 200 ევრო ოფიციალური პროტესტის შესატანად. იგი ახლაც კაცურად მოიქცა, მსაჯები დატუქსა და მდგომარეობა გამოსწორდა. დარჩენილ დროში, ლობჟანიძემ ბევრი კი ურტყა მეტოქეს, ქულებსაც სწორად უწერდნენ, მაგრამ ჩამორჩენა ვერ აღმოფხვრა და 14:16 წააგო.


კახა ჟვანია

ახლა ცოტას დავისვენებთ და შემდეგი შეჯიბრებებისთვის მოვემზადებით. კვლავ არაა საბოლოოდ გადაწყვეტილი, სად და როდის ჩატარდება მსოფლიო ჩემპიონატი. ამის გამო, მოსამზადებელი ეტაპის დაგეგმვა გვიჭირს. ისე, გვინდა, რომ შეკრებები თბილისს გარეთაც გავიაროთ, რადგან აქ სიცხეები დაიწყო და ბიჭები ცოდოები არიან. ერთ-ერთი ვარიანტია ბათუმი. ამას გარდა, მსოფლიო ჩემპიონატამდე ბელორუსიისა და ავსტრიის საერთაშორისო ტურნირებზეც გვინდა გამოსვლა.

**კობა ხატისაშვილი**



ლებრონმა გადამწყვეტი ეპიზოდი სულელურად დაასრულა

NBA. ფლეი ოფი. 1/2 ფინალი

# მის უჰაერესობამდე ჯერ შორია

**აღმოსავლეთის კონფერენცია**

**დეტროიტი (1)-კლივლენდი (2) 79:76**

19:24, 16:17, 21:14, 23:21

**დეტროიტი:** რ. ჰამილტონი (24 ქ. 7 პ. 3 მ. 2 ჩ), რ. უოლასი (15 ქ. 12 მ. 7 დ), ბილაპსი (13 ქ. 5 მ. 5 პ), უებერი (10 ქ. 4 მ), პრინსი (8 ქ. 9 პ. 6 მ).

**კლივლენდი:** ილგაუსკასი (22 ქ. 13 მ), ჰიუზი (13 ქ. 7 მ. 2 პ. 2 ჩ), ვარეჟაო (13 ქ. 8 მ. 2 ჩ), ლ. ჯეიმსი (10 ქ. 10 მ. 9 პ. 4 ჩ. 1 დ), პავლოვიჩი (9 ქ).

**სერია: 1:0.**

ბევრი, უსაშველოდ ბევრი უკლია დიდ მოთამაშემდე **ლებრონ ჯეიმსს.** "კავალიერსის" სუპერვარსკვლავის უდიდეს ნიჭსა და იმასაც, რომ ლებრონი თავისი ასაკიდან და პოტენციალიდან გამომდინარე, "მისი უჰაერესობის" ყველაზე რეალური მემკვიდრეა, არავინ უარყოფს, მაგრამ ლიდერი პირველ რიგში... ლიდერი უნდა იყოს.

"დეტროიტთან" ჩაგდებულ შეხვედრაში ჯეიმსს გმირობამდე ძალიან ცოტა დააკლდა. სტუმართა ლიდერი ძირითადის დასრულებამდე ათი წამით ადრე ბურთს ფლობდა და იმ დროისთვის "დეტროიტი" 78:76 იყო წინ. ჯეიმსი სამწამიანში შევარდა, აიწია და იმის ნაცვლად, რომ უიოლესი მდგომარეობიდან ანგარიში გაეთანაბრებინა, პერიმეტრზე **დონიელ მარშალს** უპასა, რომელმაც სამიანიააცილა. ბურთი **ჩონსი ბილაპსმა** მოხსნა, მასზე ეგრევე დაჯარიმდნენ და "დეტროიტის" ლიდერმაც ზუსტი საჯარიმოთი საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

ჯეიმსმა ნამატჩევს თავი იმართლა, ორქულიანს სამი ქულა სჯობდა და მოსაგებად გავრისკეო. იქვე დაამატა, დონიელს წინა შეხვედრაში 6 ზუსტი სამიანი შეესრულებინა და გუნდი მას ენდობოდაო.

ლებრონმა კარიერაში ყველაზე ცოტა საფლეიოფო ქულა მოიმკო. პირველ მეოთხედში **ტაიშონ პრინსმა** იგი უქულოდ დატოვა, საბოლოოდ კი ჯეიმსს სამმაგ დუბლამდე ერთადერთი შედეგიანი გადაცემა დააკლდა. მჭიდრო და ხშირად ხისტი მეურვეობის მიუხედავად, ჯეიმსს ერთი საჯარიმოც არ შეუსრულებია. ამავე დროს, ლებრონმა პროფესიონალიზმი ბოლომდე შეინარჩუნა და **ამარე სტაუდმაიერისა** და **შონ მერიონისგან** განსხვავებით, მოწინააღმდეგე ბინძურ თამაშში არ დაუდანაშაულებია.

22 წლის ჯეიმსს პრინსი, **რიჩარდ ჰამილტონი** და **რაშიდ უოლასი** მონაცვლეობით იჭერდნენ. შიდიმ შვიდი დაფარებით კარიერის პირადი საფლეიოფო რეკორდი დაამყარა, **ჩონსი ბილაპსმა** კი პირველი სამი მეოთხედის ჩაგდების მერე, უკანასკნელ 12-წუთეულში გაიბობოქრა და ათი ქულაც მოიმკო. სწორედ ბილაპსის ზუსტმა სამიანმა გაიყვანა "დეტროიტი" წინ ძირითადის დასრულებამდე 1 წუთითა და 52 წამით ადრე 78:76.

*"შანსი რომ მომეცეს, იგივე კომბინაციას კიდევ ასჯერ გავიმეორებ და ასჯერვე პასს მარშალს გავუკეთებ. "დეტროიტს" ბევრ რამეში ვაჯობეთ, მაგრამ ბოლოში მეტოქეს უბრალოდ გაუმართლა. იმედი მაქვს, მეორე შეხვედრაში ყველაფერი სხვაგვარად იქნება"*, - განაცხადა ნამატჩევს გამართულ პრესკონფერენციაზე ლებრონმა, რომელმაც 15 ტყორცნიდან 10 გააფუჭა.

*"ჯეიმსი ცხოველია, რომლის წინააღმდეგ მშვიდად ერთ წამს ვერ გაძლებ. მის გვერდით ყოველთვის რამდენიმე მეურვე უნდა იყოს, რადგან ერთი ერთზე ლებრონი ნებისმიერს "გადაავლებს". ჯეიმსს კარიერის საუკეთესო წლები კიდევ წინ აქვს, თუმცა, ვწუხვარ და ამ ფლეი ოფში იგი შორს ველარ გავა"*, - ჩვეული "თავმდაბლობა" გამოიჩინა რაშიდ უოლასმა.

**ზურაბ თალაკვაძე**

დავა MVP-ის გარშემო

# დირკი, ტიმი თუ ბრაიანტი?



დირკ ნოვიცკის გაპირველება ბევრმა შეცდომად მიიჩნია

დიდი ხანი არ გასულა მას მერე, რაც "დალას მავერიქსის" გერმანელი ფორვარდი **დირკ ნოვიცკი** რეგულარულის უძვირფასეს მოთამაშედ დაასახელეს. დირკმა მთლად ფენომენალური თუ ვერა, ყოველ შემთხვევაში, კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო სეზონი ჩაატარა და ისევ და ისევ, რეგულარულის მიხედვით საუკეთესო გუნდში საუკეთესო მოთამაშე იყო. სხვა საქმეა, რამდენად დაჩრდილა ნოვიცკიმ ამ ჯილდოს მოპოვების სხვა კანდიდატები, რომელთა შორისაც ყველაზე ხშირად და დამსახურებულადაც "სან ანტონიო სპურსის" კაპიტან **ტიმ დანკანსა** და "ფინიქს სანზის" გამთამაშებელ **სტივ ნეშს** ასახელებდნენ.

ჩვენი აზრი ამასთან დაკავშირებით უკვე მოგახსენეთ და ახლაც იგივეს ვიტყვით - საუკეთესო მოთამაშის პრიზი ნეშს უნდა მიეღო, ხოლო მეორე ადგილზე დანკანი უნდა გასულიყო. ნოვიცკისთვის კარგი, დამსახურებული და კაცური მესამე ადგილი ზედგამოჭრილი იქნებოდა, მაგრამ დევიდ სტერნი თავისი ზელიგის გლობალიზაციის დიდი მოტრფიალეა და ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორიც ალბათ ეს იყო.

ამავე გამოკითხვასთან დაკავშირებით, სხვადასხვა აზრი დააფიქსირეს ყველა დროის უდიადესებმა, რომელთა შორის იყვნენ **მაიკლ ჯორდანი, ლარი ბერდი, დევიდ რობინსონი, კარლ მელოუნი** და **ჯულიუს ირვინგი**.



ტიმ დანკანი დღესაც ერთ-ერთი მეგავარსკვლავთაგანია

## 1. კარლ მელოუნი

**სამეული:** ნეში, დანკანი, ბრაიანტი.

**ნოვიცკი (?):** *"დირკის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ "დალასში" მის გვერდით ძალიან ბევრი ძლიერი და გამოცდილი მოთამაშეა და აქედან გამომდინარე, ნოვიცკის წინა პლანზე წამოწევა უფრო უადვილდებოდა, ვიდრე იგივე ნეშსა და ბრაიანტს.*

*ნეშმა ახალი სიცოცხლე, ენერგია შთაბერა ამარე სტაუდმაიერს, რომელიც შარშანდელი სეზონის გაცდენის შემდეგ უდიდესი ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ იმყოფებოდა. სტივი გენიოსია და მას ჯონ სტოქტონზე წინაც კი დავაყენებ. რაც შეეხება ბრაიანტს, გადახედეთ "ლეიკერსის" შემადგენლობას და თუ თქვენ არ იტყვით, რომ ეს გუნდი ფლეი ოფში ერთადერთმა მოთამაშემ გაათრია, მაშინ კალათბურთისგან ძალიან შორს ხართ.*

*ტიმ დანკანი კი უბრალოდ ნოვიცკიზე ბევრად უკეთესი მოთამაშეა. როდესაც მეკითხებიან, ვისთვის გემეტება ყველა დროის საუკეთესო მძიმე ფორვარდის ტიტული, დღეს უკვე დანკანს ვასახელებ. 1999 წლამდე პირველ ადგილზე ულაპარაკოდ საკუთარ თავს გავიყვანდი."*

## 2. დევიდ რობინსონი

**სამეული:** დანკანი, ნოვიცკი, ნეში.

**ნოვიცკი (?):** *"ტიმსა და დირკს შორის მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ ჩემმა ყოფილმა თანაგუნდელმა იცის თუ რას ნიშნავს დიდი გამარჯვებების გადამწყვეტ დროს მოპოვება. დანკანის გარეშე "სან ანტონიო" ვერც ერთხელ გახდებოდა ჩემპიონი და ტიმის დღემდე მადლობელი ვარ.*

*დირკს მეტი თავდაჯერება სჭირდება. სიმართლე გითხრათ, "დალასისა" და "გოლდენ სტეიტის" სერიის ერთადერთი მატჩი ვნახე, მაგრამ ნოვიცკის ლიდერობა ვერ შევნიშნე. კი, მას ნებისმიერი ადგილიდან შეუძლია ზუსტი ტყორცნის განხორციელება, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში დირკი სხვის ზურგს უკან იმალება.*

*ნეში ჩემი უსაყვარლესი მოთამაშეა. ადამიანი, რომელიც ანტისაკალათბურთო მონაცემებით წლების განმავლობაში საუკეთესოთა შორის ადგილის შენარჩუნებას ახერხებს, მხოლოდ და მხოლოდ ქების ღირსია. ტიმი პირველ ადგილზე ერთადერთი მიზეზის გამო დავაყენე - იგი ჩემი ძმაკაცი და ყოფილი თანაგუნდელია. წინააღმდეგ შემთხვევაში, სამეული ასეთი იქნებოდა - ნეში, დანკანი, ნოვიცკი."*

## 3. მაიკლ ჯორდანი

**სამეული:** ნოვიცკი, ნეში, უეიდი.

**ნოვიცკი (?):** *"დალასი" ნოვიცკის გარეშე თითქმის არაფერს წარმოადგენს. "ვაშინგტონში" ჩემი ყოფნის დროს მარკ კიუბანს დირკის გაცვლა რამდენჯერმე შევთავაზე, მაგრამ ყოველ ჯერზე უარს ვიღებდი. ნოვიცკის ნებისმიერი მატჩის მსვლელობის შეცვლა შეუძლია. არ მიაქციოთ ყურადღება იმას, რომ მისი გუნდი ფავორიტის რანგში პირველივე წრეში გამოეთიშა ფლეი ოფს.*

*თავის დროზე იგივე პრობლემები ჰქონდათ ლარის, ჯულიუსს, ჰაკიმს, დევიდსა და კარლს. საკუთარ თავს ამათ რიცხვში ვერ შევიყვან, რადგან "ბულზი" ჩემი კარიერის დასაწყისში ყოველთვის და ობიექტური მიზეზებითაც, "ბოსტონ სელტიქსისა" და "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ჩრდილში იმყოფებოდა.*

*რაც შეეხებოდა ნეშსა და უეიდს, ეს ორი უკანახაზელი ყველაზე გაწონასწორებული ხასიათისა და ამავე დროს მრავალფეროვანი არსენალის მქონე ვარსკვლავია, მათ შემდეგ კი შაკი, დანკანი, გარნეტი და მაკგრეიდი მოდიან."*

## 4. ლარი ბერდი

**სამეული:** ნეში, დანკანი, ნოვიცკი.

**ნოვიცკი (?):** *"ნეში ყველა დროის ერთ-ერთი უძლიერესი ფლეიმეიქერია. დარწმუნებული ვარ, სტივი ბავშვობაში ხშირად უყურებდა ბობი კოუზისა და აიზია ტომასის, მეჯიქისა და ჯონ სტოქტონის თამაშს, რადგან მის არსენალში ამ ოთხი უძლიერესი გამთამაშებლის ელემენტები შეიმჩნევა.*

*დირკის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ ამავე დროს მისგან უფრო მეტს ველი. ნოვიცკის გაცილებით მაღალ დონეზე თამაში შეუძლია და იმედი მაქვს, ამას შემდეგ სეზონშივე დაამტკიცებს. ფლეი ოფში ბრძოლა და რეგულარულში თამაში ერთმანეთისგან ძალიან ბევრით განსხვავდება. მჯერა, რომ ეს ნოვიცკიმაც იცის. ნუ იტყვით, რომ დირკს ჯილდო დაუმსახურებლად გადასცეს, მაგრამ ჩემი პირადი აზრი თუ გაინტერესებთ, მასზე წინ სტივისა და ტიმ დანკანს დავაყენებდი. პირველი უკვე დავახასიათე, ხოლო დანკანზე კი მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ეს მოთამაშე ნებისმიერ გუნდს ჩემპიონობის ერთ-ერთ ფავორიტად აქცევს. ტიმი ყველასთვის სამაგალითო სპორტსმენი და პიროვნებაა."*

## 5. ჯულიუს ირვინგი

**სამეული:** ბრაიანტი, ნეში, დანკანი.

**ნოვიცკი (?):** *"კობი მაიკლ ჯორდანის მერე უნიჭიერესი მოთამაშეა, ნეში ჯონ სტოქტონს უახლოვდება, ხოლო დანკანი კი ყველაზე დიდი ჩემპიონია. ასე რომ, პირველ სამეულში ნოვიცკისთვის ადგილი ობიექტური მიზეზების გამო ვერ გამოინახა. დირკს შეტევაში თითქმის ყველაფრის გაკეთება შეუძლია, მაგრამ დაცვაში იგი ზარმაცი და მოუქნელია. გაიხსენეთ, როგორ შრომობდნენ მოედნის ორივე მხარეს კარლ მელოუნი, ჰაკიმ ოლაჯუონი, დევიდ რობინსონი, მაიკლ ჯორდანი და ლარი ბერდი. ეს უკანასკნელი ნოვიცკიზე გაცილებით მოუქნელი იყო, მაგრამ უდიდესი საკალათბურთო ინტელექტის გამო ლარისთვის მიუღწეველი არაფერი გახლდათ. ნოვიცკი ვერასოდეს გახდება ლეგენდა, ხოლო თუ "დალასი" ჩემპიონი გახდა, ეს არა დირკის, არამედ ეივერი ჯონსონისა და მთლიანად გუნდის დამსახურება იქნება."*

**ზურაბ თალაკვაძე**



ლეონარდო პიეპოლი

ჯირო დ'იტალია

# აბა, ვეტერანებო!

ჯიროს გუშინდელი ეტაპი ვეტერანებისა იყო. ეტაპი 35 წლის იტალიელმა **ლეონარდო პიეპოლიმ** მოიგო, ლიდერის ვარდისფერი მაისურა კი მიმდინარე ველომარათონის ყველაზე ხნიერმა მონაწილემ, 38 წლის იტალიელმა **ანდრეა ნოემ** მოირგო.

გუშინდელი ეტაპი იმითაც იყო საინტერესო, რომ ის მეორე ყველაზე გრძელი ეტაპი იყო და თანაც, მისი ფინიში აღმართზე მდებარეობდა. ფინიშამდე რამდენიმე სამთო მონაკვეთიც იყო გასავლელი, თუმცა ისინი დიდი სირთულით არ გამოირჩეოდა. სამაგიეროდ, ბოლო აღმართის დახრის საშუალო კოეფიციენტი ათ პრომილეს აღწევდა, მისი სიგრძე კი 8.8 კილომეტრი იყო.

*"პირველად, ვარდისფერი მაისურა ცხრა წლის წინათ ჩავიცვი და აი, ეს მიღწევა ახლა გავიმეორე. ბედნიერი ვარ, რომ კარიერის მიწურულს ეს შევძელი. სხვათა შორის, ეტაპის სტარტამდე, გუნდის შეკრებაზე დავთქვით, რომ მალია როსასთვის გვებრძოლა და ბედნიერი ვარ, რომ ამ მიზანს მივაღწიე. ამ ეტაპმა ისიც დაგვანახა, რომ დანილო (დი ლუკა, "ლიკიგაზის" ლიდერი) შესანიშნავ ფორმაშია, ჩვენ კი მისი მხარდაჭერა შეგვიძლია"*, - განაცხადა ნოემ, ვისაც ვარდისფერი მაისურა აქამდე ერთადერთ ეტაპზე, 1998 წლის ჯიროზე ეცვა.

დი ლუკამ განაცხადა, რომ ძალიან გარისკა, როცა ფინიშამდე 5 კილომეტრით ადრე შეტევა დაიწყო. მთავარია, კარგ ფორმაში ვარ და ამ შეცდომის მიუხედავად, კარგი შედეგი მქონდაო, - ამბობს "ლიკიგაზის" ლიდერი, ვინც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პარასკევის ეტაპს - დროზე ინდივიდუალურ რბოლას. ვეცდები, ამ ეტაპზე პოზიცია გავიუმჯობესო, მერე ამ პოზიციის შენარჩუნებას ვეცდებიო.

გუშინდელი ეტაპის შუაგულში, ოთხმა ველომრბოლმა (მათ შორის იყო "დისქავერი ჩენელის ამერიკელი **ჯორჯ ჰინკეპიც**) პელოტონის უკან ჩამოტოვება შეძლო. წინ წასულთა მაქსიმალურმა უპირატესობამ წუთზე ოდნავ მეტი შეადგინა და მათ ეს ჰანდიკაპი ბოლო აღმართამდე შეინარჩუნეს, თუმცა შემდეგ დაღლა დაეტყოთ და მალე პელოტონმა მათი დაწევა შეძლო. სწორედ ამის შემდეგ შეუტია პიეპოლიმ, რომელმაც მაღალი ტემპი ბოლომდე შეინარჩუნა და პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი.

დღეს ჯიროზე მორიგი სპრინტერული ეტაპია, რის შემდეგაც პელოტონი მთიან ეტაპებს შეუდგება.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

**X ეტაპი**

ლიდო დი კამაიორედან სანტუარიო ნოსტრა დელა გვარდიამდე (250 კმ)

**1. ლეონარდო პიეპოლი (იტალია, სონიე დიუვალ-პროდირი) 6:19.07 (39.407 კმ/სთ); 2. დანილო დი ლუკა (იტალია, ლიკიგაზი) 0.18; 3. ენდი შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) 0.27; 4. ჯილბერტო სიმონი (იტალია, სონიე დიუვალ-პროდირი) 0.32; 5. რიკარდო რიკო (იტალია, სონიე დიუვალ-პროდირი) 0.41; 6. პაოლო სავოლდელი (იტალია, ასტანა) 0.41; 7. დამიანო კუნეგო (იტალია, ლამპრე-ფონდიტალი) 0.43; 8. ფრანკო პელიზოტი (იტალია, ლიკიგაზი) 0.45; 9. იაროსლავ პოპოვიჩი (უკრაინა, დისქავერი ჩენელი) 0.52; 10. ანდრეა ნოე (იტალია, ლიკიგაზი) 0.52...**

კლასიფიკაცია 10 ეტაპის შემდეგ

**1. ანდრეა ნოე (იტალია, ლიკიგაზი) 46:06.09; 2. მარციო ბრუსეგინი (იტალია, ლამპრე-ფონდიტალი) 1.08; 3. დავიდ აროიო დურანი (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 1.15; 4. ფრანსისკო ხავიერ ვილა ერანდონეა (ესპანეთი, ლამპრე-ფონდიტალი) 1.38; 5. ევგენი პეტროვი (რუსეთი, ტინკოფი) 1.48; 6. ემანუელე სელა (იტალია, კერამიკა პანარია) 2.04; 7. სერგეი იაკოვლევი (ყაზახეთი, ასტანა) 2.06; 8. დანილო დი ლუკა (იტალია, ლიკიგაზი) 2.58; 9. მარკო პინოტი (იტალია, T-მობილი) 3.11; 10. ხოსე ლუის რუბიერა (ესპანეთი, დისქავერი ჩენელი) 3.22; 14. ლეონარდო პიეპოლი (იტალია, სონიე დიუვალ-პროდირი) 4.32...**



ჩოგბურთი

## როლან გაროსს სამი მოთამაშე გამოაკლდა

გაირკვა, რომ კიდევ რამდენიმე ჩოგბურთელი ვერ მიიღებს მონაწილეობას "დიდი სლემის" რიგით მეორე ტურნირზე. ტრავმების გამო, "როლან გაროსზე" არ იქნებიან ბელგიელი **ქსავიერ მალისე**, ესპანელი **ალბერტო მარტინი** და რუსი **ვერა ზვონარევა**.

მალისეს მაჯის ტრავმა აწუხებს, მარტინი იდაყვის ტრავმას მკურნალობს, რაც შეეხება ზვონარევას, მას ფეხი აქვს დაზიანებული.

სხვათა შორის, უკვე ცნობილია, რომ რუს ჩოგბურთელს ძირითად ბადეში უკრაინელი **იულია ბეიგელციმერი** შეცვლის.

საფრანგეთის ღია პირველობა 27 მაისს დაიწყება.

## ბელგიაში კლაისტერსის ქუჩა დაარსდება

ბელგიის საკურორტო ქალაქ კოკსეიდის მერმა, ჩოგბურთიდან წასული **კიმ კლაისტერსის** სახელის უკვდავყოფა გადაწყვიტა. იმ ქუჩას, სადაც ქალაქის საქმეთა სამმართველოა განთავსებული, კლაისტერსის სახელი დაერქმევა.

ამ გადაწყვეტილების მიღებას კიდევ ერთი მიზეზი აქვს. საქმე ისაა, რომ ამ ქუჩაზე ყოველწლიურად იმართება ტურნირი, სახელწოდებით - Flanders Lady Trophy, რომელიც გოგონებს შორის, ბელგიის არაოფიციალურ ჩემპიონატად არის მიჩნეული. 1998 წელს, ეს ტურნირი კიმ კლაისტერსმაც მოიგო.

ფორმულა 1

## ფავორიტები კიმი და ფერნანდო არიან

მონაკოს გრან-პრის წინ, ცნობილმა საბუკმეიკერო კანტორამ - William Hill-მა ეტაპის მოგებაზე მრბოლელთა კოეფიციენტები გამოაქვეყნა.

ბუკმეიკერებს ორი ფავორიტი ჰყავთ - "ფერარის" ფინელი პილოტი **კიმი რაიკონენი** და "მაკლარენის" ესპანელი ჩემპიონი - **ფერნანდო ალონსო**. მათი კოეფიციენტი 3.25-ის ტოლია.

აუტსაიდერად კი, "სპაიკერის" პილოტები ითვლებიან, რომელთა გამარჯვებაზე, 1 ცენტში 301 ცენტს იხდიან.

ოლიმპიზმი

## პეკინის მეტროში ოლიმპიადას უჩვენებენ

2008 წლის დასაწყისში, პეკინში მეტროს ახალი ხაზის მშენებლობა დასრულდება. ეს მაგისტრალი ქალაქის სტუმრებს საგაისო ოლიმპიადის დროს, ოლიმპიურ ობიექტებს შორის სწრაფად გადაადგილების საშუალებას მისცემს.

ასევე ცნობილი გახდა, რომ ოლიმპიადის მსვლელობის დღეებში, მეტროს ვაგონებში სპეციალური ტელემონიტორები დამონტაჟდება, სადაც მგზავრები ოლიმპიადის ტრანსლიაციებს პირდაპირ ეთერში იხილავენ.

ჰოკეი

## ბელფური ერთი წელი დარჩება

"ფლორიდა პანტერზის" 42 წლის მეკარემ - **ედ ბელფურმა** განაცხადა, რომ თავის ამჟამინდელ კლუბთან კიდევ ერთი წლით სურს კონტრაქტის გაფორმება, თანაც, მას უნდა, რომ მომავალ სეზონში შარშანდელზე უფრო დიდი ხელფასი ჰქონდეს.

*"კლუბის ძირითადი გოლკიპერი ვარ, ჯანმრთელობას არ ვუჩივი. გასულ წელს 750 ათას დოლარს მე თავად დავთანხმდი, რადგან ზურგზე ოპერაცია გავიკეთე. ახლა კი, არაფერი მაწუხებს და ხელფასს მეტს მოვითხოვ. თუ "პანტერებს" ჩემი სამსახური არ დასჭირდებათ, სხვა გუნდში მოვეწყობი"*, - ამბობს ლეგენდარული მეკარე, რომელსაც ევროპული კლუბები აქტიურად ეპატიჟებიან.

## ჰიტლიმ გრეცკის რეკორდი მოხსნა

აღმოსავლეთის კონფერენციის ფინალში, "ოტავა სენატორზისა" და "ბაფალო სეიბრზის" სერიის დასკვნით მატჩში, წლევანდელი ფლეი ოფის საუკეთესო ბომბარდირმა - **დენი ჰიტლიმ უეინ გრეცკის** ერთ-ერთი რეკორდი გააუმჯობესა.

"ბაფალოსთან" გასვლით მატჩში, ოტაველმა ერთი გოლი და ერთი შედეგიანი პასი მიითვალა. შესაბამისად, მან სტუმრად ჩატარებულ ზედიზედ ექვს შეხვედრაში შეძლო ერთ ქულაზე მეტის დაგროვება. 1988 წელს, გრეცკის ასეთი ხუთმატჩიანი სერია ჰქონდა.

ამასთან დაკავშირებით, "სენატორების" გულშემატკივრებს კარგი წინათგრძნობა აქვთ, ვინაიდან 1988 წელს, სტენლის თასის მფლობელი, სწორედ გრეცკის "ედმონტონი" გახდა.

## ბრიერს ბაფალოში დარჩენა სურს

"ბაფალო სეიბრზის" კაპიტანი **დანიელ ბრიერი** აცხადებს, რომ თავის ამჟამინდელ კლუბში სურს დარჩენა. ამ ჰოკეისტს ამერიკულ გუნდთან კონტრაქტი ამოეწურა და თავისუფალი აგენტი გახდა.

ბრიერის სიტყვებით, მას ძალიან შეუყვარდა ბაფალოელი გულშემატკივრები, რომლებმაც წლეულს, ზედიზედ 59 საშინაო მატჩში დააფიქსირეს ანშლაგი.

მომავალი სეზონის წინ, "ბაფალო" მნიშვნელოვნად შეიცვლის სახეს. ბრიერის გარდა, კლუბთან კონტრაქტები დაუმთავრდათ **დაინიუს ზუბრუსს, კრის დრურის, ტომაშ ვანეკს, დერეკ რუასა და ტეპო ნუმინენს**.

## რეინჯერსმა თინეიჯერი გაიფორმა

"ნიუ იორკ რეინჯერსმა" მომავალი სეზონისთვის 20 წლის ფორვარდი - **ბროდი დიუპონი** დაიმატა. ახალგაზრდა ჰოკეისტმა თავის კარიერაში პირველი პროფესიული კონტრაქტი გუშინ გააფორმა.

ეს ჰოკეისტი ნიუიორკულმა კლუბმა 2005 წლის დრაფტში 66-ე ნომრად აირჩია. წლეულს, დიუპონი ჰოკეის დასავლეთ ლიგაში თამაშობდა და "კალგარი ჰიტმენის" ღირსებას იცავდა. 70 მატჩში მის ანგარიშზე 70 ქულა (37 გოლი+33 შედეგიანი პასი) იყო.

## ბექსტრიომი ვაშინგტონში ჩაირიცხა

"ვაშინგტონ კეპიტალზის" ხელმძღვანელობამ დაადასტურა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მომავალ სეზონში ამ კლუბის რიგებში 19 წლის თავდამსხმელი - ნიკლას ბექსტრიომი ითამაშებს.

შვედმა ჰოკეისტმა უკვე გააფორმა კონტრაქტი დედაქალაქურ კლუბთან და მომდევნო სამი წლის განმავლობაში 2.2 მილიონ დოლარს მიიღებს.

## TV სპორტი

**23 მაისი. ოთხშაბათი**

**რუსთავი 2**

22:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ფინალი. მილანი-ლივერპული. ათენი. საბერძნეთი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
12:50 ტოქ-შოუ - 90 წუთი.
14:20 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
15:20 იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
16:20 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:35 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:35 ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლივერპული-ჩელსი.
19:20 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:40 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:40 ჩემპიონთა ლიგა. ფინალი. მილანი-ლივერპული. ათენი. საბერძნეთი (LIVE).

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:30 ჩოგბურთი. ATP-ის გუნდური მსოფლიო ჩემპიონატი. გერმანია.
09:00 სპორტინფორმი.
09:10 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:05 სპორტინფორმი.
10:15 მძლეოსნობა. IAAF-ის გარნ-პრი. პარიზი. საფრანგეთი.
13:09 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლივერპული-ჩელსი.
15:41 აფროსნობა. ამერიკის თასი.
15:47 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. მილანი-მანჩესტერ იუნ.
17:35 სპორტინფორმი.
17:46 ლიბერტადორესის თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ნასიონალი (ურუგვაი)-დეპორტივო კუკუტა (ეკვადორი).
19:30 სპორტინფორმი.
19:41 ჰოკეი. სტენლის თასი. 1/2 ფინალი. ანაჰაიმი-დეტროიტი. VI მატჩი.
21:35 აფროსნობა. ამერიკის თასი.
22:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ფინალი. მილანი-ლივერპული. ათენი. საბერძნეთი (LIVE).
00:50 აფროსნობა. ამერიკის თასი.
01:22 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მალიორკა-ვალენსია.
03:11 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. პარიზი. საფრანგეთი.
06:11 ფეხბურთი. უკრაინის ჩემპიონატი. მეტალურგი (ზ)-დნეპრი.

**EUROSPORT**

10:30 ექსტრემალური სპორტი.
11:00 მულტისპორტი.
11:30 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
12:15 ჩოგბურთი. გზა როლან გაროსისკენ.
12:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იტალია.
13:30 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. X ეტაპი.
14:30 მაგიდის ჩოგბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალი. ბელგრადი. სერბეთი.
15:00 მაგიდის ჩოგბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ზაგრები. ხორვატია (LIVE).
17:15 ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია. XI ეტაპი (LIVE).
19:30 ჩოგბურთი. როლან გაროსის ლეგენდები. ჯიმ კურიე-ანდრე აგასი.
20:30 ოლიმპიზმი. ოლიმპიური დღიური.
21:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
21:30 მაგიდის ჩოგბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ზაგრები. ხორვატია (LIVE).
23:00 აფროსნობა.
23:05 მულტისპორტი.
23:10 ცხენოსნობა.
00:10 ცხენოსნობა. ჟოკეების კლუბი.
00:15 მულტისპორტი.
00:20 გოლფი. US PGA-ს ტური. Bellsouth Classic.
01:20 გოლფი. ევროპის ტური. ნისანის ღია პირველობა. ირლანდია.
01:50 გოლფი-კლუბი.
01:55 აფროსნობა.
02:00 მულტისპორტი.
02:30 ექსტრემალური სპორტი.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
12:00 ამერიკული ფეხბურთი (დარბაზებისთვის). რეგულარული ჩემპიონატი. ფილადელფია-ნიუ ორლეანი.
13:00 ლაკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალი. ჰალიფაქსი. კანადა.
14:00 ახალი ამბები.
16:00 ტაეკვანდო. მსოფლიო ჩემპიონატი. პეკინი. ჩინეთი.
17:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იტალია.
18:00 ბილიარდი. ევროტური. იტალია.
19:00 ლაკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალი. ჰალიფაქსი. კანადა.
20:00 ახალი ამბები.
20:30 ექსტრემალური სპორტი.
22:00 ახალი ამბები.
22:30 მულტისპორტი.
23:00 მსოფლიო უძლიერესი მამაკაცი. მსოფლიოს თასი.
23:30 მულტისპორტი.
00:00 პრო-რესტლინგი. იაპონური ლიგა.
01:30 მულტისპორტი.
02:00 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| ამხანაგური მატჩი | |
|---|---|
| ჰოლანდია (U21)-მაროკო (U21) | 0:2 |
| **შვედეთი** | |
| ბრომაპოიკარნა-ჰელსინგბორგი | 1:1 |
| ელფსბორგი-გიოტებორგი | 3:1 |
| **პოლონეთი** | |
| არკა-ლეხი | 3:1 |
| ბელხატოვი-ვისლა | 1:2 |
| კრაკოვია-ლეჩნა | 5:0 |
| გურნიკი-პლოცკი | 2:0 |
| გროცლინი-პოგონი | 3:1 |
| ლკს-კორონა | 2:1 |
| ოდრა-ლეგია | 1:2 |
| ზაგლებე-ვიძევი | 4:2 |
| **სლოვენია** | |
| კოპერი-მარიბორი | 1:0 |
| **უნგრეთი** | |
| დიორი-მტკ | 3:4 |

**კალათბურთი**

| იტალია. ფლეი ოფი. 1/4 ფინალი | |
|---|---|
| ვირტუსი-ბიელა | 104:102 (ო) |
| მილანი-ვარეზე | 62:71 |
| მონტეპასკი-კანტუ | 91:60 |
| რომა-ნაპოლი | 83:58 |
| **საფრანგეთი. ფლეი ოფი. 1/2 ფინალი** | |
| ვილერბანი-ნანსი | 78:87 |
| შალონი-რუანი | 66:76 |

**ჩოგბურთი**

| ATP. დიუსელდორფი | |
|---|---|
| კალერი-ბლეიკი | 6:2, 3:6, 4:6 |
| მასუ-ბიორკმანი | 7:5, 6:7, 6:0 |
| აკასუსო-ფიში | 7:5, 6:4 |
| გონსალესი-სიოდერლინგი | შეწყდა |
| **ATP. პორტშახი** | |
| მონაკო-მელცერი | 6:3, 6:1 |
| ლაპენტი-ფერკერკი | 6:4, 7:6 |
| დავიდენკო-რამირეს იდალგო | 6:3, 6:0 |
| მონტანიესი-მონკური | 7:6, 6:1 |
| ჰიუიტი-როიტმანი | 6:2, 6:2 |
| ლუბიჩიჩი-ორნა | 6:7, 4:6 |
| **WTA. სტამბოლი** | |
| შნიდერი-ჩანი | 6:1, 6:1 |
| კინგი-სენოგლუ | 6:3, 7:5 |
| შონესი-მირზა | 6:4, 6:3 |
| ვ. უილიამსი-პუჩეკი | 6:1, 6:2 |
| შარაპოვა-პირონკოვა | 6:4, 7:6 |
| **WTA. სტრასბური** | |
| ბირნეროვა-ოსტერლო | 0:6, 2:6 |
| მალეკი-ბასკე | 6:0, 6:1 |
| ნაკამურა-დუბუა | 6:1, 3:6, 6:4 |
| კამერინი-პრატი | 6:4, 7:6 |
| მოლიკი-ბაკერი | 7:6, 2:6, 7:5 |
| ტანასუგარნი-სუნი | 6:4, 6:2 |
| ბარტოლი-კრიჟი | 6:1, 6:0 |
| იან ზი-ვესნინა | 4:6, 1:6 |
| მედინა გარიგესი-ფედაკი | 6:4, 6:3 |

ჭადრაკი

## კრამნიკი ოსკაროსანია

ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციამ 2006 წლის შედეგები შეაჯამა და ვაჟებს შორის საჭადრაკო "ოსკარის" მფლობელად, რუსი დიდოსტატი **ვლადიმირ კრამნიკი** დაასახელა.

შარშან, კრამნიკმა 2005 წლის "ოსკარის" მფლობელი - ბულგარელი **ვესელინ ტოპალოვი** მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის გამართულ მატჩში დაამარცხა.

ჟურნალისტებს შორის ჩატარებულ გამოკითხვაში, რუსმა 3636 ქულა დააგროვა და მნიშვნელოვნად ჩამოიტოვა იგივე ტოპალოვი (2828) და ინდოელი **ვიშვანათან ანანდი** (2754).

კრამნიკისთვის ეს მეორე "ოსკარი" გახლავთ. პირველ აღიარებას მან 2000 წელს მიაღწია.

## ტოპალოვმა სამშობლოში გაიმარჯვა

სანამ **ვლადიმირ კრამნიკმა** ოსკარი მიიღო, **ვესელინ ტოპალოვმა** სოფიაში გამართულ საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვა.

ამ უმაღლესი კატეგორიის ტურნირის ბედი ბოლო, მე-10 ტურში გადაწყდა, როცა ბულგარელმა დიდოსტატმა ლიდერს, ინდოელ **კრიშნან საშიქირანს** მოუგო და ზედიზედ მეორედ დაიკავა პირველი ადგილი.

ტოპალოვმა ტურნირი 5.5 ქულით დაასრულა და ნახევარი ქულით გაასწრო საშიქირანს, **შაჰრიარ მამედიაროვს** (აზერბაიჯანი), **გატა კამსკის** (აშშ) და **ლივიუ-დიტერ ნისიპიანს** (რუმინეთი). ბოლო ადგილი ინგლისელმა **მაიკლ ადამსმა** დაიკავა - 4.5 ქულა.

ეს ტურნირი ბულგარეთში მესამედ ჩატარდა. ასპარეზობის მთავარი განმასხვავებელი ნიშანია ის, რომ აქ დიდოსტატებს ერთმანეთისთვის ყაიმის შეთავაზება არ შეუძლიათ.

კალათბურთი

## ვან განდის ადელმანი შეცვლის

როგორც უკვე ვიტყობინებოდით, ფლეი ოფში წარუმატებლობის შემდეგ, "ჰიუსტონ როკეტსმა" მთავარი მწვრთნელი - **ჯეფ ვან განდი** დაითხოვა.

თუ გაზეთ New York Post-ს დავუჯერებთ, მომავალ სეზონში ამ კლუბს "საკრამენტოს" ყოფილი დამრიგებელი - **რიკ ადელმანი** გაწვრთნის. მისი დანიშვნის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია ამ დღეებში გავრცელდება.

იმავე გამოცემის ცნობით, უმუშევარი არც ვან განდი დარჩება და ის უმწვრთნელოდ დარჩენილი "ინდიანა პეისერსის" დამრიგებელი გახდება.

## ლებრონმა და ამარემ ნაკრები იუარეს

ამერიკის საკალათბურთო ნაკრებს კიდევ ორი მოთამაშე გამოაკლდა.

"კლივლენდ კავალიერსის" ლიდერმა - **ლებრონ ჯეიმსმა** განაცხადა, რომ ამ ზაფხულს არ ითამაშებს პეკინის ოლიმპიური თამაშების საკვალიფიკაციო ტურნირში, რომელიც ლას ვეგასში ჩატარდება. ლებრონს უარის მიზეზი არ დაუსახელებია.

ნაკრებში თამაში არ სურს "ფინიქს სანზის" ფორვარდ **ამარე სტაუდმაიერს**. როგორც ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ვებგვერდი იუწყება, კალათბურთელს სურს ამ ზაფხულს სერიოზულად მოკიდოს სწავლას ხელი.

შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე, ოჯახური პირობების გამო ნაკრებში თამაში არ ისურვა "დენვერ ნაგეტსის" ცენტრმა - **მარკუს კემბიმ**.

## კიდი ნიუ ჯერსის დაემშვიდობა

NEW-YORK DAILY NEWS-ის ინფორმაციით, "ნიუ ჯერსი ნეტსის" გამთამაშებელმა **ჯეისონ კიდმა** შესაძლოა კლუბი დატოვოს. კალათბურთელის განცხადებით, ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ მისი გუნდი კონტრაქტს არ გაუგრძელებს ფორვარდ **ვინს კარტერს**.

რეგულარულ ჩემპიონატში, კიდისა და კარტერის დუეტი ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი იყო და კიდს აღარ სურს "ნეტსის" ხელმძღვანელთა მიზეზით, ყველაფრის თავიდან დაწყება.

ფორმულა 1

## ექლსტოუნის ულტიმატუმი

ფორმულა 1-ის მთავარმა პრომოუტერმა - **ბერნი ექლსტოუნმა** ულტიმატუმი წაუყენა მელბურნის ავტოდრომის მფლობელებს. თუ ისინი საკუთარ არენაზე არ უზრუნველყოფენ ღამის რბოლის ჩატარებას, მაშინ 2010 წლამდე გაფორმებული კონტრაქტი, ვადის ამოწურვის შემდეგ აღარ გახანგრძლივდება.

*"რამდენიმე წელიწადში ავსტრალიის გრან-პრის ორგანიზატორებთან კონტრაქტს ვადა გაუვა და ჩვენ უნდა მოვიფიქროთ, რა გავაკეთოთ მომავალში. თუ ისინი ღამის რბოლის ჩატარებას ვერ უზრუნველყოფენ, მათთან კონტრაქტს აღარ გავაგრძელებთ. ევროპის მაცხოვრებლებმა ეს რბოლა ჩვეულ დროს უნდა იხილონ და არა, დილის 4-5 საათზე. დარწმუნებული ვარ, ავსტრალიელებს კარგად ესმით ამ პრობლემის არსი"*, - აცხადებს ექლსტოუნი.

სხვათა შორის, პრომოუტერის ულტიმატუმი ავსტრალიის გრან-პრის რეიტინგით არის დასაბუთებული: 1999 წელს, რბოლის აუდიტორიამ 339 მილიონი ადამიანი შეადგინა, წლეულს კი, მელბურნის ეტაპს მხოლოდ 82 მილიონმა მიადევნა თვალი.

## ჩინეთის გრან-პრის ახალი დირექტორი ეყოლება

ჩინეთის გრან-პრის გენერალური დირექტორი **იუი ჩიფეი** კორუფციაში ამხილეს და თანამდებობიდან გადააყენეს. "შანხაი დეილის" ცნობით, სპორტულმა ჩინოვნიკმა საკუთარი კეთილდღეობისთვის გამოიყენა გრან-პრის ფონდის ფული - შეიძინა სახლი და სხვა ძვირფასი ნივთები.

გარდა იმისა, რომ ჩიფეიმ გენერალური დირექტორის პოსტი დატოვა, ის ჩინეთის კომუნისტური პარტიიდანაც გარიცხეს. კორუფციის საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს და თუ ჩიფეის ბრალეულობა დამტკიცდება, მას მეტად მკაცრი სასჯელი ელის, შეიძლება სიკვდილით დასჯაც კი.

სხვათა შორის, ეს ფუნქციონერი შანხაის სოციალური დაცვის ფონდის სახსრების გაფლანგვაშიც არის ეჭვმიტანილი - საქმეში 391 მილიონი დოლარი ფიგურირებს.

## საქველმოქმედო აუქციონი მონაკოში

უახლოეს უიქ ენდზე, მონაკოში ფორმულა 1-ის მსოფლიო ჩემპიონატის მორიგი ეტაპი გაიმართება.

შაბათს, მონტე კარლოში საქველმოქმედო აუქციონი ჩატარდება, სადაც გაყიდიან ლეგენდარული ბრაზილიელი ავტომრბოლის **აირტონ სენას** ჩაფხუტებს, კომბინეზონებს და წიგნს, რომელზეც სენას ავტოგრაფია. შემოსული თანხა დაღუპული ავტომრბოლის სახელობის ფონდში გადაირიცხება.

ეს აუქციონი მონაკოში, აირტონ სენას პირველი გამარჯვების 20 წლისთავს მიეძღვნება.





სერენა უილიამსი პარიზს ეწვია

საფრანგეთის ღია პირველობის წინ

# სერენა საომრად ემზადება

ჯერ კიდევ ექვსი თვის წინათ, ჩოგბურთის მოყვარულებს სასაცილოდ არ ეყოფოდათ, თუ გაიგებდენ, რომ **სერენა უილიამსი** საფრანგეთის ღია პირველობის ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტი იქნებოდა. ეგ კი არა, ვერავინ იფიქრებდა, თუ ტრავმებით განამებულ ამერიკელს ამ სეზონში როლან გაროსის კორტებზე ვიხილავდით. მაგრამ სერენამ ჯერ ავსტრალიის ღია პირველობა მოიგო, ახლა კი საფრანგეთშიც, ამერიკელ ჩოგბურთელთაგან ყველაზე უკეთეს ფორმაშია.

2004 წლის შემდეგ სერენას როლან გაროსზე არ უთამაშია. ამის მიზეზი კი მუხლის ხშირი ტრავმებია. შარშან 25 წლის ჩოგბურთელმა სეზონი რეიტინგის 95-ე საფეხურზე დაასრულა. ბევრი იმასაც კი ამბობდა, რომ სერენას წონასთან დაკავშირებული პრობლემები აქვს და საერთოდაც, ცხოვრებაში სხვა ინტერესები გაუჩნდა, რაც მის გამოსვლებზე უარყოფითად მოქმედებსო.

პარალელურად, პრობლემები აქვს სერენას დას, **ვენუს უილიამსს**, რომელსაც ვერაფრით მიუღწევია სტაბილურობისთვის და რეიტინგის პირველი ასეულის შუაგულს ტკეპნის. ჩოგბურთს ხელი დაუქნია კიდევ ერთმა ძლიერმა ამერიკელმა - სერენას ძველმა სპარინგპარტნიორმა **ლინდსი დავენპორტმა**. მთლიანობაში, ამ სამეულს დიდი სლემის 15 ტიტული აქვს მოპოვებული, მაგრამ ამ სეზონის დასაწყისში ისე ჩანდა, რომ თითქოს, მათ ბატონობას წერტილი დაესვა.

ავსტრალიის ლიამ ეს შთაბეჭდილება წაშალა. სერენამ ბრწყინვალედ ჩაატარა სეზონის პირველივე სლემ-ტურნირი და მისი გვირგვინი კიდევ ერთხელ, მესამედ მოირგო. საინტერესოა, რომ რაც ჩოგბურთში რეიტინგული სისტემა შემოიღეს, სერენა მესამე უდაბლესი სარეიტინგო მაჩვენებლით გახდა სასლემო ტურნირის ჩემპიონი. მელბურნის ფინალში მან აშკარად დაჯაბნა თავისი რუსი ოპონენტი **მარია შარაპოვა**.

სერენამ კიდევ ერთხელ გაიბრწყინა მაიამის ტურნირზე, სადაც ჯერ შარაპოვა გაანადგურა, შემდეგ კი ფინალში მსოფლიოს პირველ ჩოგანს, ბელგიელ **ჟუსტინ ანენს** მოუგო. არადა, პირველი სეტი მშრალად (0:6) დათმო. ყველაფერი კი იმაზე მიუთითებს, რომ ამერიკელი მეჩოგნე არც მოტივაციის ნაკლებობას უჩივის და თუ ტრავმა არ აწუხებს, ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეუძლია.

ახლახან, მან იტალიის ღიას მეოთხედფინალში წააგო, თუმცა მთავარი ისაა, რომ ამ წაგების მიუხედავად, რეიტინგის მოწინავე ათეულში დაბრუნდა. ჰოდა, ახლა საფრანგეთის ღიას ერთ-ერთი მთავარი ფავორიტია. შეგახსენებთ, რომ ეს ტურნირი მას ერთხელ (2002 წელს) აქვს მოგებული და მაშინ ეგრეთ წოდებული "სერენას სლემი" შეასრულა - ზედიზედ დიდი სლემის ოთხი ტურნირი მოიგო (მაგრამ არა ერთ სეზონში) - საფრანგეთში ტრიუმფს მალე მოჰყვა გამარჯვებები უიმბლდონსა და აშშ-ის ლიაზე, ასევე მომდევნო სეზონის ავსტრალიის ლიაზე.

*"საფრანგეთში საკუთარ ძალებში დარწმუნებული ჩამოვედი. მჯერა, ამჯერად ტრავმები ხელს არ შემიშლის მიზნის მიღწევაში. და თუ ასე მოხდა, ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შემიძლია. ყოველთვის ვამბობ, როცა ფორმაში ვარ, ჩემი დამმარცხებელი არავინ მეგულება. ჰოდა, ახლა ფორმაში ვარ და გამარჯვება მწყურია"*, - ამბობს სერენა, ვინც უკვე ეწვია პარიზს და იქ ვარჯიშსაც შეუდგა.

რაც შეეხება ვენუსს, ის საფრანგეთის ლიას მეოთხედფინალში ერთადერთხელ, 2002 წელს გავიდა და მაშინაც თავის დასთან წააგო. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ორი წლის წინათ უიმბლდონი მოიგო, ტურნირის დაწყებამდე მას ფავორიტებში არავინ მოიაზრებდა. მოკლედ, როცა უილიამსები კორტზე არიან, ნურავინ იფიქრებს, რომ მათ ტურნირის მოგება არ შეუძლიათ. თუმცა, ისიც სათქმელია, რომ ვენუსისთვის მიმდინარე სეზონი ერთ-ერთი უარესია მის კარიერაში.

## ტურნირები

### ATP

**მსოფლიო ჩემპიონატი. გუნდური**

დიუსელდორფი (გერმანია). თიხნარი
**საპრიზო ფონდი:** 1 500 000 ევრო

**ნითელი ჯგუფი**

**არგენტინა-შვედეთი 2:1**

0:1 **ხუან იგნასიო ჩელა**-რობინ სიოდერლინგი 1:6, 4:6; 1:1 **ხოსე აკასუსო**-იონას ბიორკმანი 6:7(3), 7:6(7), 6:3; 2:1 **კალერი/ჩელა**-ბიორკმანი/ტ. იოჰანსონი 6:4, 4:6, 10:6.

**ჩილე-აშშ 2:1**

1:0 **ფერნანდო გონსალესი**-ჯეიმს ბლეიკი 6:4, 7:5; 2:0 **ნიკოლას მასუ**-მარდი ფიში 6:4, 7:6(1); 2:1 **აგილარი/პერალტა**-მ. ბრაიანი/ბ. ბრაიანი 1:6, 2:6.

**ლურჯი ჯგუფი**

**გერმანია-ბელგია 3:0**

1:0 **ფილიპ კოლშრაიბერი**-ოლივიე როხუსი 6:3, 1:6, 6:1; 2:0 **ფლორიან მაიერი**-კრისტოფ ვლიეგენი 6:3, 6:4; 3:0 **კოლმანი/ვასკე**-ო. როხუსი/დარსისი 7:6(4), 7:5.

**ჩეხეთი-ესპანეთი 2:1**

0:1 **ტომაშ ბერდიჩი**-დავიდ ფერერი 1:6, 3:6; 1:1 **იან ჰაიეკი**-ბარტოლომეუ სალვა-ვიდალი 6:2, 6:4; 2:1 **ბერდიჩი/დამი**-სალვა ვიდალი/ფერერი 5:7, 6:3, 10:8.

**The Hypo Group Tennis 07**

პორტშახი (ავსტრია). თიხნარი
**საპრიზო ფონდი:** 353 450 ევრო

**I წრე**

**ენდი როდიკი (აშშ, 2)**-ალექსანდრ პეია (ავსტრია) 6:4, 7:5; **ივან ლუბიჩიჩი (ხორ, 3)**-ამირ დელიჩი (აშშ) 7:6 (7), 7:6 (8); **მატიო მონკური (საფ)**-მაქს მირნი (ბლრ, 8) 6:4, 6:4; **პოტიტო სტარაჩე (იტა)**-შტეფან კუბეკი (ავსტრია) 6:4, 6:4; **გაელ მონფილსი (საფ)**-სემ კერი (აშშ) 6:4, 7:5; **ჰიუნ-ტაიკ ლი (კორ)**-დანაი უდომჩოკე (ტაილ) 6:3, 6:0; **ლუის ორნა (პერ)**-ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრ) 6:3, 6:0; **კრისტიან პლესი (დან)**-კარლოს ბერლოკი (არგ) 6:3, 6:3; **ალბერტ მონტანიესი (ესპ)**-დანიელე ბრაჩიალი (იტა) 6:0, 6:4.

### WTA

**სტამბოლის თასი**

სტამბოლი (თურქეთი). თიხნარი
**საპრიზო ფონდი:** 200 000 დოლარი

**I წრე**

**ალიონა ბონდარენკო (უკრ, 5)**-პემრა ოზგენი (თურ) 6:1, 6:0; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 7)**-ეკატერინა ბიჩკოვა (რუს) 7:5, 7:5; **არავან რეზაი (საფ)**-ციპორა ობზილერი (ისრ) 6:3, 6:1; **რომინა ოპრანდი (იტა)**-კატერინა ბონდარენკო (უკრ) 6:4, 6:4; **ელენა კოსტანიჩ ტოშიჩი (ხორ)**-იაროსლავა შვედოვა (რუს) 2:6, 6:3, 6:4; **ცვეტანა პირონკოვა (ბულ)**-ოლგა გოვორცოვა (ბლრ) 6:4, 2:6, 6:2.

**Internationaux de Strasbourg**

სტრასბური (საფრანგეთი). თიხნარი
**საპრიზო ფონდი:** 175 000 დოლარი

**I წრე**

**ნა ლი (ჩინ, 4)**-მასა ჟეკ პესპირიჩი (სლოვენ) 6:3, 6:3; **კაროლინ მაესი (ბელ)**-აკიკო მორიგამი (იაპ, 8) 7:5, 6:4; **ემილი ლუა (საფ, 9)**-ტიან ტიან სუნი (ჩინ) 7:5, 6:3; **ვარვარა ლეპჩენკო (უზბ)**-ვასილისა ბარდინა (რუს) 3:6, 6:3, 6:4; **ვერა დუშევინა (რუს)**-კარინ კნაპი (იტა) 6:4, 6:4.

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
**თენგიზ გაჩეჩილაძე**

დირექტორი
**პაატა გელაშვილი**

რედაქტორები
**მამუკა ჩიხლაძე**
**გია თვალაბეიშვილი**

ქართული სპორტი
**ნიკოლოზ ნეფარიძე**
**პაატა თოთაძე**
**მერაბ მამულაშვილი**
**დავით ცაგაძე**
**ლევან ჯანეზაშვილი**
**გია ტუხაშვილი**
**დავით თავართქილაძე**
**ირაკლი თავაძე**
**ვაჟა სიმონიშვილი**
**ზვიად შათირიშვილი**
**კობა ხატისაშვილი**
**ბესიკ ჯანგავაძე**

უცხოური სპორტი
**შალვა ბიბილაშვილი**
**გოგა ახალაძე**
**გოტფრიდ ლენცი**
**ილია ნიკოლაიშვილი**
**მერაბ ლორთქიფანიძე**
**დავით ჩუბინიძე**
**ზურაბ თალაკვაძე**

რეგიონული კორესპონდენტები:
**დავით კოხრეიძე, ვასილ გალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაჟელიშვილი**

ფოტო
**ალექსანდრე კოტორაშვილი**
**ნუგზარ სუარიძე**

ტექნიკური რედაქტორი
**მიხეილ ჯაში**

ტექნიკური ჯგუფი:
**მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი**

კორექტურა
**ლელა ხომასურიძე**
**ლევან ბიბილაშვილი**

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
**დავით მაისურაძე** (დირექტორის მოადგილე),
**გივი ვეშაპიძე,**
**ქეთევან დიდბერიძე**

მარკეტინგის სამსახური
**თამარ ჯიშკარიანი** (ტ: 46 34 48)
**ბაქარ გაჩეჩილაძე** (ტ: 899 91 87 17)
**შალვა ებანოიძე**

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

**სპორტი**

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
**მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 64-76)
**ერემო მახათაძე** (1952-53)
**ირაკლი უგულავა** (1953-64)
**ანზორ ბასილაია** (1976-83)
**არჩილ გოგელია** (1984-85)
**თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
**საქართველოს ოლიმპიური ფონდი**

მისამართები
**მ. კოსტავას 14,**
**0108 თბილისი**
**ტელეფონი:** 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
**ახმეტელის 10ა,**
**0159 თბილისი**
(დილომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
**ფაქსი:** +995. 32 46 30 97
**e-mail:** sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

**გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა**